

180
962/3

საბჭოთა ხელოვნება

SABCHOTA KHELOVNEBA
САБЧОТА
2
1962
ХЕЛОВНЕБА
SABISCHOTHA CHELOWNEBA



ს ა ზ ზ მ თ ა

სელთოვნება



საქართველოს სსრ
ქულსტოვიის
საქონლსტოვის
ყოველთვიური
ქუჯნალი

8830

2





დ. გაბიაშვილი და ბ. ტირაგოვა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეები კრებულში მიღებაზე

მთავარი რედაქტორი—ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.



მ. სიმბაძე
გამოლევება



შახეთ! რამდენი ნიჭიერი ადამიანი მისცა ჩვენს ქვეყანას საგზოთა საქართველომ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგან ეს პროცენტი ჩვენში კვლავაც დაჩქარებით განვითარდება.

ნ. ს. ხრუშჩოვი

**შრომისა და
შემოქმედების
ორმოცდაერთი
წელი**

საქართველოს მშრომლები, მუშები და კოლმეურნენი, მეცნიერები და მოსამსახურენი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ყველა საბჭოთა ადამიანი ზეიმით აღნიშნავენ დიდ ეროვნულ დღესასწაულს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 41 წლისთავს.

კიდევ ერთი წელი გავიდა და რესპუბლიკის მშრომლები სიამოვნების გრძნობით აუამებენ თავიანთი შემოქმედებით შრომისა და ბრძოლის მიღწევებს, სახავენ ახალ გეგმებს, რომ უფრო მთიანხელონ საბოლოო მიზანს—კომუნისმის გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირმა, დიდმა სამშობლომ, მისმა გმირულმა ხალხმა მრავალი ახალი გამარჯვება მოიპოვა მშვიდობიანი შრომის ყველა უბანზე გასულ წელს, რომელიც აღსაყვამ იყო დიდი მოვლენებით. კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებები ქვაკუთხედად დაედო ჩვენი საზოგადოების შემდგომ განვითარებას. იგი იყო ის მთავარი და გზის გამკვლევი მოვლენა, რომლის ცხოვლემყოფელმა ძალამ შემოუბრუნებლად განამტკიცა სოციალისტური საზოგადოების აღმავლობა, სოციალიზმის ბანაკის ერთიანობა. XXII ყრილობიდან იწყებდა ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიის ახალი ხანა, — კომუნისმის გაშლილი მშენებლობის ხანა.

დიდია საბჭოთა ხალხის მიღწევები, რომელშიც თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომლებმა. საქართველო გადაიქცა ძლიერი მრეწველობისა და მაღალი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ახლა ჩვენი რესპუბლიკა თითქმის დღენახევარ-

ში გამოიმუშავეს იმდენ ელექტროენერგიას, ყოველ ცხრა დღეში იღებს იმდენ ქვანახშირს, რამდენსაც საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელი წლის მანძილზე აწარმოებდა. გადავხედოთ წარსულს. სად აწარმოებდნენ წინათ ჩვენში ფოლადსა და თუჯს, ლითონსაპირელ ჩარჩებსა და მრავალი სახეობის მანქანებს, ელექტრომაშინებს და ავტომობილებს, უზუსტეს ხელსასწოვებს, სასუქებსა და ხელოვნურ ბოჭკოებს, ცემენტს, შიფერსა და მძი-მრეწველობის მრავალ სხვა პროდუქციას? სად იყო მაშინ ჩაის, ლენის, შამანურის, კონსერვების, ქსოვილების, ფისსაქიმლის, ავიჯის, მსუბუქი, კვეპისა და საფეიქრო მრეწველობის სხვა პროდუქტების ისეთი ასორტიმენტი, რომლითაც ასე სახელგანთქმულია ახლა ჩვენი რესპუბლიკა. საქართველო ახლა იძლევა იმდენ და ისეთ პროდუქციას, რომელიც რამდენიმე ასულჯერ და, ზოგჯერ, ათასჯერაც კი აღემატება პროდუქციის გამოშვების რეკორდულ მაჩვენებლებს. მართო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს მრეწველობის პროდუქციის საერთო ღირებ 15 პროცენტით გაიზარდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 პროცენტისა. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკაში უშენდა 23 ახალი რამდენიმე ფაბრიკა, მათ შორის სამი გამამდიდრებელი ფაბრიკა ქობულარაში, მკირევაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა ქუთაისში, ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური და მრავალი სხვ. უდიდესი მოვლენა იყო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მძლავრ მილსაგლიანვ დგან „400“-ის სრული ავტომატიზაცია. გასულ წელს საწარმოო პროცენტული მეტანიშნულები და ნაწილობრივ ავტომატიზებული იქნა 52 ჩაის ფაბრიკაში, რითაც მათი სამრეწველო სიმძლავრე 50 პროცენტით გაიზარდა. გასულ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 102 პროცენტით შეასრულა. საქართველოს მრეწველობა ახლა უშვებს მრავალი სახეობის პროდუქციას, რომლის რაოდენობა ხშირად ბევრად ჭარბობს ზოგი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის მიერ გამოშვებულ იმავე სახეობის პროდუქციას. მაკალად, საქართველოში ახლა ყოველ სულ მოსახლესზე მეტი თოჯინა მუშაობდა, ვიდრე იტალიაში, 1,3-ჯერ მეტი ცემენტი, ვიდრე აშოინიაში, და 1,2-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში, 9-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე თურქეთში, რომელიც თავისი ტერიტორიით თითო-მეტჯერ აღემატება საქართველოს. უკვე მიმდინარე წელს საქართველო გამოუშვებს მეტ მძიმე სამაგისტრალი ელექტრომაგალს, ვიდრე საფრანგეთი, სა-

საქართველო შმაღლენი განათლების მქონე პირთა მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

საქართველოში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის ვმ პირი შმაღლენი განათლებით.

საქართველოს მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს თავიანთი შრომითა და ნიჭით ღირსეული წვლილი შეაქვთ საზოგადოებას და კულტურის სავანეებში. გვკრმა მათგანმა მ ს ო ჯ ლ ი ო ს ა ხ ე ლ ი მოიხვებო.

ნ. ს. ხაუშჩიანი

დაც მრეწველობის ეს დარგი დიდი ხანია განვითარებულია. ყოველივე ეს მიღწეული საქართველოს მშრომელთა დაუღალავი, შემოქმედებითი შრომით, რომლის ხაყოფას ახლა მთელი ხალხი იმყის.

დიდი წარმატებები მოიპოვა ჩვენმა რესპუბლიკამ სოფლის მეურნეობის დარგშიც. საქართველოს მოწყვეს საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტი, ციტრუსების — 98 პროცენტი, საქართველო ღვინოების, ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის, ევერსტონების და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია. იგი ამ მხრივაც ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

ძლიერი ირეწველობისა და სოფლის მეურნეობის საფუძველზე, მაღალ მატერიალურ ბაზაზე, საქართველოში მიმდინარეობს განვითარება მეცნიერება, კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება. ამჟამად საქართველო უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ჩვენში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 38 პირი უმაღლესი განათლებით, 166 მოსწავლე — სამედიცინო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1913 წელს სასკოლო საქართველოში ერთი ექიმი 4.000, ხოლო სოფელში — 63 ათას მცხოვრებს ემსახურებოდა. ახლა კი ერთი ექიმი ემსახურება 300 მცხოვრებს, მაშინ როცა შეერთებულ შტატებში ერთი ექიმი მოდის 1.000 მცხოვრებზე.

დიდი საერთოველის მეცნიერთა მიღწევითა ბევრი ქართული სწავლულის სახელი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გასცილდა და მათი ცოდნა და გარჯა მშობლიური ქვეყნის სიკეთესა და ბედნიერებას ემსახურება.

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის ორგანიზაციებმა. შეიქმნა ახალი მაღალი დონის, მხატვრული ოსტატობით დაწერილი არაერთი პროზაული ნაწარმოები, ლექსი, პოემა, პიესა. კომპოზიტორებმა და მხატვრებმა, მოქანდაკეებმა და გრაფიკოსებმა, და კერამიკოსებმა და გამოყენებითი ხელოვნების წარმომადგენლებმა გასულ წელსაც გაახარეს სამშობლო ახალი ქმნილებებით. ქართულმა საბჭოთა თეატრმა შექმნა არა ერთი საინტერესო სპექტაკლი. გაიზარდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები, დაწინაურდა ახალგაზრდობა, რომელიც უფროს თაობასთან შემოქმედებით კონტაქტში იქნება და ქმნის სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე დამყნობილ მხატვრულ ტილოებს. ნაციონალური ფორმისა და ინტერნაციონალური შინაარსის ნაწარმოებებს.

გასულ წელს დიდი მოვლენა იყო საქართველოს

მხატვრული შემოქმედებითი ორგანიზაციების ყრილობები, რომლებზეც შეჯამდა მხატვართა კავშირის და კომპოზიტორთა კავშირის მიერ ჩატარებული მუშაობა.

მაგრამ მხატვრული შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლი, რომლის გამოსასწორებლად ერთსულვონად უნდა დაირაზმოს ყველა შემოქმედელი.

ბევრმა გასაკეთებელი მხატვრობაში, მუსიკაში, თეატრში, კინემატოგრაფიაში. არ შეიძლება თვალის დახეუვა იმაზე, რომ ჯერ კიდევ ცოტა პიესები და კინოსცენარები თანამედროვე თემაზე, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა აღიანიებზე, იმათზე, ვინც ქმნის საწარმოო პროდუქციას, ვინც ამრავლებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, თეატრები ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ღრმაიდეური და მაღალ-მხატვრული პიესებით, თუმცა არის შემთხვევა, როცა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი არა საკმარის ზრუნვას იჩენს ასეთი პიესების შესაქმნელად.

კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი მხატვრულ კინემატოგრაფიაში. კინოხელოვნების მუშაობაში კვლავ ვალში რჩებიან. საბჭოთა საქართველოს მშრომლები, ინტელიგენცია, მუშათა კლასი, კომუნისტური გლეხობა ღირსა იმისა, რომ მართლად და მკაფიოდ იცნენ ასახული კინოშემოქმედებაში. ეს უფრო გაზრდის ხელოვნებისა და ხალხის ურთიერთკავშირს, მისცემს ხელოვნებას მეტ სუნთქვას, აქცევს მას ქვეშაირტ ხელოვნებად.

ახლა ამოცანა იმაშია, რომ მტკიცედ ვაგაბართო პარტიის XXII ყრილობის მოთხოვნა — საბჭოთა ხელოვნება წინ წაუძღვეს მასებს, აღაფრთოვანოს იგი დიად მიზნის, კომუნიზმის გაბრუნების, დასაჩქარებლად, შთაბეროს მასებს ახალი ძალები, აღავსოს შრომის ენთუზიაზმით, აჩვენოს დღევანდელი დღის მშენებლობა და დაანახოს უფრო უკეთესი მომავლის სურათი, რომლის ცხოვრებამი განხორციელება მთელი ჩვენი ხალხის ერთობლივი ვალია.

საქართველოში ყოველ 300 მცხოვრებზე 1 ექიმი მოდის. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 1 ექიმი 1000 მცხოვრებზე.

საქართველოში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის სამჯერ მეტი მოსწავლე, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.



პარტიის XXII ყრილობა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების ამოცანები

აბესალომ კალანდარიშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში და სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული გეგმა, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომუნისმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომუნისტური საზოგადოების ურთიერთობის ფორმირება და ახალი ადამიანის აღზრდა. ყველა ეს ამოცანა ერთმანეთთან მჭიდროდა დაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებენ. არცერთი მათგანის გადაწყვეტა არ შეიძლება ერთმანეთის გარეშე.

ამრიგად, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბების საკითხი ისტორიაში პირველად პრაქტიკული სადღისო ამოცანა გახდა. როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს კომუნისტური საზოგადოების წევრს?

კომუნისტური საზოგადოების წევრი, მისი მშენებელი ადამიანი უნდა იყოს მაღალშეგნებული, დისციპლინირებული, თავისუფალი ძველი გადმონათებისაგან, ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომელშიც პარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

ასეთი ადამიანის აღზრდის საქმეში გადაწყვეტი როლი იდეოლოგიურმა მუშაობამ უნდა შეასრულოს. სკკპ XXII ყრილობამ მასეში იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლება და გააღვირება პარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად, მისი პრაქტიკული საქმიანობის წარმატების უზინშეგნელოვანეს პირობად დასახა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში, ყრილობის გადაწყვეტილებებში და სკკპ ახალ პროგრამაში გამაზიებულია ყურადღება იმაზე, რომ კომუნისმის მშენებლობის პროცესში იდეოლოგიური მუშაობა პარტიაში, საბჭოთა, კომკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მთავარი და მუდმივ მოქმედი ფაქტორი უნდა გახდეს.

თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების პროპაგანდა და მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავება საზოგადოების ყველა წევრში, ბროლია კაპიტალიზმის გადმონათების ადომებრივ-სათვის ადამიანის შეგნებაში და მშრომელთა კეთილშობილი ზნეობრივი პრინციპების სულისკვეთებით, რაც განსაზიერებულია კომუნისმის მშენებელთა მორალურ კანდექსში.

კომუნისმი იქმნება მილიონობით მშრომელთა შეუპოვარი, შემოქმედებითი შრომის შედეგად. კომუნისმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა მით უფრო სწრაფად და წარმატებით განხორციელდება, რაც უფრო ღრმად შეიგნებენ მშრომელთა ფართო მასები სკკპ პროგრამით დასახულ დიად ამოცანას, რაც უფრო მეტად ჩამუშებენ კომუნისტური საზოგადოების შრომით ვერხულში.

„ამაგამდ, — აღნიშნულია სკკპ XXII ყრილობის რეზოლუციაში, — იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ღრმა განმარტება, საბჭოთა საზოგადოების მშენებელთა შეიარაღება კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლის, პარტიის ახალი პროგრამის განხორციელებისათვის ყველა მშრომელის დარაზების დიად გეგმით“. ამ ამოცანის განხორციელებას უნდა დაეკვემდებაროს მასებზე პარტიის იდეური გავლენის ყველა საშუალება: პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, ლიტერატურა და ხელოვნება.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და მასალების თვითუღ მშრომელამდე დაყვანისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ბიბლიოთეკებში, კლუბებში, სამკითხველოებში, კულტურის სახლებში, მუზეუმებში სისტემატურად ტარდება საუბრები, ლექციები, მოხსენებები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, მკითხველთა კონფერენციები. ეწყობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩოხატაურის სარიონი კულტურის სახლი. აქ პარტიის XXII ყრილობის მასალებზე 10-ზე მეტი ლექცია-მოხსენება ჩატარდა. მათ შორის: „სკკპ XXII ყრილობა კომუნისმის მშენებელთა ყრილობა“. „ყოველმხრივ განვითარებული და მაღალმოდულეკულტურული სოციალისტური სოფლის მეურნეობა კომუნისმის აშენების აუცილებელი პირობაა“ და სხვ.

მიწყობილია კარგად გაფორმებული სტენდი თემაზე: „კომუნისმის მშენებლობის დიად პროგრამა“. კულტურის სახლთან მუშაობს სახალხო თეატრი, სიმფონია და ცეკვის ანსამბლი, ავტომატურული ბრიგადა, რომლებიც საღამო-კონცერტებს მართვენ არა მარტო რაიონის ცენტრში, არამედ რაიონის ცენტრიდან დაცილებულ მაღალმითან სოფლებშიც.



ა. ქუათელაძე

უბრძნის ვრედა



სკკ XXII ყრილობის მასალების გაცანობად შინა-არსიან მუშაობას ატარებს ცხაკაიას სარაიონო კულტურის სახლი. აქ სისტემატურად ტარდება საუბრები, ლექციები და მოხსენებები პარტიის XXII ყრილობის დადგენილებისა და მასალების შესახებ. აქ ჩატარდა ლექციები თემაზე: „სკკ პროგრამა — თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მასინფსტრია“, „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მქონე ადამიანის ახლანდელი კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა“ და სხვ. კულტურის სახლს მუშაობაში დაედა ეხმარება კულტურის საბჭო, რომელიც 9 წევრს აერთიანებს. კულტურის საბჭოს თვითწოდებაა წევრზე დაფუძნებული განაწილებულია. კულტურის სახლს შედგენილი აქვს კვარტალური სამუშაო გეგმა, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი რაიონის მოსახლეობის კულტურული მომსახურების ღონისძიებებს.

კარგად არის დაყენებული სკკ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდა ზედა რაიონის რაიონის სოფელ ახალსოფლის კლუბში (გამგე რ. მაქცარია). აქ ტრადიციულ იქცა კომუნურნობა დასვენების სადამოების მოწყობა. ერთ-ერთი საღამო მიძღვნა სკკ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ახს. რ. მაქცარიაში საინტერესო საუბარი ჩატარა ყრილობის მნიშვნელობის შესახებ, მოუთხრო დაწმარებებს სოფელ ახალსოფლის განვითარების პერსპექტივებზე.

შემდეგ განახლებული რეპერტუარით, რომელიც პარტიის XXII ყრილობას მიძღვნა, გამოვიდა საკომუნურნო სიმღერისა და ცეკვების ანსამბლი. ანსამბლმა შესრულა სიმღერები: „პარტია და ხალხი“, „პარტიის პროგრამა ხალხის პროგრამა“, „ლენინი გვინათებს კომუნისმის გზას“ და სხვ.

ნაყოფიერ შემოქმედების მუშაობას ეწევა გაერუბნის რაიონის სოფელ მარტყუთის კულტურის სახლი, მისი დრამატული, მომღერალთა, ქორეოგრაფიული, ქრატვის შემსწავლელი და სხვა წრეები. დრამატულ წრეში 22 ახალგაზრდა გაერთიანებული, წრემ მოამზადა და მაცურებელს უწევნა ა. აფხაიძის პეისა „ილაღებზე“ ა. ცაგარლის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და სხვ.

მაყურებელთა სიმბადა დაიმსახურა მომღერალთა გუნდმა, რომელმაც მოამზადა თანამედროვე რეპერტუარი, პროგრამაშია თანამედროვე კომპოზიტორებისა და ქართული ხალხური სიმღერები.

კულტურის სახლი შემოღებულა შრომობელთა სურვილებისა და წინადადებათა წიგნი. შექმნილია საცნობარო-საკონსულტაციო ბიურო. სისტემატურად ეწყობა თემატური გამოვენები, დგას დაფა წარწერით: „საგულისხმო იყოლეო“, რომელზეც ყოველ ორ კვირაში ერთხელ აკრავს ცნობებს ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე. სკკ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებად წარმოებულ მუშაობაზე.

კარგადაა მუშაობა დაყენებული მხარაძის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, აბაშისა და გურჯაანის სარაიონო, თელავის რაიონის აკურის, ქობულეთის რაიონის ბობოყევის, ჭიათურის რაიონის წირქვის, გორის რაიონის ტყვიავის და საგარეჯოს რაიონის სართიჭალის კულტურის სახლებში.

სკკ XXII ყრილობის ისტორიული დადგენილებების

პროპაგანდას წარმატებით ეწევიან კარლ მარქსის საცნობარო სახელმწიფო, ა. ჯავაჩიძის სახელობის სამეცნიერო საქალაქო, ზესტაფონის, გავრის, ქობულეთის, გურჯაანის, მცხეთის, ზუგდიდის, მხარაძის, აბაშის, სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკები.

კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა მკითხველთა თეორიული კურსკონფერენცია თემაზე: „კომუნისმის მშენებელთა ყრილობა“, თეორიულ რაიონის სოფელ ასურეთის კომუნურნობაში ბიბლიოთეკის მუშაკებმა მოაწყვეს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა თემაზე: „მეცხოველეობის პროდუქტთა გადაღების გზები“, თბილისი ა. ჯავაჩიძის სახელობის საკალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შეადგინა და ბიბლიოთეკებს დაუგზავნა კითხვის თემატური გეგმები თემაზე: „მარქსიზმ-ლენინისმის ფუნქციონირება“, „ჩვენი მიზანი კომუნისმია“, „კომუნისმის ნათელი მომავალი“, „შვიდწლიანი ადამიანები“ და სხვ.

ზესტაფონის № 1 საკალაქო ბიბლიოთეკაში მოწყობილია მიღერი ილუსტრირებული გამოფენა მიძღვნილი სკკ XXII ყრილობისადმი. გამოფენა სამი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში — „დიდი გამარჯვების შედეგი“ — წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის მიღწევების მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და კულტურაში. მეორე განყოფილებაში — „მშვიდობისა და მეგობრობის მედროე“ — წარმოდგენილია მასალები, რომელიც ასახავს სსრ კავშირის ბრძოლას მშვიდობისა და მეგობრობისათვის მთელ მსოფლიოში. აქვს რუკა, სადაც ნაჩვენებია, თუ რომელ ქვეყნებმა აქვს კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა სსრ კავშირს. მესამე განყოფილებაში „კომუნისმის მშენებლობის პროგრამა“ მოთავსებულია მასალები კომუნისტური მშენებლობის საკითხებზე.

ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკაში მოწყობილია გამოფენა „კომუნისტური პარტია კომუნისმისათვის ბრძოლაში“. გამოფენაზე წარმოდგენილია ლიტერატურა და დიკარამები, რომელშიც მოცემულია, თუ როგორ განვითარდება ორი ათეული წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები, მოწყობილია სტენდი ზესტაფონის რაიონის ეკონომიკასა და კულტურის განვითარებაზე ორი ათეული წლის განმავლობაში. ლანჩხუთის სარაიონო ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა „ყველაფერი ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის“, გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკამ შეადგინა საბიბლიოთეკო პლაკატი, სადაც გამოსახულია „სკკ პროგრამა“, იქვეა პროგრამიდან ამონაწერი — „კომუნისმის მშენებლის კოდექსი“.

ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკამ სოფელ საქარაში ჩატარა თემატური საღამო, სადაც მოხსენებებით თემაზე „სკკ XXII და საქართველოს კ XXI ყრილობების გადაწყვეტილებები და ჩვენი ამოცანები“ გამოვიდა კულტურის განყოფილებასთან არსებული საუწყებოთა-შრომის ბიბლიოთეკების საბჭოს თავმჯდომარე ლ. გველესიანი. ხოლო საბჭოს წევრმა გ. გუგუშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სკკ პროგრამა კომუნისტური საზოგადოების მშენებლის პროგრამა“.

ლანჩხუთის სარაიონო ბიბლიოთეკასთან არსებული საბჭოს ინიციატივით, რომლის თავმჯდომარეა ლანჩხუ-



ნ. შალვაშვილი

საქოლმეურნეო მინდორში



თის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ანხ. ვ. შვეცილოძემ ჩატარდა მეთხველთა კონფერენცია თემაზე: „კომუნისმი კაცობრიობის ნათელი მომავალი“.

ესაგანგებულ წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობაში ფართოდ დამკვიდრდა მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა: თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, თეორიული კონფერენციები, ზეპირი ჟურნალი. მოწინავეებთან შეხვედრები და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რაც უფრო შინაარსიანსა და საინტერესოს ხდის ასეთ ღონისძიებებს.

კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „სკკპ პარტიის პროგრამა — კომუნისმის მშენებლობის პროგრამა“ ჩატარდა ბოლნისის სარაიონ კულტურის სახლში. დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს სკკპ XXII ყრილობის დელეგატმა ბოლნისის რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მამედოვმა პარტიის ბოლნისის რაიონის მდივანმა ნ. მედარაშვილმა, საშუალო სკოლის დირექტორმა გ. გობეჯიშვილმა, რაიონის სახალხო მოსამართლემ ა. აფხაზავამ, ბოლნისის მერქვეყნა-მეხოსტენების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე ბრიგადირმა ე. ჭვარციანიამ.

კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „შრომისა და ბედნიერების პროგრამა“ ჩატარდა ქობულეთის სარაიონ კულტურის სახლში. დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს პარტიის ქობულეთის რაიონის პირველმა მდივანმა მ. ხვიჩიამ, ბაჟოუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. გორგილაძემ, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა მ. კულბაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა მქაჩაი მაყვალა ჯინჭარაძემ და სხვ.

ონის სარაიონ კულტურის სახლში კითხვა-პასუხის საღამო ჩატარდა თემაზე: „საბჭოთა ადამიანის ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისმის დღეს“. წალენჯიხის კულტურის სახლში კითხვა-პასუხის საღამო ჩატარდა თემაზე: „წარმატებით განახორციელოთ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი“. ანალოგიური კითხვა-პასუხის საღამოები ჩატარდა სიღნაღის, სავარჯიშოსა და სხვა რაიონებში.

თეორიული კონფერენცია მიძღვნილი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებისადმი ჩატარდა ღონისძიების კულტურის სახლში, ხოლო „ზეპირი ჟურნალი“ მოეწყო ამბროლაურის რაიონის სოფელ წყისის კულტურის სახლში.

კომუნისმის მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებაში ახალი, მოწინავე მეთოდების დანერგვას. მოწინავეთა გამოცდილების ფართო განხორციელებასა და პროპაგანდას. ამ მხრივ ბევრი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება გარკვეულ მუშაობას ეწევა. აწყობს მოწინავეებთან შეხვედრებს. ამ საქმეში დადებითი გამოცდილება დააგროვებს: ზუგდიდის, ზესტაფონის, წალენჯიხის, ცაგერის და ხოხის რაიონებმა. ზუგდიდის რაიონის საკულტო დაწესებულებების ინიციატივით მოეწყო შეხვედრები ორჯუბის სოციალისტური შრომის გმირთან, მქაჩეთ. ყუფუნასთან, რუხის კომუნისტების მოწინავე მწველენ ნ. ლეონიძესთან, მქაჩეებთან გ. ნარსისასთან და თ. გოგასთან. კარგი ღონისძიება

განახორციელებს ზუგდიდის, წალენჯიხის და ხოხის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებმა, როცა მათ ზუგდიდისა და ხოხის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეხვედრები მოაწყვეს. ეს შეხვედრა არა მარტო მოწინავე გამოცდილების განხორციელება იყო, არამედ იგი გადაიქცა მშრომელთა ნამდვილ ზემოდა, რომელშიც ნათლად გამოიხატა პარტიისა და მთავრობის ის დიდი ზრუნვა, რასაც ისინი შრომის გმირების მიმართ იჩენენ.

მაგრამ ყველა საკულტო დაწესებულება როდი აქცევს სათანადო ყურადღებას ახსქმეს. მასობრივი ღონისძიებები იშვიათად ტარდება ამხეტის, წითელწყაროს, ყვარლისა და თერჯოლის საკულტო დაწესებულებებში, წითელწყაროს რაიონის ზემოქედის, ქობულეთის რაიონის ალაშხრის კულტურის სახლებში არაფერი კეთდება, არცერთი სახის წრე არ არის შექმნილი, არ არსებობს საკულტო მუშაობის საბჭო, არ იკითხება ლექცია-მოსხენებები, არ ტარდება სხვა მასობრივი ღონისძიებანი. თითქმის ასეთივე მდგომარეობა ყვარლის რაიონის შიღდის, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის კულტურის სახლებში. აქ წრეები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, კულტურის სახლების მუშაობაში ჩაზნუბილი არ არის აქტივი, ინტელიგენცია. დასახლებული რაიონების ბევრი საკულტო დაწესებულების მთელი მუშაობა ხშირ შემთხვევაში კინოფილმების ჩვენებით ამოიწურება. მართალია, საკულტო დაწესებულებებში მასობრივი ღონისძიებების ჩატარება რთული და ძნელია, ვიდრე კინოფილმების ჩვენება, რადგან იგი საკულტო დაწესებულებების მუშაკებისაგან მოითხოვს მეტ დაფიქრებას, შრომასა და ენერჯიას, მაგრამ ასეთი ღონისძიებების ჩატარება აუცილებელია, რადგან იგი უფრო შინაარსიანს, ხალისიანს და ცხოველმყოფელს ხდის საკულტო დაწესებულებების საქმიანობას.

სასოფლო კულტურის სახლების ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მათთან მცირე რაოდენობითაა შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა და სხვა საერთო-საგანმანათლებლო წრეები, იშვიათად იკითხება ლექციები სასოფლო-სამეურნეო თემაზე.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პროპაგანდის და მის შესასრულებლად მასების მობილიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს თვალსაჩინო ატარტყავს ასრულებენ. ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი თვალსაჩინო ავტოცაცია კარგად არის მოწყობილი ახალქალაქისა და ღონისძიების სარაიონში. ფოთის საქალაქო კულტურის სახლებში. ამ კულტურის სახლებში მოწყობილი სტენდები და ფოტოგამოფენები თავიანთი შინაარსით მრავალფეროვანია. მაგალითად, ახალქალაქის კულტურის სახლში მოწყობილია მხატვრულად კარგად გაფორმებული სტენდი თემაზე: „სკკპ ახალი პროგრამა-მოქმედებაში“, ფოთის საქალაქო კულტურის სახლში:— „სკკპ კომუნისმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში“, ღონისძიების სარაიონ კულტურის სახლში — „კომუნისმის მშენებლობის დღივი პროგრამა“ და სხვ.

მაგრამ მთელ რიგ საკულტო დაწესებულებებში სათანადო ყურადღება არ ექცევა თვალსაჩინო ავტოცაციას. მაკულტურის სახლებში არ აქვთ დოზუფენები, პლაკატები, დიაგრამები, სტენდები XXII ყრილობის მასალებზე.



ამასთან იშვიათად როდია შემთხვევები, როცა კულტურის სახლებში და კლუბებში ვხვდებით მოძველებულ ძლიერ ტემს, ლოზრებს, დივარამებს, სტენდებს, ფოტოგამოწვენებს, რომელიც არ მასუბობენ მიმდინარე ეტაპზე პარტიის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმულ ამოცანებს, მის განახლებასზე ეს საკლუბო დაწესებულებების ხელმძღვანელები არ ზრუნავენ. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს თვალსაჩინო ავტაციას; თვალსაჩინო მასალებით ნათელი გაეხადოს კომუნის მშენებლობის დიდი გეგმა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო. ამასთან თვალსაჩინო მასალებში ათაღად უნდა აღსახოს რაიონის წინაშე მდგომი ამოცანები და მშრომელთა ბრძოლა მისი შესრულებისათვის.

კომუნისზე გადასვლის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასების ესთეტიკურ აღზრდას, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებას. მშრომელთა ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი საშუალებაა მხატვრული თვითმოქმედება. ამიტომ, სკკპ ახალ პროგრამაში დასახული ამოცანა, რათა კიდევ უფრო განვითარდეს მხატვრული თვითმოქმედება, სახალხო თეატრები, კულტურის უნივერსიტეტები და სახლური შემოქმედების სხვა ფორმები.

მხატვრული თვითმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა ჩატარდა. მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საზოგადოებრივი დათვალიერება, მხატვრული თვითმოქმედების ინდივიდუალური შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი და სხვა, რამაც კიდევ უფრო მასობრივი გახადა სახლური თვითმოქმედება და აამაღლა მისი მხატვრული დონე. ამჟამად რესპუბლიკის საკლუბო დაწესებულებებთან ნ ათასამდე სხვადასხვა სახის წრე და ავტომხატვრული ბრიგადა არსებობს, რომელშიც 80 ათასზე მეტი აკცია გაერთიანებულია.

სახლური თვითმოქმედების ნამდვილი მასობრიობის მკაცრი ილუსტრაცია იყო მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს.

ოლიმპიადამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ თვითმოქმედება კოლექტივების რეპერტუარი მნიშვნელოვნად გამდიდრდა. ხალხმა შექმნა ახალი შთამაგონებელი სიმღერები, ცეკვები, ხალხური ბოჰეზის საუკეთესო ნიმუშები და ხალხური შემოქმედების სხვა ნაწარმოებები, მაგრამ ამავე დროს ოლიმპიადამ გამოავლინა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობაში არსებული ნაკლებობები. ოლიმპიადაზე მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი სატარა და იუმორი, სიმფონიური, სასულიერო, ქართული ხალხური საკრავების ორკესტრები, ხალხური მოქმედები და მოლექსები, რასაც მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საკლუბო დაწესებულებების ხელმძღვანელთა უყურადღებობის შედეგად ბევრი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი ოლიმპიადის ჩატარებისთანავე დაიშალა.

უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა საკლუბო დაწესებულებებთან არსებული თვითმოქმედების დრამატული კოლექტივების მუშაობა. ამჟამად რესპუბლიკაში 1200-მდე დრამატული კოლექტივია. ბევრი მათგანი შემოქმედებითად ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რომ მაღალი ოსტატობით დაემან როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე თემებზე დაწერილ პიესებს. სწორედ ამ შემქნა საჭირო პირობები — ზოგიერთი შემოქმედებითად ძლიერი კოლექტივის ბაზაზე შექმნილიყო სახალხო თეატრები. ამჟამად რესპუბლიკაში 32 სახალხო თეატრია. აქედან 4 პროფესიონალის საკლუბო დაწესებულებასთან არსებობს, 25 სარაიონო კულტურის სახლთან, ხოლო ერთი სასოფლო კულტურის სახლთან.

სახალხო თეატრებმა 1960-61 წლის სეზონში დადგეს 61 ახალი პიესა. (მათ შორის თანამედროვე თემაზე 36), სეზონის განმავლობაში გაართეს 54 წარმოდგენა, აქედან 238 — სოფლად. სახალხო თეატრების სპექტაკლებს 136 ათასი აკცია დაესწრო.

არც თუ ისე დიდ ხანია, რაც სახალხო თეატრები შეიქმნა, მაგრამ ბევრმა მათგანმა მათ შორის ბიოჯოშის, ამპროლაურის, ლანჩხუთის, ჩხობატაურის, ცხაკაისა, ხაშურის, მცხეთის, გურჯაანის რაიონის ველისციხის სახალხო თეატრებმა მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებებს მიაღწიეს, საკმაო ავტორიტეტი მოიპოვეს და ყოველგვარი მხარდაჭერით სარგებლობენ მოსახლეობაში. მათი რეპერტუარი მრავალფეროვანია, სადაც ჭარბობს თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესები.

ასეთი კარგი მუშაობის შედეგად ზოგიერთმა თეატრმა მიმდინარე სეზონში განახორციელა რთული და მაღალი დეურის სპექტაკლები: მცხეთის თეატრმა დადგა ნ. დუმბაძისა და ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილიკონი“, ბორჯომის თეატრმა — პარნიას „აფროდიტის კუნძული“, ხაშურის თეატრმა ვ. ქეღელიძის — „ახალგაზრდა მასწავლებელი“ და სხვ. კარგად დაიწყეს 1961/62 წლის სეზონი ტყუილის, მიაკოყისა და ონის სახალხო თეატრებმა.

ამ რაიონებში სახალხო თეატრების ნაყოფიერი მუშაობა იმით აიხსნება, რომ სარაიონო კულტურის სახლების ხელმძღვანელობა ყოველგვარ პირობებს უქმნის მათ გეგმავლობით და ინტენსიური მუშაობისათვის.

მაგრამ ყველგან როდის იჩენენ სათანადო ზრუნვას სახალხო თეატრებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ კულტურის სახლს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს, უზრუნველყოფილია შესიობით, საჭირო ინვენტარით, დეკორაციებით, გარდერობითა და სხვა, ისინი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ცუდია მათი ფინანსური მდგომარეობა. ასე იქმნის დუშეთისა და ყვარლის სახალხო თეატრების შესახებ.

დუშეთის, ყვარლის, სავარჯის, და ზოგიერთ სხვა სახალხო თეატრებში ხშირია რეკვიზიტებისა და მხატვრების ცვალებადობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სახალხო თეატრების მუშაობაზე. ეს კი ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ კულტურის სახლის ხელმძღვანელები სათანადო პირობებს არ უქმნიან სახალხო თეატრების მუშაობისათვის, ამასთან ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა კულტურის სახლის დირექტორები სახალხო თეატრების სპექტაკლებიდან შემოსულ თანხებს სხვა დანიშ-



ნულებისათვის იყენებენ, რაც მიმღე ფინანსიურ მდგომარეობას აყენებს სახალხო თეატრებს.

სახალხო თეატრის მუშაობას ნაწილობრივ ისიც აფერხებს, რომ მათ არ აქვთ სათანადო რეპერტუარი, რის გამო სახალხო თეატრის ხელმძღვანელები ზოგჯერ იძულებული არიან დადგან პიესები, რომელიც განუყოფელია პროფესიონალური თეატრისთვისაც. ასეთი პიესების დადგმა კი დიდ სიროულსა და ხარჯებს იწვევს. სპექტაკლებიც ხშირად იდურად და მხატვრულად არ დგას სათანადო სიმაღლეზე; დაბალია შესრულების დონე. ასეთი შემთხვევები რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა მთელი მონდომებით მოვეცდეთ რეპერტუარის სწორად შედგენის საქმეს. სახალხო თეატრებში დასადგმელად უნდა შევარჩიოთ ისეთი პიესები, რომელთა განხორციელება შემოქმედებითად და ტექნიკურად არ გასცდება სახალხო თეატრების შესაძლებლობას.

რეპერტუარის შექმნის საქმეში სათანადო დახმარება უნდა გაეცემა მწერლებსა და დრამატურგებს.

ამჟამად ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო თეატრების მუშაობაში მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ სკკპ XXII კრილობის ისტორიული დაწესებულებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემოქმედებით საქმიანობას და მთელი მუშაობა იმგვარად წარემართოს, რომ სისტემატურად უზრუნველდებოდეს სახალხო თეატრების მუშაობა, მათ მიერ მოსახლეობის მხატვრული მომსახურება.

პარტიის ახალი პროგრამა გვაგალებს, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ და სრულყოფით ჩვენი ხალხის ყოველი კულტურული მომსახურარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისათვის დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამხატვრო გალერეაში მოეწყო ხალხური სახვითი ხელოვნების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 45ნ თვითმოქმედი მხატვრის ნამუშევარი, ხალხური სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგი (ქედრობა, ქარგვა, კერამიკა, კვეთილობა და სხვ.) წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ბევრმა მაღალი შეფასება მიიღო. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საკულტო დაწესებულებების უმრავლესობა ამ მხრივ ჯერ კიდევ ცოტას აკეთებს.

აღსანიშნავია, რომ დღეს ხალხური სახვითი ხელოვნების ზოგიერთ დარგში, რომელიც წინაა დიდი მხატვრული ღირებულებითა და ნაციონალური მნიშვნელობითაა, თითქმის დაკარგულია. მაგალითად, ჩვენში საკმაოდ განვითარებული იყო ოქრომკვდით ქარგულობა, მაგრამ უკანასკნელ დროს ამ დარგში მოშუშავე ისტატთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და ამჟამად ძნელია დავასახლოთ რომელიმე ახალგაზრდა ისტატტი, რომელიც ეროვნული ქარგულობის ამ რთულ ტექნიკას დამაკმაყოფილებლად დაზოგდეს. მაინც და მაინც ვერც ლითონის მხატვრულად ფლობაების ისტატტები ბრწყინავენ თავიანთი ხელოვნებით. ამრიგად, სახვითი ხელოვნება საკმაოდ ჩამორჩება მხატვრულად თვითმოქმედების განვითარების საერთო დონეს, რის ერთ-ერთი თავიანთი მიზეზს ადვილად შევძლებდეთ განვითარების ცუდი ორგანიზაცია წარმოადგენს. სახვითი ხელოვნების თვითმოქმედი წრეები ერთობ მცირეა. ხალხური სახვითი ხელოვნების უმნიშვნე-

ლოვანეს კერებს ჩვენში ახმეტის, დუშეთის, თიანეთის, ზესტალონის, გორისა და სხვა რაიონებში წარმოადგენენ. მაგრამ ამ რაიონების კულტურის დაწესებულებები თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობენ სახვით ხელოვნების ამ დარგის განვითარებას. არ ახდენენ სახვითი ხელოვნების ისტატტების აღრიცხვას, არ აწყობენ გამოფენებს, არ ტარებენ მათთან სპეციალური სემინარული სამუშაოები და სხვ. საჭიროა საკულტო დაწესებულებებმა, განსაკუთრებით კულტურის სახლებმა, სისტემატური მუშაობა აწარმოონ სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის, უნდა მოეწყოს საუბრები, ლექცია-მოსხენებები სახვითი ხელოვნების თანამედროვე აქტუალურ თემებზე, უფრო მეტი რაოდენობით შეექმნათ წრეები და ჩავაბათ მასში ახალგაზრდობა. ამ მუშაობის საწარმოებლად კულტურის სახლებს ყოველგვარი პირობები აქვთ. ამაზე მივგვითვებს თელავის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სახვითი ხელოვნების წრის გამოცდილება. აქ სახვითი ხელოვნების წრე თითქმის 11 წელია სისტემატურ მუშაობას ეწევა ხატვისა და ფერწერის მოყვარულებთან. ამ წრემ აღზარდა მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელთა ნამუშევრებზეც დიდი გამოწონება დაიმახსურეს რესპუბლიკური და საკავშირე გამოფენებზე.

საკულტო დაწესებულებებმა ხალხური სახვითი ხელოვნების განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მიექციონ. უნდა მივადვილოთ იმას, რომ ყველა კულტურის სახლთან და კალუბთან იყოს სახვითი ხელოვნების ორი-სამი წრე და ჰყავდეს მას კვალიფიციური ხელმძღვანელი.

ქართული ხალხის ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების შესატყვისად გაიზარდა მოთხოვნები მაღალი ხელოვნებისადმი. დღეს მხატვრულ თვითმოქმედებას შეემატა მთელი რიგი ისეთი დარგები, რომლებიც წინათ მხოლოდ პროფესიონალური ხელოვნებისათვის იყო დამახასიათებელი. თვითმოქმედ ხელოვნებაში ფეხი ადევს კინომოყვარულებმა, რომელთა მოკლემეტრაჟიანი ფილმებში დამაკმაყოფილებლად აისახა საბჭოთა თანამედროვეობა. ამ დარგში მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებულია. ამჟამად რესპუბლიკაში ნმ-მდე კინომოყვარულთა წრეა. მაგრამ ამ წარმოწყობაში ჩვენს საკულტო დაწესებულებებს თითქმის არავითარი წვლილი არ მიუძღვის. გამოსაკლისის წარმოადგენს ფოთის საქალაქო და მახარაძის სარაიონო კულტურის სახლები, სადაც შექმნილია კინომოყვარულთა წრეები. მახარაძის სარაიონო კულტურის სახლთან წარმატებით მუშაობს კინომოყვარულთა სტუდია ე. წ. „ლიხარფილმი“, რომლის მიერ გადაღებულ ფილმებს „ჩვენი სოფელი“, „შედწოდის გარეუბრეზე“ და სხვას წარმატებით უჩვენებენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის ეკრანებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ღიდა ახალგაზრდობის მისწრაფება აქტუალურად ჩაებან კინომოყვარულთა წრეების მუშაობაში, ჩვენი საკულტო დაწესებულებები არ ზრუნავენ მათი შექმნისათვის, თუმცა მათ სათანადო პირობები აქვთ. კიდევ მეტი, არის შემთხვევები, როცა შექმნილი წრეც კი დაიშალა კულტურის სახლის ხელმძღვანელობის უფრადღებობით; მაგალითად გასულ წელს, კინომოყვარულთა წრე მოეწყო საგარეჯოში, წრემ შექმნა კარგი ფილმი „შემოდგომა საგარეჯოში“, რომელმაც

1960 წელს, კინომოყვარულთა წრეების მიერ შექმნილი ფილმების დათვალიერების პერიოდში, პრემია კი მიიღო. მაგრამ შემდეგ კულტურის სახლმა ვაღივს წვერებს ხელი არ შეუწყო მუშაობაში და წრე დაიშალა.

ამჟამად კინომოყვარულთა წრეების ნაყოფიერი მუშაობისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. შეიქმნა კინომოყვარულთა საზოგადოება, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს კინომოყვარულთა წრეების ორგანიზაცია და მათი საქმიანობის კოორდინაცია. დახმაროს მათ შემოქმედებით იდეური ღონის ამღებებაში. უნდა ვიზრუნოთ კინომოყვარულთა წრეების შექმნისა და მათი ტექნიკური ბაზის განმტკიცებაზე, კინომოდ-ვაწეებთან შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაზე. საქმე ის უნდა მიუწყოს, რომ კინომოყვარულთა მიერ გადაღებულ ფილმებში სრულად აისახოს ქალაქის, რაიონის, სოფლის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის შემოქმედებითი საქმიანობა. ვაჩვენოთ მასში საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომა სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელების საქმეში.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეიქმნა კულტურის უნივერსიტეტები, რომლებსაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა კულტურული და ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის გაფართოებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. შეუმუშავებელია უნივერსიტეტების სამიზნეობი დაბეჭდება, შეადგინოს სასწავლო გეგმები და პროგრამები, ერთიანი ხელმძღვანელობის მიზნით შექმნილია რესპუბლიკური ცენტრი, კულტურის უნივერსიტეტების საზოგადოებრივი საბჭო.

ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში 41 კულტურის სახალხო უნივერსიტეტია, მათ შორის ქალაქებში — 15, რაიონებში — 19, კოლმეურნეობებში — 7, კულტურის უნივერსიტეტებში 6 ათასამდე მიმენილია გაერთიანებული.

ბევრი კულტურის უნივერსიტეტი სანიმუშოდ მუშაობს. მათ შორის ქ. თბილისის კულტურის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი აკადემიკოსი ი. ბუაჩიძე), რომელსაც თბილისის სხვადასხვა რაიონში რამდენიმე ფაკულტეტი აქვს. ასევე კარგად მუშაობს ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორის, მახარაძის, ზესტაფონის, ჩოხატაურის და სხვა კულტურის უნივერსიტეტები. უნივერსიტეტების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლების მალაკკადიფიციური ლექტორები, ხელოვნების და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწენი.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა კულტურის სახალხო უნივერსიტეტში მეცადინეობა მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ზოგა უნივერსიტეტება (თელავი, დუშეთი) ვერ მოიპოვა პოპულარობა, ვერ მიიზიდა მსმენელები. ეს იმით აიხსნება, რომ აქ უნივერსიტეტი ნაჩქარევად შექმნეს, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენისას არ გაითვალისწინეს მსმენელთა სურვილები. ლექციები იკითხებოდა მშრალად, თვალსაჩინო მასალების გარეშე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კულტურის უნივერსიტეტების არსებობა, გარდა იმისა, რომ ის ახალგაზრდო-

ბის კომუნისტური აღზრდის საუკეთესო ფორმაა, ამავე დროს საუკეთესო საშუალებაა მასობთან ჩვენი წახალისების მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების კავშირის განმტკიცებისა. მასთან საჭიროა განხორციელოთ საჭირო ღონისძიებანი კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ქსელის გაფართოებისათვის. კულტურის უნივერსიტეტების შექმნა სერიოზული საქმეა. იგი მოითხოვს წინასწარ მოზადებას, მისი შექმნისას საჭიროა გათვალისწინოთ, გვეყვას თუ არა დოქტორთა კადრები და გვეყვას თუ არა მსმენელთა ცენტრი. იქ, სადაც ამის საშუალება არის, მიზანშეწონილია კულტურის სახლებთან, სასოფლო კოლბებთან შეიქმნას კულტურის სკოლები, რომლებიც გარკვეულ შეზღოვდ შეტანენ სოფლის მოსახლეობის მხატვრული გემოვნებისა და გონებრივი პოროზონტის გაფართოების საქმეში.

სკკპ XXII ყრილობის ისტორიული მასალების შესწავლის პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ფართოდ ინერგება მასობრივი მუშაობის უფრო სრულყოფილი ფორმები და მეთოდები. ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში მტკიცედ აღმკვიდრდა საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციები, რომელთა მუშაობაში დიდი მონდიომებით მონაწილეობენ გამოჩენილი მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები, ინტელექტუალის წარმომადგენლები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან საზოგადოებრივი საწყისებზე შექმნილია სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო საბჭოებში საბჭო, რომლის წევრები არიან მეცხოერებათა დოქტორები: გ. ჩიტაია, მ. ზახდუკელი, და კაპანაძე, ა. აფციძე, მ. ძეგლია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. ლომთაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრული უნაჯარიძე. პენსიონერები: თეატრმცოდნე ს. გერასიძე, მხარეთმცოდნე ი. არჯვანიძე და სხვები. საბჭოს სლომაზე სისტემატურად იხილება მუზეუმებში მონაწილეობა ციკლონარული ექსპოზიციების, ერთდროული გამოფენების, ექსპედიციების და მარშრუტების გეგმები, ამავე დროს საბჭოს წევრები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მუზეუმების მუშაკებს საქმის უკეთ ორგანიზაციისათვის. ამის შემთხვევები, როცა საბჭოს წევრები ყოველგვარი სასყიდლის გარეშე თვითნებ მიერ უგვრთვით ექსპოზიტებსა და ნივთებს გადასცემენ მუზეუმებს და პირადად მონაწილეობენ მუზეუმებში ექსპოზიციის გამართვის საქმეში. მაგალითად, საბჭოს წევრმა გეოლოგია-მინეროლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. ძეგლიამ საკუთარი ინიციატივით მოაწყო უნების განყოფილების ექსპოზიცია გეგეკორის, ჩოხატაურისა და საგარეჯოს მუზეუმებში.

ასევე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან შექმნილია რესპუბლიკური საუწყებოთაშორის საბიბლიოთეკო საბჭო, რომლის შემადგენლობაშია პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. თეზიშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბადრიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. კალანდაძე, ბიბლიოთეკათმცოდნე დოცენტი ნ. ლორთქიფანიძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ჯავახია, კ. მარქისი სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორი ს. ეული-ქურდიე, საქართველოს



სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორი დ. უზნაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი ს. მარუტუაძე და სხვ. გარდა იმისა, რომ საბჭოს სხდომებზე პერიოდულად იხილებოდა საბიბლიოთეკო მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, ისახება ღონისძიებანი საბიბლიოთეკო მუშაობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოს წევრები სისტემატურად მიემგზავრებიან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში და ადგილობრივ საბჭო დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკებს. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში საბჭოს წევრები 27 რაიონში იყვნენ და პრაქტიკულად დაეხმარნენ ბიბლიოთეკის მუშაკებს სკკპ XXII ყრილობის მასალების პროპაგანდის მოწყობის, წიგნის თვითულ ოჯახამდის მიტანის საქმეში.

კარგი შედეგი გამოიღო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოსთან საზოგადოებრივ საწყისებზე ინსპექტორთა ჯგუფის შემქმნა, რომელთა შორის არიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები: ა. კალანდიაძე, გ. მიქაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. ტყეშელაშვილი, პეშინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი ლ. კვიციანიძე და ო. მსაძე. ა. გაფარიძის სახელობის თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეთოდისტი გ. მუხაშვირი და სხვ. ინსპექტორთა ჯგუფის წევრები, გარდა იმისა, რომ ამაზღებენ საკითხის სამინისტროს კოლეგიისათვის, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს საქმის უწყვეტ წარმართვაში.

საზოგადოებრივ საწყისებზე მოეწყო და ნაყოფიერად მუშაობენ საკლამენტურები, საფარბეო და სასკოლო მუზეუმები, რომელთა რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში 16-მდეა. ასევე წარმატებით შეუდგნენ მუშაობას საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობილი ბიბლიოთეკები ქ. თბილისში და რუსთაველი, კულტურის განყოფილება თბილისის ლენინის რაიონში.

მავრამ რაც ვაკეთდა ამ მიმართულებით, საკმარისი არ არის. საჭიროა კიდევ უფრო გავამდიეროთ საზოგადოების მიწაწილობა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ყველა მასწავლებელი და სარაიონო კულტურის განყოფილებებთან უნდა შექმნათ საბიბლიოთეკო და საკლამენტო მუშაობის საბუთები. მუშაობაში ფართოდ ჩაებათ საზოგადოებრივი ინსპექტორები, გაეფართოვონ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების ქსელი.

სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახეული ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაიქმნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და მისი განყოფილებების, სამმართველოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობა, ახლა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ინსპექტორები, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის, მარქსის სახელობის ბიბლიოთეკის მე-

თოდური განყოფილების მუშაკები აღარ გამოყოფილებიან ადგილებზე უზრალო მისვლით, შემოწმებითა და ზოგადი მითითებების მიცემით, არამედ ისინი უშუალოდ მონაწილეობენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიმდებარე ეტაპზე, როცა საბჭოსა ხალხი თავდადებით შრომობს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ დაწესებულებათა შეიქმნადის მეთხვე წლის გეგმების შესრულებისათვის. კულტურის დაწესებულებების უპირველესი ამოცანა ყველა საშუალებით აწარმოონ სკკპ XXII ყრილობის დადგენილებათა, პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროპაგანდა და ასხნა-განმარტება. ყრილობის მასალების პროპაგანდა უნდა იყოს კონკრეტული, ორგანულად დაკავშირებული ცხოვრებასთან, საბჭოსა ადამიანის ყოველდღიურ შრომასა და ბრძოლასთან. საზოგადოების თვითულ წევრს უნდა ვაჩვენოთ თავის ადგილი სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. ღრმად უნდა განუვმართო ყოველ შრომელს, რომ ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანის — კომუნისმის დიადი შენობის აკება თვითეული დამოუკიდებელი მოწარმეობაზე და შრომაზე არის დაყოფილებული.

ყრილობის მასალების პროპაგანდისათვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, ყოველი ახალი ფორმიდან ხელი ჩავედოთ საუკეთესოს, პროგრესულს, გაგზადოთ იგი ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების კუთრივებდა, ამასთან გონიერულად გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც კარგა ხანია დამკვიდრდნენ ცხოვრებაში და მათი გამოყენებით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა წარმატებები მოიპოვეს.

მატერული თვითმოქმედების განვითარებას საფუძვლად უნდა დავუდოთ მატერული თვითმოქმედებისა და პროფესიონალური ხელოვნების შეხამება. გაავლიეროთ წიგნის პროპაგანდა, ავანალოთ მუზეუმების, კულტურისა და დასვენების პარკების მუშაობის დონე.

სკკპ XXII ყრილობამ ჩვენი პარტია, მთელი საბჭოსა ხალხი შეაიარაღა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა ობიექტური პირობა იმი-სათვის, რომ ახლანდელი თაობის სიცოცხლეშივე ავაშენოთ კომუნისმი.

ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყველა საჭირო პირობა გააჩნიათ, რომ გადაიქმნენ პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენ ბაზებად კომუნისმის მშენებლობის საქმეში, რომ მთელი კულტურულ-მასობრივი მუშაობა აიყვანონ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების დონემდე.



უ. ჯაფარიძე, გ. ჯაში, ალ. ვეფხვაძე, მ. ხეიტია პუშკინი საქართველოში „ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი უოველი ერი შემიწახავს და მახსოვრებით“.

(ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 125 წლისთავის გამო)

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომლებმა მსოფლიო კულტურის შემოქმედებითი გენიის — ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 125 წლისთავი.

დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი უოველთვის ახლობელი და ძვირფასი იყო ქართველი ხალხისთვის. მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული კულტურის და საზოგადოებრივი აზრის განვითარებასთან.

ამ თარიღის აღსანიშნავ დღეებში თბილისში და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ჩატარდა მთელი რიგი დღისიხიებები, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს ქართველი ხალხის გულწრფელი სიყვარული პუშკინისადმი. საქართველოს მწერალთა კავშირში ჩატარდა საიუბილეო სხდომა, რომელზედაც ქართველმა პოეტებმა წაიკითხეს დიდი პოეტის საქართველოს მწერალთა კავშირში სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრების გაერთიანებული ახალი თარგმანები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა რუსული ენისა და ლიტერატურის კონსერვატორიასთან ერთად, ოფიციათა სახლი გაიმართა ლიტერატურული საღამო „დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი“; საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა ჩაატარა პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლექციების ციკლი სკოლებში, საწარმოებსა და სასწავლო დაწესებულებებში. საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მოაწყო ლექციები პუშკინისადმი დიდი სიყვარულის გამოვლენება იყო იაგერისა და ბაღატის სახელმწიფო თეატრში მიწვეობილი საღამო — „ქართული ხელოვნების მუშაყები პუშკინს“.

საღამოზე მოხსენება „პუშკინი მუსიკაში“ გააკეთა მუსიკათმცოდნე პროფესორმა პ. ხუტუამ, ხლო მოხსენება „პუშკინი თეატრში“ წაიკითხა თეატრმცოდნე ნ. შალტუვაძელმა. საღამოს დასასრულს მწეწერი დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა.



Moderato. Poetico.

cresc.

dim.

S. ვარდ-ყვავი-ლი-ის მის სა- მუ- გო სა- ვა- ნე მულ-მუ-ლი-ისა
 მზე დას-დგო-მი-ა კვირ- კვი- ნად რო- ვორც ყვ- ვდა-ვი დი-ლე- ვა

A. *mp* *cresc.* *dim.*

T. *mp* *cresc.* *dim.*

B. *mp* *cresc.* *dim.*

1. ა- ლავს ზუი-მუხ-ტის ქა- თი- ვი უამ- ლე ა- ში- დულ-მუ-ლი-ისა
 და ლა- პიი თვალ-მო- ციბ- ცი- მე ვარ- სეკოავ-თა ვყნ- ლიი იბ- თე- შა

2. Fine *p* *uis poco cresc.*

- ვა ყ- ბარ-ლო ვძიხ-თა ა- ვა- ნი ხარ-ხაძმ- ბის

rit. mp *morendo ppp*

ბარ- ნა- რი წყა- რო ლე- ქის და სი- ძლე- რის სხვა სა- ქი- თვე- ლიი საღ ა- რი.

rit. mp *morendo ppp*

rit. mp *morendo ppp*

rit. mp *morendo ppp*

D. C. al Fine.

სამშობლო, ჩემი სამშობლო
 რა ლაზხია, რა კარგი!
 ვახუშტელები ლაღია,
 ვახუშტელები ნაწარგი!

ვარდ-ყვავილების სამეფო,
 სავანე მულ-მულებისა,
 ელავს ზურმუხტის ქათიბი
 ცაშდ აზიდელ მუბისა.


მზე დასდგომა გვირგვინად
 როგორც უცვლავი დღიღობა
 და ლამით თვალმოცემებ
 ვარსკვლავთა გუნდით იხიებთ.

უბაღლო გმირთა აყვანი
 და ხალხთა მშობის ბაღნარი,
 წყარო ლემის და სიმღერის,
 სხვა საქართველო საღ არი?

სამშობლო, ჩემი სამშობლო
 რა ლაზხია, რა კარგი!
 ვახუშტელები ლაღია,
 ვახუშტელები ნაწარგი!



გიორგი შავშულიძე— ხარიტონი



(პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“)



ხარიტონი:—თქვე მამა-შვილიანდ ამო-
საწყვეტლებო, იქ ბუტუნარში არ მომას-
ვენეთ და ახლა აქ გამოძლიეთ ლანდი-
ვით! აქედან მომწყლით, თორემ გაგათა-
ვებთ!



ხარიტონი — ეჰ, ჯამლეთს რა უჭირს, დიდი შრომისმოყვარე ხალხი ჰყავს, ორდენოსანთ დიკეეხნის, აბა რას იზამს?!



ხარიტონი — გვირისტინემ ტყვილა რომ გააფრიალოს კაბა ჩემს კოლმეფერნეობაში, მეტი რა მინდა!.. ეგ რა მითხარი! დედა... დედა... დედა... დედა!



ხარიტონი — კაცო, ხომ იცი, შეივინა ვარ, შენ რომ არ მითხრა, ჩიტი მეტყვის, რძალი მოგყავს მართლა?

ხარიტონი — პაპიროსი ხომ არ გინდათ,
პრიგადირებო?
პრიგადირები — კი, კი გვინდა.
ხარიტონი — არ გინდათ?! არ გინდათ
და ნუ გინდათ.



ხარიტონი — რომ ე ლ ი
ხარტ სულწასული, წინას-
წარ მითხარით.



ხარიტონი — შეხედე, შეხედე. ამის
შემხედვარი გაჩნდება კიოი, აბა რა იქ-
ნება!



ხარიტონი — ასეთი ზუმრობა იცის ამ
შეჩვენებულმა.



ხარიტონი — აუჰ! სალამი ჩემს ჯამ-
ლეს.



ხარიტონი — რას შობი, კაცო შენ,
ბელი არ ატყინო!

მ ე ტ ყ ვ ე ლ ი ძ ე ბ ლ ე ბ ი

ვახტანგ ჯაოშიელი

ძველმა ქუთაისმა თავისი განვითარების უმაღლეს დონეს ფეოდალური საქართველოს აღმავლობის ეპოქაში (XI-XIII სს.) მიაღწია და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, როგორც გაერთიანებული საქართველოს პირველმა დედა-ქალაქმა და მსხვილმა პოლიტიკურმა და კულტურულმა ცენტრმა. ამ გარემოების ერთ-ერთი დამადასტურებელია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის არა ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი, ქუთაისში ამ მის მახლობლად შემონახული. აქ შექმნილმა საეკლესიო, სამხედრო და სამოქალაქო ნაგებობათა დიდმა ნაწილმა ვერ გაუძლო ისტორიის ქარტახილებს და ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. ზოგიერთი ძეგლი კი თითქმის თავისი პირვანდელი სახითაა შემორჩენილი. ქართველი ხალხის უძველესი კულტურის საგანძურში საბაბით ადგილი უჭირავს ბაგრატიის ტაძარს, გელათის სამონასტრო ანსამბლს და იქვე არსებული აკადემიის შენობას. მეტად საყურადღებო ისტორიულ ძეგლებს წარმოადგენენ ქუთაისის ცენტრალურ უბნებში არსებული ციხე-სიმაგრე უქიმერიონის ნარჩენები. საკმაოდ ცნობილი ძეგლია აგრეთვე მწვანე ყვავილი.

ვინ არ მოუყვანია აღტაცებაში ბაგრატიის ტაძრის დიდებულ სანახაობას, მის ირგვლივ გაშლილი ძველი ციხე-ქალაქის — უქიმერიონის მრავალსიმეტრულ ბასტიონებს? ვინ არ აღმატება აქედან კავკასიონის თოვლით დაფარულ მწვერვალების აშვიათი სანახაობით, ცადატყორცნილი ზვამლის სალი კლდეების მომხიბლავი სურათით! მრავალი მხურვალე სტრიქონი მიუძღვნებს ჩვენი ქვეყნის ამ ღირსშესანიშნაობას ჩრანგმა მეციღერებმა დღუბა და მონაპრემ, გერმანელმა მწერალმა არტურ ლაისტმა, რუსმა მოგზაურმა ევგენი მარკოვმა, ჩემმა როინტალისტმა იარომირ იედლიკამ და სხვა მრავალმა, ჩვენი ქვეყნის ბუნებითა და ისტორიით მოხიბულმა. მაგრამ ყველაზე უფრო ღრმად ქართველი ადამიანის გულშია აღბეჭდილი ამ ისტორიულ ძეგლითა სიდიადე.

ბაგრატიის ტაძარი, მცხეთის (სვეტიცხოვლის) და ალავერდის ტაძრებთან ერთად, ქართული კლასიკური არქიტექტურის უმუხანაშნავესი ძეგლებია. ქართული ხელოვნების გამოჩენილი მკვლევარი აკად. გიორგი ჩუბინაშვილი მთა აფანეს როგორც „მთელი ქართველი ხალხის გენიის უდიდეს დაძაბულობას და შემოქმედებით მიღწევას“¹.

სამიერ განზიდოული კათოდრალი საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში აშენდა X საუკუნის მიწურულში და XI საუკუნის დასაწყისში — მალე ქვეყნის გაერთიანების შემდგომი სიდიადე და ბრწყინვალემა ცხადყოფს მაშინდელი ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას.

ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები ქუთაისის გორაკ-პროცვიან ნაწილშია შემორჩენილი, როისის მარჯვენა ნაპირთან აღმართულ კლდეან მალღობრზე; დასავლეთიდან იგი ესაზღვრება უძველეს ციხე-სიმაგრე უქიმერიონის და ნახევრადანგრეული კედლებით, აგრეთვე შემორჩენილი არქიტექტურული დეტალებით ამჟამადვე განსაცვიფრებელ შობამეტყლილებს ახდენს მნახველზე. ტაძრის მშენებლობა დაუმთავრებიათ 1003 წელს.

„ოდეს გ ნმტიკინა იაჭ კი ქქ ნი იყო 223“ — ასეთი წარწერაა ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ერთ-ერთ ფანჯარასთან. მისი ამშენებელთა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, რომლის სახელსაც ატარებს ეს ძეგლი. გეგმაში ტაძრის ძირითად ნაგებობას (მინაშენების გამოკლებით) ჯვრის ფორმა აქვს. მისი დასავლეთი და აღმოსავლეთი, თითქმის თანაბარი ზომის მხრები ბევრად უფრო განიერი და გრძელია ვიდრე სამხრეთის და ჩრდილოეთისა. ტაძრის ცენტრალურ ნაწილში აღმართული იყო ოთხი კოლონა, რომლებიც კვადრატ ქმნიდნენ. მათზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობოდა მაღალი გუმბათი. როგორც შეინიდან, ისე გარედან ტაძარი მოპირკეთებულია მშვენივრად დამუშავებული გათლილი ქვით. სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეებს შიგნიდან ჰქონდათ შეტად მაღალი თაღოვანი აფსიდები. ჩრდილოეთის აფსიდის კარვის თავზე ორი ვიწრო და მაღალი ფანჯარა ამშენებდა. ასეთივე

აფსიდს წარმოადგენდა საკურობეველი, რომლის ორივე მხარის კედლებს ესაზღვრებოდა უფრო ვიწრო ორ-ორ სართულიანი სადგომები. ტაძრის დასავლეთი ნაწილი სა ნავად იყოფა; მეორე სართულზე აიგენი ქაღინა მოწყობილი გუნდისათვის. მისი გარეთა კედლები მაღალი გემოვნებითაა დამუშავებული, თუმცა დეკორაციული ორნამენტები მას უფრო ნაკლებად ჰქონია, ვიდრე იმავე ეპოქის სხვა ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. აქ უსვად იყო გამოყენებული კლასიკური ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი, პროპორციულად განლაგებული ორი-ორი და სამ-სამი შერწყმული ნახევარკოლონები. არქიტექტურის ძეგლის მივლი სიდიადე სრულიყოფილი ხუროთმოძღვრული ფორმებით შეუქმნა და იმგვარ პროპორციებში მოუცია ტაძრის უმთავრესი ნაწილები, რომ ნაგებობა მონუმენტურ შობამეტყლილებს სტოვებდა დაამინახე.

დასავლეთიდან და სამხრეთიდან შესასვლელის წინ, ტაძარს მიმწინებული ჰქონდა ცოტა უფრო გვიანდელი კარიბჭეები. მათი გაფორმების დროს, ძირითადი კედლებისაგან განსხვავებით, უხვად გამოუყენებიათ დეკორაციული ორნამენტები, შედგენილი მცენარეულობის ფორმისა და გეომეტრიული საზღვრებისაგან. ასეთი ორნამენტებითაა დამუშავებული კარიბჭეთა ლავარდები, სვეტისთავები და მთელი რიგი სხვა დეტალები. დასავლეთიდან კუთხეებში აღმართული იყო ორი კოშკი, რომელთა მავსავი ნაგებობა არ გვხვდება იმავე ეპოქის სხვა ანალოგიურ ძეგლებში.

ვახუშტი ბაგრატიონი სავანებოდ აღნიშნავს ბაგრატიის ტაძრის მშენებნიერებს. იგი გვატყობინებს, რომ ტაძარს შიგნით

¹ გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი შთავაზი კათოდრალი; კრებული „არაბი“, თბილისი, 1925, გვ. 107-126.



ქონდა მოზაიკური მხატვრობა, აგრეთვე თეორი, წითელი და ჭრელი მარმარილოს მოპირკეთება². აღტკეებით აღწერილ ტაძარს XVII საუკუნის შუა წლებში ქუთაისის ჩამოსული რუსეთის მეფის ელჩები ტოლოჩანოვმა და იველიან³. გუმბათი მათინ დახსურული ყოფილა სპილენძით. ისინი აღწერილობით მოგვითხრობენ ტაძრის მოზაიკურ მხატვრობაზე, ფორ-ვერცხლით და ძვირფასი ქვებით მოჭედულ უმარავ ხატებსა და საკუთსეველის გაწყობილობაზე. ბევრი მათგანი ხელოვნების ძვირფას ქმნილებას წარმოადგენდა. ტაძარს გარს ერტყა დიდი გალავანი, რომლის შიგნით, მთავარი შესასვლელების პირდაპირ ყოფილა სამი მონაწილი შენობა.

რამდენად ღირსშესანიშნავი იყო ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, იქიდანაც ჩანს, რომ ბაგრატ III-ის ტაძრის გახსნა უჩვეულო დღესასწაულად გადაუქცევია და ზემოთ მრავალი შინაური და უცხოელი სტუმარიც მოუწვევია. მემატიანი აღნიშნავს, რომ ტაძარი მეფემ აკურთხებინა „განგებობა დიდითა და მიუწყვლომელითა. რამეთუ შემოტრბინა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმძღვანელები და ყოველა მონასტერთა წინამძღვარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუეშიონი, მამულისა და სამეფოსა მისისა, და სხუთა სახელმწიფოთანი“⁴.

თითქმის შვიდი საუკუნის განმავლობაში ამგვნებდა ტაძარი ქალაქს. ამ ხნის მანძილზე არა ერთი დამპყრობელი იხილა ქუთაისში, არა ერთმა შინაგანმა თუ გარე ომის ქარცხელმა დააუარა მისი ციხე-სიმაგრის მიუვალ ზღუდვებს, მაგრამ ხელოვნების ეს იმეათა ქმნილება კვლავაც იდგა ქვეყნის წარსული დიდების მრავლისმთქმელ ძეგლად. მისი მტკიცე კედლები შემდგომშიც მრავალ მწახველს მოიყვანდნენ აღტკეცვაში, რომ თურქთა ბარბაროსულ მხედრობის 1691 წელს არ შეეშურა იგი. მეტი არ დაროსათვის კარგა ხნის დამკვიდრებული იყო მოღალატეთა მიერ გაცემულ ქუთაისის ციხეში და არ თმობდა ამ უმეზღვნებელს სტრატეგიულ პუნქტს. ქართველთა, რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ, 1691 წელს, მეფე არჩილის მეთაურობით კვლავ შემოარტყეს ალყა უქიმეირონის და მის მეზობლად მდებარე „დიდ ქუთაისის“, რომლის ფარგლებშიც შედიოდა ტაძრის ტერიტორია. სწორედ ამ დროს ჩაიდინეს თურქებმა უდიდესი ბოროტება. სხვა რი ვერა გააწყვეს რა, ოთხივე კუთხეში ჩაუწყვეს ტაძარს თოფის წაშალი და ასე ააფეთქეს იგი⁵, ხოლო მისი ძვირფასი მონათლობა და მარმარილოს მოპირკეთება თავის ქვეყანაში წაიღეს⁶.

ძნელ წარმოსადგენი არ არის, თუ რა შემადგენელებელ გავლენას მოახდენდა ეს ბარბაროსული აქტი ქუთაისის მავინდელ ქართველ მოსახლეობაზე. იმეურთი რომ ვერ დაიძინეს და უარი ვერ ათქმევინეს ქუთაისის ციხე-სიმაგრის უკან დაბრუნებაზე, კაცთმოძულე თურქმა ოკუპანტებმა ჯაფრი ხელო-

ნების ამ იშვიათი ხელოვნაზე იყარეს. მათ კარგად იცნობდნენ თუ რა დიდი წონა ჰქონდა ბაგრატის ტაძარს ქართველი ხალხის კულტურის საგანძურში და რამდენად ღრმა იქნებოდა ის იარა, რომელიც ამ ველური მოქმედებით მათ მიაცენეს ჩვენი ხალხის როგორც სიამაყეს. მართალია, ვერც ამ გაბოროტებულმა ძალადობამ უშველა მოსისხლე მტერს და ვერ განამტკიცა მისი ბატონობა იმერეთში, მაგრამ ერთი კი ცხადია: თვით ქალაქში კონფლიქტი ქართველებსა და თურქებს შორის უაღრესობამდე გამოწვავდა; მტრის მიერ განაწამებნი ქუთაისის ქართველი მოსახლეობა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ არსებობდა ისეთი სისასაკველ, რომლის წინაშეც მოძალადე შექრებოდა, ამიტომ ამჯობინა დროებით გასცლოდა ფანატოკის მუსულმანთა ხელში გადასულ თავის საყვარელ ქალაქს და უფრო სიმეფო ადგილებისათვის შეეფარებინა თავი. ასეც მოხდა: ვინც გადაურჩა მტრისაგან ფიზიკურ განადგურებას, აიყარა და იმერეთის სხვა ადგილებს დასახლდა. ამრიგად დაცალა ნელ-ნელა ქუთაისი თურქთა ბატონობის პერიოდში (1666-1770 წ. წ.). სხვანაირად არც შეიძლება აიხსნას ის კატასტროფული მოვლენა, რომ აღნიშნულ ხანაში ქალაქის მოსახლეობა 20-ჯერ შემცირდა და თითქმის სრულ მოსპობამდე მივიდა.

ციხე-სიმაგრე უქიმეირონი ქუთაისის უძველესი ძეგლია. გვიცი არ არის, რომ ამ ციტადელის აგება წინ უსწრებდა ქალაქის წარმოქმნას. უფრო მეტიც, ქალაქის ჩასახვის ერთ-ერთ წინაპირობას ქმნიდა თვით ციხე-სიმაგრის არსებობა. უქიმეირონის მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მისი კლდოვანი ტიპფების მიუვალბა გვაფიქრებინებს, რომ იგი ქართველი ქართველს ერთ-ერთი მშლარი სიმაგრე იქნებოდა ჯერ კიდევ ბევრად ადრე ქალაქების წარმოშობამდე. ყოველ შემთხვევაში, უქიმეირონი ახალ წარმოდრეცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მაცნე უნდა იყოს წარმოქმნილი.

ციხე აგებულია იმ კლდის ქარზე, რომელიც დასავლეთიდან სოლიით ეფერება რიონის მარჯვენა ნაპირს. მდინარისაგან ამგამად კლდეს გამოჰყოფს საკმაოდ განიერი სანაპირო ქუჩა, მაგრამ წარსულში რიონი კლდის ძირამდე მიდიოდა. ალავალავ შევეუდა ამბართულ კლდეს ნაპირებზე გასდევს დიდრიონი ქვებით ნაშენი კედელი, რომლითაც საკმაოდ ვრცელი და მკვეთრად დაქანებული ფერდობი იყო შემორღულული. დასავლეთით იგი გამოეყოფოდა ბაგრატის ტაძრის გალავანის ასეთივე მაღლი კედლით. ციხის ტერიტორიის მაქსიმალური სიმაღლე მდინარის დონიდან შეადგენს 70-75 მ და თანდათან დაბლდება რიონისაკენ. ამგამად ციხის კედლების მეტი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეულია, ხოლო XVII საუკუნეში, როცა ისინი რუსეთის ელჩებმა ინახულეს, მათი სიმაღლე 20 მ აღემატებოდა, სისქე კი 2 მ უდრდა, ხოლო საერთო სიგრძე 202 საყენს, ანუ 431 მ შეადგენდა. ციხის კედლების კუთხეებში დატანებული იყო 7 კოშკი, თითოეული მათგანის საშუალო სიმაღლე 25 მ უდრდა⁷. მას მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა რკინის საკეცებით გაწყობილი. აქედან ჩანს, თუ რამდენად გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენდა უქიმეირონი. დიუბუა აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთი კედელი მიუვალ კედლებზე იყო ამოყვანილი. ასეთი შეუვალი ციხის აგება, სამხედრო ძალის პირდაპირი გამოყე-

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1951, გვ. 157.

³ სტოლინი ტოლოჩანოვისა და დოკ იველიანის ელჩობა იმერეთში 1650-1652 წლებში, თბილისი, 1926, გვ. 153-158.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბანიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, 1955, გვ. 281.

⁵ A. H. Муравьев, Грузия и Армения, СПб, 1848, ტრ. 139-140.

⁶ ვახუშტი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 157.

⁷ სტოლინი ტოლოჩანოვისა და დოკ იველიანის ელჩობა იმერეთში, გვ. 80, 155.



ნებით, რა თქმა უნდა, უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა, ამიტომ მტერი ღალატისა და გამცემლობის გზით იგდებდა ციხეს ხელში. ასე მოხდა 551 წელს, როცა სპარსეთის ჯარების სარდალმა მერმაროქმ ვინმე თეოფონის საშუალებით, მოტყუების გზით გაიშტაკა ხელიდან ლაზებისა და ბიზანტიელების გაერთიანებულ ლაშქარს უქიმერიონი. ისტორია კვლავ განმეორდა ათიდად საკუნების შემდეგ. ასლა მოღალატე სენზია ჩხვიძემ ორგზის ზაგდელ იგი ხელს თურქებს (1666 და 1668 წლებში). ციხის საბოლოო განთავისუფლება თურქებისაგან 1770 წელს შესძლო რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა. რუსული არტილერია მდინარის მეორე მხრიდან — „შუშანე ყვავილას“ მიდაბობიდან უშენდა ყუმბარების უქიმერიონის ბასტიონებს. ამ გამარჯვების შემდეგ, სოლომონ მეფის განჯარგვლებით, ციხის კედლები დაუნგრევიათ, რომ თურქებს კვლავ არ აღძროდათ სურვილი მისი ხელში ჩაგდებას.

ინტერესივლადი არ არის 1770 წელს უქიმერიონის აღებასთან დაკავშირებული ერთი გარემოება. რუსეთის ჯარის მეთაურს მოსახლენებს, ტყვედ ჩაუგდია ციხის გარნიზონი და ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის შემადგენლობაში იყო თურქთა ბიერ ნაყიდი ან მოტაცებული და მუსულმანებად მონათლული ქართველი ახალგაზრდობის საკმაოდ მორჩილი ჯგუფი. როგორც ჩანს, ისინი გამზადებული იყვნენ თურქეთში გასაცავად ფოთის ნავსადგურით (ტყვეების წასაცვანად თურქების გემები ფოთში ყოველი წლის სექტემბერში მოდიოდნენ, ციხე კი აიღეს ავგისტოში), მაგრამ თურქეთის საცლად „ტყვეები“ პეტერბურგის გზას გაუყვეს. ნაწილი გზაში დაიხსოვა, ნაწილმა კი ჩააღწია დაწინებულ ადგილს. ამ უკანასკნელთა შორის იყო მაშინ 11-12 წლის ბიჭი, შემდგომში რუსეთის იმპერატორის პავლე პირველის კარზე დიდად დაწინაურებული და გრავის ტიტულის მქონე ი. პ. კუტაისივი (გვარი პეტერბურგში შეარქვეს ქუთაისის სახელთან დაკავშირებით) ⁸. მათალაია, თვით ი. პ. კუტაისოს პიროვნებაზე რომელიც არ შეუხსრულებია ისტორიაში, მაგრამ მის ერთ-ერთი ვაჟი (ალექსანდრე ივანეს ძე) რუსეთის არმიის ცნობილი გენერალი და სახელგანთქმული არტილერისტი იყო. იგი 1812 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლ პირველი არმიის არტილერისა სარდლობდა და ბოროდინოს ბრძოლაში დაიღუპა 28 წლის ასაკში ⁹.

უქიმერიონის ტერიტორიაზე მდებარეობდა ეკლესია, რომელსაც თურქები მერყათა იყენებდნენ. ბაგრატიის ტაძრის გალანის მოსაზრებელი კედლის ვაწყვრთვ იდგა მეფეთა სასახლე, რომლის შიდა კედლები მოხატული ყოფილა. XVII საუკუნეში ციხეს ქვირდა ზარბაზნები, ხოლო ერთ-ერთი კოშკის სიღრმეში მოწყობილი იყო თოფის წამლის საწყობი, რომელსაც მეფე თავისი ბეძდით ლუქვად და სპეციალური მცველებით იცავდა.


ციხის ყველაზე დაბალ ნაწილში არსებობს ის წყარო, რომელიც ოდესღაც მეცხოხვე ჯარს წყლით ამარაგებდა. წყაროდან ზემოთ მივყავართ საკმაოდ მაღალ გვირაბს; მის ფსკერს გასდევს თიხის მიღგაყვანილობა; ეს უკანასკნელი წყაროდებ მიდის. დიუბუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სარგებლობდნენ რა წყაროს არტილერია თვისებებით, წყალი აქე-

დან თიხის მიღებით ციხის ზედა ნაწილში მიჰყავდათ. თივე მოწყობილობა მას უნახავს სირიის ერთ-ერთ ციხეში. მოსაზრება სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება მიღების გაყვანის მიზეზი.

ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთა-გორიან ნაწილში არსებობს „მწვენი ეკავილა“ სახელწოდებით ცნობილი ისტორიული ძეგლი. რიონის მარცხენა ნაპირთან აღმართული კლდეანი ციხეობა ფერდობის პირას შემორჩენილი ძველი ეკლესიის ნანგრევები. ამ ეკლესიის კარგის თავზე გადებულ ქვას ქვინა ქართული წარწერა, რომელიც მიუკვლევი და ამოუკითხავს დიუბუა. წარწერა დაზარალებული ყოფილა და, როგორც მკვლევარი გადმოგვცემს, უნდა ეკუთვნოდეს დაიკონ ალმაშენებლის ეპოქას. მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ ეკლესია აუშენებია ერთ-ერთ მაგისტროს 1109 წელს. შემორჩენილი ყოფილა ბაგრატიონის სახელის მფლობელ ერთი ასო „რ“, რის გამო დიუბუა ასკენის, რომ შესაძლოა დაიკონ ალმაშენებელმა თავის შვილს, დემეტრეს აუშენა ეს ეკლესია და აქ იყო უფლისწულის ადგილსამყოფელი. არც ეს არის გამორიცხული, რომ თვით დემეტრემ კარ კიდევ მეფედ გახდომამდე აიშენა ეს საყდარი კარის ეკლესიად. ნანგრევების მეზობლად ნახულია ბევრი მღვიმე, რომლებიც მტრის შემოსევის დროს თავშესაფრად გამოიყენებოდა. აქვე ყოფილა ძალზე ძველი სასაფლაო. ამგვამად ეს ტერიტორია ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის წარმოადგენს. აქ არიან დაკარბულნი: მელოტიონ ბალანივაძე, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი ზდანიოჭი, დიმიტრი ნაზარიშვილი, ისევე ოცხელი და სხვ.

თანამედროვე ქუთაისის ცენტრში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირთან მდებარეობდა ყოფ. „პატარა ქუთაისი“, ანუ ქალაქის მარცხენა ნაწილის უძველესი ბირთვი. ამ ადგილს ამგვამად დასავლეთიდან მდინარე ჩამოედის, აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დიდი ქუჩა და ჩიხი, ხოლო სამხრეთიდან — წულუკისი და სხ. ბაქ. დაახლოებით ეს ტერიტორია ეკავა ის ციხეს, რომელიც, პროფიცი კესარიელის ცნობით, 551 წელს ეჭირა სპარსეთის ჯარების სარდალს მერმაროქმ და, სადაც ბევრად უფრო ადრე არსებობდა ლაზების კუთვნილი და მათ მიერვე შემდგომში დაბურული ციხე-სამაგრე „კოტაია“. იგივე ადგილი გამოუყენებიათ უფრო გვიან მეფეთა სასახლეების ასაგებად. ძნელია დაბეჯითებით ითქვას, თუ როდის შეიქმნა აქ სამეფო რეზიდენცია, რადგან წყაროებში ამის შესახებ არ არსებობს მითითება. მაგრამ ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ სასახლეები იმ პერიოდში აშენდა, როცა ქუთაისი დასავლეთ საქართველოში წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს — აფხაზთა სამეფოს დედაქალაქად იქცა. ეს ტერიტორია უნდა მივიჩნიოთ მეფეთა ადგილსამყოფელად თაიდანვე, რადგან სხვა ასეთ ნაგებობათა ნარჩენები ქალაქში არ გვხვდება. მართალია, მეფის სასახლე იყო უქიმერიონის ტერიტორიაზეც, მაგრამ იქ ბევრად უფრო მცირე ნაგებობა ყოფილა და, რაც მთავარია, იგი უთუოდ გარე თუ შიდა ომების დროს გამოიყენებოდა, ხოლო შვიდიოთხან პერიოდში მეფის რეზიდენცია ვრცელსა და უკეთ მოწყობილ სასახლეებში იქნებოდა განლაგებული. ერთ-ერთი უძველესი წერილობითი ცნობა ამ ადგილას სამეფო კარის არსებობის შესახებ მიეკუთვნება XV საუკუნეს, როცა ქუთაისი ინახულა ვენეციელმა ელჩმა ამბროსიო

⁸ Тифлисский старожил (Е. Вейденбаум), Граф Кутайсов и крестьянин Кутайсов. Иллюстрированное прибавление «Тифлисского листка», 1900 год, № 16.
⁹ БСЭ том 24, стр. 142.



ბაგოატის ტაძრის დღევანდელი სახე საკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ

კონტარინიმ, მაგრამ სასახლეები აქ ბევრად უფრო ადრე იქნებოდა ააგებულა.

მეფეთა რეზიდენცია სამი მხრიდან გარშემორტყმული ყოფილა ქვიტკირის მაღალი კედლით, ხოლო დასავლეთით რიონის ნაპირს ეკვროდა. კედლის საერთო სიგრძე დაახლოებით 640 მ შეადგენდა; მისი შესავლის თავზე იდგა თლილი ქვით ნაგები მრგვალი კოშკი, რომელიც სამრეკლოდ გამოიყენებოდა. აქვე მდებარეობდა კარის ეკლესია, შიგნიდან მთლიანად ფრესკებით მოხატული. კედლის შიგნით მოქცეულ ტერიტორიაზე განლაგებული იყო მეფეთა სასახლეები. ერთერთი მათგანი გამოირჩეოდა მეტად კარგი მდებარეობით და სილამაზით, რის გამო მისთვის შერქმევიათ „ოქროს ჩარდახი“. იგი უშუალოდ რიონის პირას ყოფილა აღმართული, და წყალდიდობის დროს მდინარის ნაწილი გადიოდა სამი განიერი თაღის ქვეშ; თაღებს ქვის ოცი ბოძი ეყრდნობოდა. სასახლეს ჰქონდა დიდი დარბაზი, მოხატული წარსული ქართულია მრავალი ლაშქრობის საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი სურათებით. ვრცელი და ღია აივანი, ფანჯრებს შუა აღმართული ქვის ბოძები, აგრეთვე სხვა არქიტექტურული მორთულობანი რიონის თვალწარმატება ნაპირების ფონზე მშვენიერ სანახაობად ხლიდა მდინარეზე გადამდგარ „ოქროს ჩარდახს“ და, როგორც ჩანს, ასეთი ხატოვანი სახელით მისი მონათვისის სრულ საფუძველს იძლეოდა: სასახლე აუშენებია XVII საუკუნის პირველ ნახევარში იმერეთის მეფე გიორგი I-ის (1605-1639 წ.) შერთა შემორჩენა XIX საუკუნემდე, როდესაც იგი გადააკეთეს საცხოვრებელ სახლად; აივანები მოშალეს და შიგნით არსებული ვრცელი დარბაზი ოთახებად დაყვეს. იმავე საუკუნის შუა წლებში კიდევ არსებობდა უძველესი კარის ეკლესია; იგი ჯერ რუსეთის ჯარის საგარნიზონო საყდრად; ითვლებოდა, ხოლო შემდეგ, 1850 წელს დაარსებულ კლასიკურ გიმნაზიას გადასცეს. იქვე იდგა სასახლის ყოფილი კედლის შესახველის თავზე აღმართული კოშკი-სამშენებლო, რომლის დანერგვის ნება არ მიუცია კავკასიის მეფის ნაცვალს მ. ფორინოვს. 1833 წელს კოშკი ინახულა დიუბუამ და სპეციალურად აღნიშნა მისი მშენებია. მაგრამ ამჟამად აღარც კოშკი არსებობს და არც ეკლესია. თვით გიმნაზიის ძველი შენობა გასული საუკუნის შუა წლებში აუკეთ იმერეთის მეფეთა შორეულ სასახლის საბიჭვლებზე. აღნიშნული სასახლის და მეფეთა რეზიდენციის სხვა შენობების შესახებ მოგვითხრობენ ტოლოჩანოვი და იველივი, აგრეთვე

ი. გილდენშტედტი. მის ერთ კუთხეში აღმართული იყო საბაზნებით აღჭურვილი დიდი კოშკი, სადაც ინახებოდა მრევლს მრევთა განძეულობა. ამ საკამოდ დიდ შენობაში ცხოვრობდნენ იმერეთის მეფეები თავისი ოჯახით, ხოლო „ოქროს ჩარდახი“ სადარბაზო ცერემონიალებისა და საპატიო სტუმრების მისაღებად იყო განკუთვნილი. სწორედ აქ მიუჩინა ადგილსამყოფელი რუსეთის ელჩებს ალექსანდრე იმერთა მეფემ 1651 წელს. დამახასიათებელია, რომ ნაქერალა—ტყვიანის გზით ქუთაისში მოსული ელჩები ჯერ „მწვანე ყვავილას“ მდამომებინ გაატარეს თავისებურ კარანტინში, შემდეგ „სლაბოდამ“ (ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება) გადმოიყვანეს, და ბოლოს, როცა მეფე თავის სასაფხულო რეზიდენციაში — სკანდეს წავიდა, ისინი პატივისცემის ნიშნად „ოქროს ჩარდახში“ მოათავსეს.

იმერეთის მეფეთა სასახლეების ნარჩენების მეზობლად, ამჟამად წულუკიძის ბაღში დგას მრავალსაუკუნოვანი ჭაბაქი. იგი ოდესღაც სასახლის ბაღის მშენებელს წარმოადგენდა და თავისი სილამაზით და სიდიდით მნახველთა ყურადღების იქცევდა; ეს ჭაბაქი შუა საუკუნეების როგორც მოგზაურს თუ ელჩად ჩამოსულ უცხოელს აქვს მოხსენებული მათ მიერ დატოვებულ ქუთაისის აღწერილობაში. ჭადრის ქვეშ დადგმულ ვეებერთელა ქვაზე მეფეები არა მარტო ისვენებდნენ ხოლმე, ხშირად თავისი ხელაქვეითების და უცხოელების საქმიან მიღებასაც აწარმოებდნენ. გასული საუკუნის მთორე ნახევარში ჭაბაქს ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი წინანდელი სახე და განცივრებამი მოჰყავდა მნახველები. ერთერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ამ მრავალსაუკუნოვანი ჭადრის შორს გატყორცნილი თითოეული ტოტი ცალკე ხის ტლი იყო; მის ქვეშ საფხულის სიცხეში შეიძლებოდა მთელ გიმნაზიას შეეფარებია თავი (ხე მაშინ კლასიკური გიმნაზიის ენოში იყო მოქცეული), წვიმა ფოთლებში არასოდეს არ ატანდა. როცა კაცის სიმაღლეზე ჰქონია მრგვალი ჩაჭდობილი კვალი, ხეს მელიც დაუტოვებია ოდესღაც მასზე შემოხვეულ ბაგირს; მდინარის გაღმა ყოფილა ბაგირის მეორე ბოლო დამაგრებული და ამ ადგილას ბორანი მოქმედებდა რიონზე¹⁰. ეს იშვიათი ჭაბაქი ამჟამად ძალზე გადაბურებულია და შესამჩნევად დაპატარავებულია.

¹⁰ Е. Марков. Очерки Кавказа, СПб — Москва, 1904, стр. 209-210.

ბაგოატის ტაძარი. ნ. ჯ. სევეროვის რეკონსტრუქცია



ზოგნი რამ ნალხური ხელმოწევის შესახებ

პროფ. ქსენია სიხარულიძე

ჩვენი დედაქალაქი ოთხი თვის მანძილზე ადევნებდა თვალყურს მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეთ — 160-მდე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლსა და 165-ზე მეტ ინდივიდუალურ შემსრულებელს.

თბილისის ზ. ფაღალავის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენიდან გვესმოდა ქართული პანგები — უძველესი და თანამედროვე, უტყუვრად ამასხველნი ქართველი ხალხის სვედიანი, მაგრამ გმირული წარსულისა და ბედნიერი, ხალისიანი აწმყოსი. შესრულებული იყო აგრეთვე მოძმე ხალხთა სიმღერებიც. ომახიანად სქეჟდა სახალხო მოქმელთა ძარღვიანი ქართული სიტყვა განახლებულსა და აღორძინებულ სამშობლოზე — „ორმოცი წლის მუეჭაბუკზე“, როგორც მოხდენილად შეარქვა იუბილარს ერთმა მოღუქმემ. დედაქალაქი გულთბილად შეგვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩაშოსულ მუსიკის, სიმღერის, პოეზიის, ცეკვის, მხატვრული კითხვის მოყვარულთ.

მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადა ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდ მზრუნველობას იჩენს ჩვენი პარტია და ხელისუფლება მასებისადმი, იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანთა შეათავსოს შრომა და ხელოვნება, რომ ხელოვნება იყოს ჭეშმარიტად მასობრივი.

რამი მდგომარეობდა რესპუბლიკური ოლიმპიადის მიღწევა და ნაკლი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავასოვდეს, თუ რას წარმოადგენს თვითმოქმედება. არ არის მართებული, როდესაც თვითმოქმედებას ხალხურ შემოქმედებასთან აიგივებენ და კოლექტივებისაგან მოითხოვენ მხოლოდ ხალხურ ნაწარმოებთა შესრულებას. თვითმოქმედებაში ზომიერად უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც ინდივიდუალური — წარმოშობით პროფესიული, ისევე ხალხური — კოლექტიური ხელოვნება. ისმის კითხვა რამდენად ზომიერად იყო ნაჩვენები IX რესპუბლიკური ოლიმპიადაზე ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედება, ხომ არ დაჩრდილა რომელიმე მათგანმა მეორე და ა. შ.

რესპუბლიკური ოლიმპიადაზე 123 ჯერ შესრულდა ხალხური სიმღერა (ზოგი სიმღერა შესრულდა გასმორებებით), 136-ჯერ კომპოზიტორის ნაწარმოები (ზოგი განმეორებით).

შესრულებული იყო ნ. სულხანიშვილის („სამშობლო ხეესურისა“), ზ. ფაღალავის („ღვინი კახური“), დ. არაკიშვილის („სამშობლო და გამარჯვება“), გ. ჩუბინაშვილის („ერთხელ კონა“) და სხვათა სიმღერები. შესრულებული იყო აგრეთვე სხვა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების სიმღერებიც. ხალხური და პროფესიონალი კომპოზიტორების ნაწარმოების შეფარდება ყველა კოლექტივს თანაბრად არ ჰქონ-



მხარაძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცეკვა „შურხული“ — ფარცაკაუთი

და წარმოდგენილი. ამის ზოგ შემთხვევაში ჰქონდა გამართლებება, ზოგ შემთხვევაში კი ეს გარემოება ოლიმპიადის ნაკლად უნდა ჩაითვალოს. აღვნიშნავთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

ლენტეხისა და მესტიის რაიონების კულტურის სახლთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ მხოლოდ ხალხური რეპერტუარით. გამონაკლისს წარმოადგენს გ. კოკელაძის „სიმღერა პარტიაზე“ (ლენტეხის რ.), ჩოხატაურის სარაიონო კულტურის სახლმა შეასრულა ნიშნური. აქედან მხოლოდ ერთი იყო პროფესიონალის ნაწარმოები (გ. ცაგარეიშვილის „სიხემოსილი საქართველო“).

ზოგი თვითმოქმედი კოლექტივი მაყურებლის წინაშე წარსდგა ძირითადად პროფესიონალთა ნაწარმოებებით. მათ შორის დავასახელებთ ვანის, საჩხერის, ჭიათურის, ტყემლის, ლაგოდეხის, წითელწყაროს, წულუკიძის, ღუშეთის, თიანეთის, ონის რაიონების ანსამბლებს.

მიუხედავად კოლექტივებს კარგად ჰქონდათ დაცული პროპორცია ხალხური და პროფესიული შემოქმედების ნაწარმოებებს შორის, ამ მხრივ საინფორმაციო გამოვიდნენ ქუთაისის თვითმოქმედი კოლექტივები. ხალხური სიმღერების გადამუშა-



წითელწყარო. სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი

ვებისაც თუ გავიყვალისწინებთ, თითქმის ასეთივე სანიმუშო შეფარდება იგრძნობოდა მასხარაძის რაიონის გუნდებშიც.

ამავე კატეგორიას მიეკუთვნებიან ცაგერის, თლაგვის, სიღნაღის, ყაზბეგის, გორის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ჩხორწყურის რაიონებისა და ქუთაისის კოლექტივები. რით უნდა აიხსნას სხვადასხვა კოლექტივების მიერ სიმღერების შესრულებისას ამგვარი შეფარდება? ამ შეშინებულმა უნდა გავითვალისწინოთ ცალკე კუთხისა და ხშირად სიმღერათა საპეტიფიკა.

ლენტეხის, მესტიისა და ჩოხატაურის რაიონების სამი ძლიერი კოლექტივი მხოლოდ ხალხური რეპერტუარით გამოვიდა (ლენტეხისა და ჩოხატაურის რაიონებს კომპოზიტორთა ნაწარმოებებთან ჰქონდათ რეპერტუარში მხოლოდ თითო ნიმუში). სამივე ანსამბლი გამოირჩეოდა სიმღერათა შესრულების მაღალი ოსტატობით, მაგრამ პროფესიონალ კომპოზიტორთა ნაწარმოებების უგულვებელყოფა სამივე ანსამბლის

მიერ ერთგვარად არ შეიძლება შევსადგეს. თუ ლენტეხისა და მესტიის რაიონების ანსამბლებს ვერ ვუსაყვედურებთ მხოლოდ ხალხურ ნაწარმოებთა შესრულებას, ასე ვერ მოგიქცევით ჩოხატაურის რაიონის ანსამბლის მიმართ. სამწუხაროდ, „ლილეოს“, „ვიცილი-მაცებლის“, „ყანხაე ყიფიანეს“ და სხვა დიდებულ სვანურ სიმღერებს საქართველოს სხვა კუთხეებში ვერ ასრულებენ. ამავე დრის აუცილებელი იყო შესრულება ამ არქაული, რიტუალური და საგმირო-საისტორიო სიმღერებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ სვანეთის რაიონების ანსამბლებს ისე ჰქონდათ განაწილებული რეპერტუარი, რომ განმეორებას ადვილი არ ჰქონია. ამით მათ შესძლევს პროგრამის გადატვირთვის გარეშე სრულყოფილად წარმოედგინათ შესანიშნავი სიმღერები. მხოლოდ ერთი ნიმუში — საფერხული „თამარ დედოფალი“ შეასრულა ორივე რაიონმა და ისიც ერთი მეორისაგან განსხვავებული ვარიანტებით. ლენტეხისა და მესტიის რაიონებს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიც რომ შეესრულებინათ, პროგრამა ძალიან გადაიტვირთებოდა.

ჩვენ არც ჩოხატაურის რაიონის ანსამბლის რეპერტუარი ვიწუნებთ, მაგრამ შეიძლება ანსამბლს თავისი რეპერტუარი არ შემოეფარა მხოლოდ ხალხური სიმღერებით. მით უმეტეს, რომ გურულ ხალხურ სიმღერებს კიდევ ჰყავდათ ბრწყინვალე შემსრულებლები მასხარაძის და ლანჩხუთის რაიონების ანსამბლების სახით. თუმცა სიაშოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ გურიის ამ სამმა რაიონმა ისე გაინაწილა რეპერტუარი, რომ ერთი ნიმუშის განმეორებას სხვადასხვა რაიონის მიერ ადვილი არ ჰქონია.

გაუმართლებლად მიგვაჩნია საჩხერისა და წითელწყაროს სარაიონო ანსამბლების გამოსვლები მხოლოდ კომპოზიტორთა ნაწარმოებებით, ან გადაამუშავებული ხალხური სიმღერებით. მათ არ შეუსრულებიათ არც ერთი სუფთა ხალხური სიმღერა. ასევე გამოიყურებოდნენ დეშუთისა და თიანეთის რაიონების ანსამბლებიც. მაგრამ ისინი შეიძლება უფრო გავამართლოთ, ვიდრე საჩხერისა და წითელწყაროს კოლექტივები. ვისაც ამ

მხარაძე. სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ცეკვა „კალმახობა“





ყვარლის სარაიონო კულტურის სახლის „სიმღერა საქართველოზე“ (ხალხური). ასრულებენ მემბე თემურ და ბროის ქვეზიშვილები

მიმართულებით საგანგებოდ უმუშავია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მან იცის, რომ იქ პოეზიის და ფარეკობის ტრადიციას ძლიერი, სიმღერა და მუსიკა კი ღარიბი, მონოტონური და უფერულია.

ოლიმპიადას უნდა ეჩვენებინა თანამედროვე საბჭოთა ადამიანის განწყობილება, მისი ხასიათი, უნდა ეჩვენებინა საბჭოთა ადამიანის ამბულბული პატრიოტიზმი, გმირული სული, შრომის ჭრიკა, ფაქიზი გრძნობები. როგორც კინებები საბჭოთა პატრიოტიზმისა, ისე ისმოდა ოლიმპიადაზე სხვადასხვა კოლექტივთა შესრულებით და არაყიშვილის „სამშობლო და გამარჯვება“, შ. შვედიძის „სიმღერა სამშობლოზე“, გრ. კოკელაძის „სიმღერა პარტიასზე“ და „დაიდი გაზაფხული“, ს. ცინცაძის „პიში პარტიას“, რ. ლალიძის „გვიხმობს სამშობლო“, შ. ჩირინაშვილის „ჩემო ღამაშო ქვეყანა“ და „მეშახტეთა სიმღერა“, დ. თორაძის „ალალმე“, ბ. კვერნაძის „სიმღერა პარტიასზე“, ა. კერესელიძის „სიმღერა მეგობრობაზე“, შ. მილრავას „სიმღერა სამშობლოზე“, ს. მირიანაშვილის „სიმღერა სიღნაღზე“, ა.

შავერსაშვილის „დიდება პარტიას“, ვ. ცაგარეიშვილის „სხივმოსილი საქართველო“, ს. ნახიძის „დიდება პარტიასზე“ და სხვ. თაქთაქიშვილის „საფესტივალო“ და სხვ.

* * *

ოლიმპიადის წარმატებით ჩასატარებლად სერიოზული მუშაობა გასწიეს კორეორაფებმა. ზოგი მაგანი ცენტრიდან იქნა მიმარგებული ადგილებზე. ესენია — ჯ. ბაგრატიონი, ა. თათარაძე, და სხვ. ზოგი — კი ადგილებზე მომუშავენი არიან — გ. სალუქვაძე, ბ. ორაგველიძე, გ. კაპანაძე, ვ. ახოზაძე, ალ. ჯიჯეშვილი, გ. ყურუა, ბ. შაქარია, ჩიქობავა, ბ. ანუა და სხვები.

ოლიმპიადაზე კარგად იყო წარმოდგენილი ქართული ცეკვები. თვითმოქმედმა კოლექტივებმა მაცურებლებს აჩვენეს მრავალფეროვანი ცეკვების შესრულების კარგი ტექნიკა. შესრულებული იყო რიგობრც ზოგადქართული, ასევე — კუთხური და სახასიათო ცეკვები. თვითმოქმედმა კოლექტივებმა შესრულეს სხვადასხვა ფერხული ან კიდევ სხვა მასობრივი ცეკვები სიმღერითა თუ მუსიკით.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხის თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარში იყო დავლური, ქართული და სხვა ზოგადქართული ცეკვები. ამასთან კოლექტივები ცდლობდნენ ეჩვენებინათ თავიანთი კუთხის დამახასიათებელი ცეკვებიც. მესტიისა და ლენტეხის რაიონების კოლექტივებმა შესრულეს საფერხული „თამარ დედოფალი“ (სხვადასხვა ვარიანტით); ცაგერის რაიონის კოლექტივმა — ლეჩხუმური სახასიათო ცეკვა „რანინა“, ცხაკაის, ხობის, ზუგდიდის, გალის რაიონებმა საინტერესო ვარიანტებით წარმოადგინეს „ჯანსულო“ ანუ „ძაბრაღე“, ჩოხატაურის რაიონმა — „ლელო“, თიანეთისა და დუშეთის რაიონების კოლექტივებმა შესრულეს ცეკვა „ფარიკაობა“, სახმრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა „სიმღერი“, აჭარის ასრ კოლექტივმა „განდაგანა“, ცეკვა „ლაზური“ და ა. შ.

მცირე ოდენობით შესრულებული იყო უცხოური ცეკვებიც. ასე მაგალითად, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა წარმოაკვიღინა „მექსიკური ცეკვა“.

უყურადღებოდ არ იყო დატოვებული ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებმაც მაცურებლებს უჩვენეს თავიანთი ეროვნული მასობრივი, სახასიათო თუ სხვა ცეკვები. ბორჯომის რაიონში მცხოვრებ ბერძენთა მიერ შესრულ-

ლანჩხუტის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი





სამტრედია. სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვისანსამბლი

ბული იყო ბერძნული ხალხური ცეკვა „სერას“. ახალქალაქის რაიონის კოლექტივმა (ქორეოგრაფები — ა. შაბოიანი და კ. მადლიანი) აწვენეს თავისებური მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია, ახმეტის რაიონში მცხოვრებ ქისტების მიერ შესრულებული იყო ცეკვა „ქისტური“. ბოგდანოვის რაიონის კოლექტივი მაყურებლის წინაშე გამოვიდა ცეკვებით „ქოჩარი“ და „სასუნცელთა ცეკვა“. წალკის რაიონის კოლექტივმა შეასრულა აღმოსავლური ხალხური სიმღერა ცეკვით „სურაია“.

სხვადასხვა რაიონებმა სცადეს ახალშემქნილი ცეკვებით განესახიერებინათ სამჭოთა ხალხის მჩქეფარე ცხოვრება, შრომის ჰეროიკა, მაღალი მორალი. ტყიბულის რაიონის კოლექტივმა (ქორეოგრაფი — პ. ბასილაძე) შეასრულა „მეგობრობის ცეკვა“, წულუკიძისამ (ქორეოგრაფი ვ. ბრეგაძე) — „მეაბრეშუმეთა ცეკვა“, წალენჯიხის რაიონის ანსამბლმა (ქორეოგრაფები ვ. ფოფია, ს. ბენია, ვ. ხაინდრავა) — „მეჩაიე ქალთა ცეკვა“, ქ. რუსთავის კოლექტივმა (ქორეოგრაფი გ. მეგრელიშვილი) — „მეტალურგთა ცეკვა“ და ა. შ.

ოლიმპიადაზე შესრულებული იყო აგრეთვე საქ. სსრ ხელ. დამასხურებული მოლავის ვ. სალუქვაძის მიერ აღდგენილი და დადგმული უძველესი ქართული, ქალ-ვაჟთა მასობრივი ცეკვა „ფუნდრუკი“. ოლიმპიადაზე გამოქვდაცნა ტენდენცია ზოგიერთი კუთხური ცეკვის ზოგადქართულად ქცევისა. ასე, მაგალითად, ხევსურული „ფარკობა“, თიანეთისა და დუშეთის რაიონების გარდა, შეასრულეს ცაგერის, გორის, ქუთაისისა და სხვათა კოლექტივებმა; „მთიულური“ — ვანის, თეთ-

რი წყაროს, ბოლნისისა და სხვა რაიონების კოლექტივებმა. „ფარცა“ — ქ. ფოთის, ტყიბულის რაიონის და სხვა ანსამბლებმა; „განდაგანა“ აჭარის ასსრ კოლექტივებს გარდა განახორციელეს ქ. ქუთაისის და სხვა კოლექტივებმა, ოსური „სიმინდი“ — წყალტუბოს რაიონისა და სხვა კოლექტივებმა.

ცეკვების შესრულებაში იგრძნობოდა დიდი გავლენა ანსამბლისა, რომლის ხელმძღვანელებთა საქ. სსრ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი და სსრკ სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. ამ გავლენის შედეგად დიდი გიტაცება ცეკვა „შეჯიბრითი“. გავლენა ეწმენდა ამ ცეკვის შესრულების ტექნიკასაც.

* * *

პოეზია ოლიმპიადაზე სულ ექვსი ლექსის წაკითხვით იყო წარმოდგენილი. ს. ტყაბლაძემ (დუშეთის რაიონი) წაკითხა ვეჯა-შეფაველს ლექსი „არწივი“, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა გ. სალუქვაძემ — საკუთარი ლექსი „აჭარელ ქალს“. საკუთარი ლექსები წაკითხეს აგრეთვე მასწავლებლებმა ვ. საღლიანმა (მესტიის რაიონი) — „საქართველო“, ირ. ტუნტურიშვილმა (დუშეთის რაიონი) — „ორმოცი წლის მზეგზავუკა“ და კოლმეურნეებმა — სიკო ჩანგაშვილმა (ახმეტის რაიონი) და აკ. ხაიაურმა (თიანეთის რაიონი).

მხატვრების შემოქმედება ოლიმპიადაზე გამოვლინდა როგორც უკანა ფარდის, ისევე ანსამბლების კოსტუმების გაფორმებაში. ანსამბლთა მეტი წილი მაყურებლის წინაშე წარდგა თავისი კუთხისა თუ რაიონის დამახასიათებელი პეი-

საკითხი. მაგრამ ეს პეიზაჟები წარმოადგენდა მიწვეული პროფესიული მხატვრების ხელოვნებას. ზოგ შემთხვევაში ეს იტყვის კოსტუმების მიმართაც (მაგ. გურჯაანის რაიონი) აღსანიშნავია, რომ მხარბაძელთა „შვიდკაცა“, რომელიც ჩოხა-ახალუშით გამოდიოდა, ოლიმპიადაზე წარსდგა ახალი გურული კოსტუმებით. გურული კოსტუმებიც გადაშემაგებული ან, უკეთეს ვთქვათ, აღდგენილი სახით არის შესრულებული, მათ ჩამოშორებული აქვს შემდეგ შექმნილი თათრული გავლენა. თავისებურ ახალ კოსტუმებში იყვნენ „ფუნდრუკის“ შემსრულებლებიც. კუხნური კოსტუმებით გამოვიდნენ აკარის ასპრ, სამხრეთ ოსეთის, — თიანეთის, დემთის, იონის, ლენტეხის, მესტიის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების ანსამბლები. რა თქმა უნდა, ყველა ანსამბლის კოსტუმები თანაბარი გემოვნებით არ იყო შესრულებული.

რა უნდა ჩაითვალოს მხატვრული თვითშემაჯობის IX რესპუბლიკური ოლიმპიადის არსებით ნაპალად და როგორ უნდა იჩინოს დამლეული ნაპოლისანება.

1. რაც კოლექტივებს არ ჰყავს ადგილობრივი ძალები, რომელნიც მათ სისტემატურ ხელმძღვანელობას გაუწევენ. ზოგი კოლექტივი, რომელსაც ოლიმპიადაზე წარმატება ხედა წილად (ცხაკაის, გურჯაანის, სამტრედიის რაიონების და სხვა ანსამბლებიც) მსხენელ-მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ თბილისიდან მოწვეული ძალები — ხელოვნების გამოჩენილი ოლიმპიადების ხელმძღვანელობით. ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ხელმძღვანელობა აუცილებელია, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს არა მოჩვენებითი წარმატების, მხოლოდ საოლიმპიადო დანიშნულება, არამედ — სისტემატური ხასიათი, რათა ბუნებრივად ამაღლდეს მხატვრული თვითმოქმედების დონე. ოლიმპიადაზე ისიც შეიმჩნეოდა, რომ საქეციალური კოლადათავრებული ერთი და იგივე შემსრულებლებით მოწინაწილებოდნენ სხვადასხვა კოლექტივებში და ამით თითქოს „შველოდნენ“ მათ წარმატებას. ისმის კითხვა: ის ანსამბლები, რომელნიც ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა ეპიზოდური დახმარებით წარმატებით გამოვიდნენ ოლიმპიადაზე, შესძლებენ თუ არა ადგილზე, დაუხმარებლად ასევე წარმატებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე? რა თქმა უნდა, ვერ შესძლებენ!

მომაგალში საჭიროა საქ. სსრ კულტურის სამინისტრომ და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა, აგრეთვე, საქ. სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ სისტემატურად უხელმძღვანელონ თვითმოქმედ კოლექტივებს, რაც უდავოდ კიდევ მეტად აამაღლებს მხატვრული თვითმოქმედების დონეს.

2. ოლიმპიადის ერთ ნაკლად ისიც ჩაითვლება, რომ თვითმოქმედ კოლექტივებს ემჩნეოდათ არაბუნებრივი ტენდენცია „სიახლისაკენ“. სათანადო მხატვრულ დონეზე წარმოდგენილი სიახლე დიდი მიღწევაა მასობრივ ხელოვნებაში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ნაძალადევი. სხვადასხვა რაიონის ანსამბლების რეპერტუარში, როგორც სავალდებულო ნომერი, შეტანილი იყო სიმღერა მშობლიურ კუთხეზე. თავისთავად აქ დასავალი არაფერია, მაგრამ მეტწილად ოლიმპიადაზე შესრულებული იყო სახელდახელოდ შექმნილი ნომრები, როგორც იყო: სიმღერა ლენჩხუშე (ცაგერის რაიონი), სიმღერები ჭიათურაზე, წყალტუბოზე, ახალციხეზე, ბორჯომზე, რუსთავეზე, თეთრწყაროზე, საგარეჯოზე, თიანეთზე, ახალ-

ქალაქზე, სიღნაღზე, განახლებულ ასპინძაზე, ფოთზე, ყვარელზე, ბათუმზე, საბჭოთა აფხაზეთის 40 წლისთავზე, და ასე შემდეგ. ყველა ამ ქალაქს თუ კუთხეზე შექმნილ სიმღერას იმავე ქალაქებისა თუ რაიონების ანსამბლები ასრულებდნენ. სახელდახელოდ იყო შექმნილი ამ სიმღერების ტექსტიც და ძაბუნებიც. საეჭვოა, ყველა ამ სიმღერამ იპოვოს ადგილი ხალხის გულში, გახდეს მასობრივი.

3. ოლიმპიადის დიდ ხარვეზად ჩაითვლება ის, რომ არ იყო შესრულებული ხალხის საყვარელი სიმღერები, რომელთა შორის ზოგი გასცდა არა თუ ჩვენს რესპუბლიკის, დიდი საბჭოთა კავშირის ფარგლებს. გაუგებარია, რატომ თქვეს კოლექტივებმა უარი „სულიოსას“ და „ციციანთელას“ შესრულებაზე. არც ერთ კოლექტივს არ შეუსრულებია ქართველი ხალხის დიდი გამძლეობისა და გმირული სულის გამომახატველი უძველესი საგუნდო სიმღერა „მუმლი მუხასა“. ეს სიმღერა განსაკუთრებით უყვარდა ილია ჭავჭავაძეს. საოცარია ისიც, რომ არ იყო შესრულებული შესანიშნავი საინფორმაციო სიმღერა სიმონა დილიძეზე. სხვა რომ არა იყოს რა, სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ჩოხატაურის მკვიდრი იყო და განა ჩოხატაურის რაიონის კარგ ანსამბლს არ დამაშვენებდა ეს ღრმად მგრძობიარე სიმღერა? იგი დამაშვე-

სამტრედიის სარაიონ კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცეკვა „პროლოგი“. ასრულებენ ზ. ჩიგოგიძე, ს. ლღანბეძე





სახმერთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თეიმოქმედი მხატვრული კოლექტივები. ცაყა „სომი“

ნება გურიის ყველა რაიონსა და საერთოდ ოლიმპიდაში მინაწილე ყველა კოლექტივის რეპერტუარს.

ოლიმპიდაზე არ ყოფილა შესრულებული მესტკირული სიმღერები. მესტკირული პოეზია და სიმღერები ქართული ფოლკლორის ოქროს ფონდს შეადგენს. მესტკირებმა მთელ საქართველოში იყო ცნობილი. ბოლოს მისი ძლიერი ტრადიცია რატის შემორჩა. რატის არც ერთ რაიონს არ ჩამოუტანია ჩვენი ეროვნული საკრავი — სტირი. აღსანიშნავია ისიც, ამბროლაურის რაიონმა კი მესტკირული ჭიანჭურზე შეასრულა. ოლიმპიდაზე ერთადერთი შემთხვევა იყო სტირით გამოსვლისა. ქართველ ხალხს ძალსა და რიტმში აქვს გამყდარი მესტკირული სიმღერის სიყვარული. ამიტომ იყო, რომ დიდი წარმატება ხვდა წილად ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდ. შ. ჯაფარიძეს „მესტკირის რესალმების“ შესრულებისათვის.

რატის რაიონებისაგან მაყურებელი და მსმენელი მოვლეს და აგრეთვე შესანიშნავი არქაული საფერხულების „ქედელეს ჩამოღება“ და „ქვედრულა ადიდებულას“ შესრულებას. ასევე დიდ ხარვეზად უნდა ჩაეთვალოს ყაზბეგის რაიონის ანსამბლს უგულბუღაყოფა ისეთი არქაული სიმღერებისა, როგორცაა ვაჭაკური „ჯარული“ ან კიდევ „სური“. ამგვარი მაგალითების გაზრდა კიდევ შეიძლებოდა. ისმის კითხვა: რამ გამოიწვია კოლექტივების მიერ ამგვარი სიმღერების უგულბუღაყოფა? ამის მიზეზი, პირველ რიგში, ყალბი გზით სიახლის ძიებაში უნდა ვეძებოთ. განა სიახლის ძიება უფლებას გვაძლევს უარი ვთქვათ ჩვენს უძველეს კულტურაზე? პარტისა და ხელისუფლების დიდი ზრუნვა თეიმოქმედი კოლექტივებისადმი მათმა ხელმძღვანელებმა ისე უნდა გამოიყენონ, რომ მართის მხრივ ხელი შეუწყონ ახლის შექმნას და მეორეს მხრივ დაევიწყებას გადაარჩინონ უძველესი, სწორ შემთხვევაში, უნიკალური ძეგლები ეროვნული კულტურისა.

4. ოლიმპიდაზე უმნიშვნელოდ იყო წარმოდგენილი სატირა და იუმორი, მაშინ როდესაც იგი დამახასიათებელია ქართველი ხალხისათვის. სადი იუმორი და ბასრი სატირა ქართველი ხალხისათვის საუკეთესო იარაღი იყო და არის ძირმომბლის უკუსადგობა და უკეთესი მერმისის შესაქმნელად. ხალხს უყვარს ჯანსაღი სიცილი. ეს ჩანდა იმ დიდი წარმატებებიდანაც, რომელიც ოლიმპიდაზე შესრულებულ ამგვარ ნიმუშებს ხვდა წილად. მაყურებელმა აღტაცებით მიიღო

სიმღერები „გოგო მიდის მოხვეულში“ (ქ. ქუთაისი), „სიყვარული არ იქნება ძალადა“ (წულუკიძის რაიონი), „კოლქმრის გაშაირება“ (ჩხოროწყუს რაიონი), „წაიპურტები“ (წითელწყარო). აღსანიშნავია, რომ „ჯანსულო“ ან „ძაბრა“ შესრულებული იქნა ოთხ ვარიანტად (ზობის, ზუგდიდის, ცხაკაიას, წალენჯიხის რაიონების მიერ) და ოთხივე შემთხვევაში მაყურებელმა ისინი სიამოვნებით მიიღო.

5. ოლიმპიდაზე სწორად იყო საგუნდო სიმღერების ფანდურზე შესრულება. ამგვარი ტენდენცია საერთოდ შეიმჩნევა აღმოსავლეთ საქართველოში. ჩვენ ვფიქრობთ, ეს სადავოა და სწორი გზით არ უნდა წარმართავდეს ეროვნული სიმღერების შესრულებას. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ჩონჯურზეც სრულდება საგუნდო სიმღერები, მაგრამ ჩონჯური და ფანდური სხვადასხვა ხასიათის საკრავებია. თუ ჩონჯურზე ბუნებრივია ამგვარი სიმღერების შესრულება, ფანდურზე იგი ნაძალადევი ჩანს.

6. ოლიმპიდაზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი უცხოური სიმღერები. ერთის მხრივ, ეს კარგია და ამას ერთგვარი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს: ჩვენს ახალგაზრდებს ემჩნევათ უსაფუძვლო გატაცება ყოველგვარი უცხოური, და ეს დასაგმობია. მაგრამ არ არის საჭირო უკიდურესობაში გადავარდნა. ჩვენი დაიდი ეპოქის ერთი დამახასიათებელი ნიშანია ხალხთა მეგობრობის გრძნობა. შეიძლებოდა ზომიერების დაცვით სარაიონი ანსამბლების მიერ შესრულებული რამდენიმე უცხოური სიმღერა. ამ მხრივ უფრო კარგად გამოიყურებოდა თბილისის კოლექტივები, რომელთაც შესარულეს რამდენიმე უცხოური სიმღერა. საქართველოს სხვადასხვა რაიონებშიც ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა წარმატებით ასრულებს უცხოურ სიმღერებს და მათი ზომიერად შეტანა რეპერტუარში უფრო მრავალფეროვანს გახდის ოლიმპიდას.

7. ოლიმპიდას არსებით ნაკლად მიგვაჩნია ზვიბრ-სიტყვიერების სიმცირე. საქართველო პოეზიის ქვეყანაა. ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარს ლექსი. როგორც უკვე ვთქვით, რეპერტუარში შეტანილი იყო მხოლოდ ექვსი ლექსი. ასე მცირედ წარმოდგენა ლექსებისა, ხომ არა ნიშნავს იმას, რომ კოლექტივების ხელმძღვანელებს თვითმოქმედება მხოლოდ სახანაბოდ აქვთ წარმოდგენილი? თვითმოქმედება მხა-



ტერულ სიტყვასაც გულისხმობს და ამიტომ ოლიმპიადაზე არა თუ ოლქებით უნდა ყოფილიყო მეტი რაოდენობით წარმოდგენილი, არამედ პროზაული ნაწარმოებებიც. ადგილებზე არიან შესანიშნავი პროზაულ ნაწარმოებთა მიხრობილენი, მათ შორის, იუმორისტული მოთხრობებისა და ანექდოტებისა, რომელთა გამოყვანა ხელს შეუწყობდა ოლიმპიადის კიდევ მეტ წარმატებას.

8. შენიშვნას იწვევს ზოგი ანსამბლის მხატვრული გაფორმება. რაკ ანსამბლები ეროვნული კოსტუმებით გამოიან, საჭიროა დაცული იქნეს კოლორითი, და მის გაფორმებაში მხატვრებთან ერთად კონსულტაციით მონაწილეობა მიიღონ ეთნოგრაფებმაც. ზოგი ანსამბლის მიერ დარღვეული იყო ეროვნული სტილი. ასე, მაგალითად, ლენტეხის რაიონის წარწივალე ანსამბლი გაუგებრობას იწვევდა ქალთა კოსტუმები — თეთრი ქვედა კაბა, ცეცხლისფერი ზედატანი დიდი მიმრგვალებული საყელით, რაც პოლითერი სტილში გამოიყურებოდა. სადავო იყო აგრეთვე მათი თეთრი თავსაბრავი უფრო რუსულ სტილში. ასევე გაუგებარი იყო ონის რაიონის ანსამბლის ქალთა კოსტუმები, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალების გამოყვანა ხანშიშესულის მანდილებით. მის რატამ შედარებით კარგად შემოინახა არქაული სტილი კოსტუმებისა, და არა გვერდის ჩვენი წინაპრები ახალგაზრდობისა და ხანდაზმულობის დროს ერთგვარად ირთებოდნენ.

ალანინიშნავია ისიც, რომ მთელი რიგი სარაიონი ანსამბლებსა მეტად დიდიხად და ხშირად უგემოვნოდ იყო მორთული (ახმეტის, მაიაკოვსკის და სხვ.). საჭიროა მხატვრებმა ამ მხრივაც სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ ანსამბლებს. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ფონის, ანუ როგორც უწოდებენ, უკანა ფარდის შესახებ. ამ მხრივ ოლიმპიადისათვის დასაზრულა საკმაოდ დიდი თანხა. ადგილებზე მიიწვეულ მხატვრებს შეუქმნათ ფარდები საქართველოს სხვა-დასხვა კუთხის დამახასიათებელი პეიზაჟებით. საერთოდ ამგვარი ფარდების საჭიროების საკითხი სადავოა. მართალია, მოსკოვშიც უკანა ფარდის ფონზე მიმდინარეობს ოლიმპიადა, მაგრამ იქ საკითხი უფრო მარტივად წყდება. ერთი რუსული პეიზაჟი თანხებით დამახასიათებელია ყველა ოლქისა თუ რაიონისათვის. საქართველო კი მეტად მრავალფეროვანი ქვეყანაა, მოქცეული მარად თოვლიან კავკასიონის მწვერვალებსა, საჯიხვებ ქუთხებსა და შავი ზღვის ტროპიკულ სანაპიროს შორის. ასე რომ ერთი ქართული პეიზაჟი არ გამოადგება სხვა-დასხვა, ერთიმორისაგან მეტად განსხვავებული ბუნების რაიონების ანსამბლებს ფონად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ფონად გამოიყენებული იყო სულ სხვადასხვაგვარი ქართული პეიზაჟი. ამან კი უდავოდ დიდი ხარჯები მოითხოვა, ამავდ დროს ეს უკვე აღარ არის თვითმოქმედება. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგად გაფორმებული უკანა ფონი ყოველთვის არ არის აუცილებელი ანსამბლის წარმატებისათვის. ორიოდე მაგალითს მოვიყვანო. მახარაძის რაიონის ანსამბლი მასურებლის წინაშე წარსდგა გაფორმებული უკანა ფარდის გარეშე. მიუხედავად ამისა, ასე დიდი წარმატება ჰქონდა და არც კუთხური კოლორითი ვადა. ასევე დასამახსოვრებელი იყო და თავისი კუთხის კოლორითი წარმატებით დაცვა აგრეთვე „უურდოვან“ გამოსულმა ლავონების რაიონის ანსამბლმა. განსაკუთრებით გაწილი ველურ ალანის მდორე დინებას არ წარმოადგენდა მასურებელს დიდებული ფერხული, როდესაც რუს ჩიხოსნათა რიგებიდან დინებად დაიძრა შავიხობიანთა მწკრივი მძიმე დაძაბილით — „წუთისფლის სტუმრები ვართ“?

საერთოდ, საჭიროა მხატვრები სისტემატურად ეროვნულ თვითმოქმედებაში, მაგრამ ამ ჩარევამ არ უნდა ჰქონდეს უნდა ზოღური ხასიათი ზურვის ფარდის შემწობი, არამედ იგი უნდა იყოს სისტემატური და ხელი უნდა შეუწყოს კოსტუმების უფრო მეტად დახვეწას.

9. თვითმოქმედ კოლექტივებს უნდა მიეთითოს კიდევ ერთ დეტალურდაც. საჭიროა ხელმძღვანელებმა ყურადღება მიაქციონ ანსამბლის წევრთა თავის დატერასა და სახის გამომეტყველებას. მართალია, თვითმოქმედება პროფესიული ხელმძღვანელებს არ არის, მაგრამ უნებური, როდესაც ქალი ან ვაგი ცეკვავს ან მღერის სამკლოვიარო გამომეტყველებით, ან კიდევ როცა მათ სახეზე აღმეტყველია შიში ან უშეშოთება. ცეკვებს—დავალისა და ქართულ ამშვენებს გარკვეული ილეთებისა დაკავშირებით ქალის მიერ თავის ლირიკული დაზრა. ეს შესანიშნავად გადმოსცემს ქართველი ქალის კდემამოსილება. ეს გარეგანი არ იყო გათავისუფლებული ზოგი კოლექტივის მიერ და ქართულისა და დავალის შესრულებისას ქალებს ცეკვის დასაწყისიდან დასრულებამდე ქედამალურად ეჭირათ თავი, რამაც ცეკვას დაუკარგა ხასიათი.

10. შენიშვნას იწვევს აგრეთვე ზოგი ოლქის თუ რაიონის ანსამბლთა და კოლექტივების მთლიანად მონტაჟით გამოსვლა ოლიმპიადაზე. ამ გარემოებამ ოლიმპიადას მეტ შემთხვევაში ხელოვნური იერი მისცა. უფრო დასაშვანა ცალკეული კომპოზიციების ჩართვა რეპერტუარში, მაგრამ მთლიანად მონტაჟით გამოსვლამ თვითმოქმედების ხასიათი დაუკარგა შესრულებას.

11. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ოლიმპიადა გატარებულა და კონცერტებს შორის იყო დიდი ხარვეზი.

შენიშვნების ერთგვარი მაკერი ტონი გამოიწვია იმან, რომ ოლიმპიად საკმაოდ მაღალიდურ და მხატვრულ დონეზე ტარებდა. ამის შედეგად ჩვენც ცალკე ანსამბლებისა და კოლექტივების მიღწევებს პროფესიული ხელოვნების სიმაღლიდან ვაფასებდით.

თუ რამე იყო მიღწევა მხატვრული თვითმოქმედების IX რესპუბლიკური ოლიმპიადისა და რა გვარყენა მან ახალი ამ კითხვის საპასუხოდ, შემოთქმულს გარდა, აღვნიშნავთ შემდეგს.

1. ოლიმპიადის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს თვითმოქმედებაში პროფესიული ხელოვნების მუშაკებისა და მწერლების აქტიური ჩარევა. ამან უდავოდ აამალა თვითმოქმედების იდეურ-მხატვრული დონე. ახლა არ შეიძლება მხოლოდ თვითდინებით წარმართოს მასობრივი და კოლექტიური ხელოვნების განვითარება. ხელოვნებას თავისი განვითარების კანონზომიერება აქვს, იგი უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ჩვენს სინამდვილეში, მთელ საბჭოთა კავშირში ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ განვითარებაში მოხდა დიდი ძვრები. ამან შექმნა პერიოდები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ამ დიდ ძვრებს, ამ პერიოდებს საბჭოთა ხელოვნება ეხმარება თემატკით, მაგრამ ხელოვნებაში პერიოდებს არ ქმნის მხოლოდ თემატკია. ასეთ პერიოდებს ქმნის ახალი შემოქმედებითი მეთოდი, მხატვრული მანერა. ეს ასეა ინდივიდუალურ შემოქმედებაში და მთი უმეტეს, ასეა მასობრივსა და ხალხურ შემოქმედებაში. ჩვენი მწკვაფე ცხოვრება მოითხოვს, რომ პროფესიონალი ხელოვანი ჩაერიოს ხალხური შემოქმედების განვითარებაში, ჩაერიოს ზომიერად და ხელი შეუწყოს ახალი კოლექტიური შემოქმედების განვითარებას. ამგვარი ჩარევის

შედეგი იყო ანსამბლების მიერ ცნობილი კომპოზიტორების სიმღერების წარმატებით შესრულება. ამგვარი ჩარევის შედეგი იყო აგრეთვე მოხდენილად შესრულებული, ცნობილ ქორეოგრაფთა მიერ დადგმული ცეკვები, ამასხველი ახალი ცხოვრებისა, საბჭოთა ადამიანის შრომის ჰეროიკისა.


2. ოლიმპიადის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან დაიწყო გადარჩინა და მსმენელ-მაყურებელთა წინაშე გააცოცხლა თუ აღადგინა წინაპართა ხელოვნების რამდენიმე ნიმუში. აღვნიშნავთ ზოგ მათგანს: ცაყერის რაიონის აწმამბლა წარმატებით შეასრულა ძველი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში „კიკოლოკო-ზალიკო“. წინაპართა არქაული პანგები მოგვასმენინა ამბროლაურის რაიონის ანსამბლა სიმღერით „საახალწლო მილოცვა“. ქობულეთის რაიონის ანსამბლა კარგად შეასრულა „ორნანო“. ხობის რაიონის ანსამბლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რეპერტუარში „კვისრულის“ შეტანა, რაც რატომღაც იშვიათად სრულდება. აღსანიშნავია აგრეთვე ხაშურის რაიონული ანსამბლის მიერ ხალხური „მურმან, მურმანის“ შესრულება, ზოგი მსმენელი გაცივებულიც დარჩა, როდესაც გუნდი მას იმ სახით არ ასრულებდა, როგორც ეს ზ. ფალიაშვილის კლასიკურ ოპერაშია. ცნობილია, რომ ზ. ფალიაშვილმა გამოიყენა ხალხური სიმღერები.

შეტად თავისებური იყო გ. სალუქვაძის მიერ ძველი წერი-

ლობითი ცნობების მიხედვით აღდგენილი ცეკვა „ფუნდრუკი“ მახარაძის რაიონული ანსამბლის შესრულებით. შეიძლება მაყურებელმა და თვით პროფესიული ხელოვნების წარმომადგენლებმაც სადავოდ მიიჩნიონ ცეკვის ცალკე ილეთების შესრულება, მაგრამ მთლიანად ფაქტი უძველესი ცეკვის აღდგენისა, მიღწევა მასობრივი ხელოვნების განვითარებაში როგორც ზემოთაც აღვნიშნა, ახალი იყო აგრეთვე მახარაძის „შვიდაცას“ კოსტუმები.

3. ოლიმპიადის დიდ მიღწევად ჩაითვლება თვითმოქმედი ანსამბლების მიერ ბევრი სიმღერისა და ცეკვის წმინდა, დიდი ოსტატობით შესრულება. აღვნიშნავთ რამდენიმეს: სიმღერა „ჩონგურული“ (ცხაკაიას რ.), ხასანბეგურა, ნადური, შვიდაცა და ცეკვა „კალმახობა“ (მახარაძის რ.), ფერხული (საჩხერის რ.), „ყანსაე ყიფიანე“ (ლენტეხის რ.), „თამარ დედოფალი“ (მესტიის რ.), „ლელო“ (ჩოხატაურის რ.), ცეკვა ფერხული და ქორეოგრაფიული სურათი (ჩხოროწყუს რ.), „დაიდი გაზახული“ (ლაგოდეხის რ.), „სალამურო“ (ქ. ქუთაისი), „გუმინ შვიდნი გურჯაანელი“ (გურჯაანის რ.), „კურხა ბედნიერი“ (ქ. ფოთი), ცეკვა „სიმღი“ (სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი), „განდაგან“ (აჭარის ასრ.) და სხვ. სიტყვას არ გავაგრძელებთ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის“ შესახებ, რომლითაც ქუთაისის სახალხო ოპერა დიდი წარმატებით წარსდგა თბილისელ მაყურებელთა წინაშე.

ფოთი. საქალაქო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ცეკვა „ფარცა“.



ვაჟა-ფშაველა, შალვა დალიანი და ვალერიან გუნია

ალექსანდრე სიგუა

— ახლო ურთიერთობა მქონდა ვაჟა-ფშაველასთან, — მითხრა ერთხელ შალვა დალიანმა. და ვაჟასთან შეხვედრის რამდენიმე ეპიზოდს მიაშობ.

ერთხელ ვალერიან გუნია მეწვია და მითხრა, ჩემო შალვა, მოდი მთავი გავესიერნოთ, ჩარგალში ვაჟა ვინახულოთ. მერე დღეს, მართლაც, წავედით ჩარგალში. ჩემი ჭაბუკობისა თუ ხანდაზმულობის დროს მომიგოლა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, რუსეთი და უკრაინა. მაგრამ უნდა გითხრათ, განსაკუთრებით მომხიზლა იმ გზის, იმ მთის სიღამაზე, სადაც ვაჟა ცხოვრობდა. სწორედ ამ წარმტაცი ბუნების წიაღში შეიძლებოდა წარმოშობილიყო ვაჟას დიდებული პოეზია.

ვაჟა შინ არ დაგვიხვდა. მეზობლებთან გადასულიყო. მეუღლემ ვიღაცის პირით ჩვენი მისვლა შეატყობინა. ორიოდ წუთში გამაჩიარებული ვაჟა მოვიდა, ორივეს გადაგვებვია. საღამოს წამოსვლა დავაპირეთ. ვაჟამ, რასაკვირველია, არ გამოგვიშვა.

— აბა, კენიანა, ღომი მოამზადე, ღომი. სამეგრელოს ორი წარმომადგენელი მეწვია, დალიანი და გუნია.

ვაჟა ჩვენი ადკლა და კარგი პურ-ღვინო გაგვიშლა.

ვაჟა ჩვენი ჩასვლით ძალიან გამაჩიარულა, ბევრი ლექსი და პოემა წაგვიეთხა. როდესაც ლექსებს კითხულობდა, ეს ბუმბერაზი კაცი კრთოდა, ცახცახებდა, რაღაც უჩვეულო გამოთქმებებზე მქონდა. მინახავს აჟაკი, — თქვა ვალიკომ, როდესაც ლექსის წერა მოუნდებოდა, ოთახში გაივლ-გამოივლიდა, რაღაცის წაიმღერებდა და რამდენიმე ხნის შედგე ლექსს წაგვიტოვებდა. ამ მხრე ვაჟასა და აჟაკის შორის მსგავსებაა... ორივენი უხილავ იმდროინდელ თუ საუბრობდნენ.

— იცით, რა არის ჩემთვის ლექსის წერა, — გვითხრა ვაჟამ, — ეს არის დაოკებული გრძნობისაგან განთავისუფლება. როდესაც ლექსს დაწერ და ქალაქზე გადაივტან, უჩვეულო შეგებასა და თავისუფლებას გვრძნობ. არიან ცხოველები, რომლებიც საარსებო იმუნტიტეტს დაკარგავენ თუ არა, თავს იკლავენ. ასე ვგრძნობ თავს ლექსის თუ მოთხრობის დაწერის შემდეგ, — დამთავრა ვაჟამ. მის ბევრი ლექსი არ მოსწონდა და ამბობდა — ლექსი არ არის რითმა, ისე როგორც რითმა არ არის ლექსით, და იქვე თქვა:

მამ სად ხართ, მოხუცებულნი?
სარდლად ექმენით ჯვილითა,
რომ გამოსულან ბრძოლის ველს,
მგოსნობას გამოსუვლითა,
შეოსნად გახდომის სურვილით
მრავალთ იმათგან სნეულთა!
უთხარით, რადა სტანჯავენ
მკითხველს ან თავის სნეულთა?

ვალერიან გუნიას ერთი თვისება მქონდა: იცოდა, რომ ქართული თეატრი ღარიბი იყო რეპერტუარით და ამიტომ ყველა მწერალს სთხოვდა პიესას. თვითონაც ხომ ბევრი პიესა დაწერა და თარგმნა ქართულ თეატრში დასადგმელად.

— ჩემო ვაჟა, — უთხრა ვალიკომ, პიესა უნდა დაგვიწერო. ხომ ხედავ ჩვენი თეატრი ძალიან ღარიბია ქართული ეროვნული პიესებით?

— შენ, ჩემო ვალიკო, ამას მეორეჯერ თუ მესამეჯერ მეუბნები: ერთხელ საკვარამოში ილიასთან მიიხსენი და ახლაც მასხნებ. დიან, მინდა პიესა დაწერო, მაგრამ ფაშტით არ მინდა შემოვიფარგლო. ჩემს პიესაში უნდა მოქმედებდეს მოეული საქართველო თავისი აწმყოით და წარსულით. პიესაში ამის საშუალებაა.

ვაჟა ვალიკოს დიდ პატივს სცემდა, მას ქართული თეატრის მეუფეს ექანდა.

— ჩემი ორმინის „გიორგი რუსისათვის“ ისტორიულ მასალებს და დოკუმენტებს ვაგრევიდით, — განაგრძობ შალვამ, — ერთხელ ზაქარია ჭიჭინაძესთან მივედი. საღამო ჯამი იყო. როდესაც ზაქარია ოთახის კარებს დაგვუკაკუნე, ოთახის კარი გაიღო და ზაქარიათან ერთად ვაჟაც მომეგება. მეოცა: ვაჟა დაესტუმრები იყო. ზაქარიათან დიდხანს არ დადგინილვართ და ერთად წამოვედით. გზაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შეგვკვდა (შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი), ახალი ჩამოსული იყო პეტერბურგიდან, ცოტა გამოვესაუბრეთ ერთმანეთს და შემდეგ სასადილოში შევედით.

— ვაჟა, შენი პოეზია, — უთხრა ლუარსაბმა, — სულის სიმდიანია! აქ ბეთშოვენიც არის, მოცარტსა და ვაგნერიც.

ამ სიტყვებზე ვაჟამ მორიდებით თავი ჩალუნა. არაფერი უთქვამს. მალე ვაჟა მხიარულ გუნებაზე დადგა და ოლიაზე დაიწყო ლაპარაკი. ილია რაღაც ზეგარდმო შთაგონებით უყვარდა, ერის მუსევური იყო, და დავით აღმაშენებელს ადარებდა. სურდა ილიას შესახებ მონოგრაფია დაეწერა და მიხივო წიგნებით დაეხმარებოდა.

— დიან, — თქვა ვაჟამ, — ილია უდროოდ გააჭაღარავა ქართველი ერის ბედზე მწარე ფიქრმა. ეს გვითხრა და ცრემლები გადმოსცივდა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ვაჟას ღრმამინაარსიანი გულისადი სიტყვით მიმართა: მან თქვა, რომ ვაჟას მსოფლიო ლიტერატურაში არ ჰყოლია წინამორბედი, რომ მისი პოეზია უაღრესად ეროვნულია და ამავე დროს ზოგადსაკაცობრიო, და ეს ორივე განსაცვიფრებლად არის შერწყმული მის შემოქმედებაში. ამავე დროს ვაჟა ცალკე დგას. ისეთივე ბრძენია, როგორც მინდია, — თქვა ლუარსაბმა.

— უკ, რა დიდებული სიტყვა იყო, — თქვა შალვამ, — ვუწუხვარ რომ არ ჩავიწყრე. რას ვიფიქრებდი, რომ ამ შესანიშნავ ნაშრომს შემდეგ არ გაიმეორებდი, სადმე არ დაეჭვებოდა.

ვაჟა ღვინის სმაში გამაჩიარულა, ხმას აუწია, სიმღერა შემოსმახა, ჩვენც ავეციეთ. ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, რომელიც ჩინებულად ერეკვიდა მუსიკალურ ხელოვნებაში, გამოცეხულმა წამოიძახა, ამ სიმღერაში რაღაც ათავანდილისებური ჰანგები მესმისო.

კარგა ხანს განგვარძმეთ პურობა. დამთავრებისას ვაჟამ დაიღილინა:

ბუნება მბრძანებელია,
იგივე მონა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
სოგჯერ მქნელია ავისა:
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიშუეს ასარებს,
უნდა მთხრობა ზეგავის...
მიანც-კი ლამაზი არის,
მიანც სიტყურეთი ჰყვავისა!..

მსახიობს თავისი ალბილი უგმოქმედისა

გიორგი გიგუშვილი

ჩემი დრო განსაკუთრებულ ამოცანებს უყენებს თეატრს. სულ უფრო და უფრო მკვეთრად იგრძნობა თანამედროვე მაცურებლის მაღალი მოთხოვნები თეატრის მიმართ. მაცურებლისა, რომელმაც დაიმორჩილა ბუნება და დღეს თუ ხვალ კოსმოური სამყაროს ბატონ-პატრონი გახდება.

ხელოვანი, ამ შემთხვევაში მსახიობი, უბრალო მოწმე არ არის სამყაროს აღმდუმლოებათა ამოსხნისა. იგი თვითონაც ამ დიადი ეპოქის ადამიანია, ასეთივე დიადი მიზნებით ცოცხლობს და მოწოდებულია ამოსხნას არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საიდუმლოება — თანამედროვე ადამიანის უმდიდრესი შინაბუნება, სინამდვილესთან მისი ურთიერთობის თავისებურებანი, ამოსხნას მისი ხასიათის თვისებები. ჩემი აზრით, დღეს უფრო ადვილია დაუფლო მცენებებისა და ტექნიკის ახალ კანონებს, ვიდრე ამ კანონთა აღმომჩენის სულიერი სამყაროს ჩასწვდენი, მისი ხასიათი ამოსხნა. ადამიანის სულიერი სამყაროს წყობა გაცილებით უფრო რთულია იმაზე, რაც მის გრძობათა მიღმა იმყოფება. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ჩემი მიღწეობის ტექნიკის დარგში ბევრად აღემატება იმას, რაც ვიცით ჩვენ ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ მეცნიერულად. სწორედ ამიტომ აკისრია დღეს განსაკუთრებული როლი ხელოვნებას, რომელიც სინამდვილეს ადამიანის შინა-სამყაროს ამოსხნისა და ჩვენების გზით შეიცვლება.

ასე რომ, თანამედროვე თეატრი დიდი და რთული ამოცანის წინაშე დგას — თუ წინ არ გაუსწრებს, მხარდაშენდნის უნდა მისდევდეს თანამედროვე ცხოვრების მღელვარე და მტკიანე სვლას.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული დრამატურგია სუსტ მასალას აწვდის დღევანდელ ქართულ თეატრს ამ მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და მაღალმხატვრული ამოცანის გადასაჭრელად. გადავხედოთ საქართველოს თეატრების რეპერტუარს უკანასკნელი წლების მანძილზე და ჩვენთვის ნათელი იქნება, რომ არც ერთს არ გააჩნია თანამედროვეობის ჭეშმარიტი მხატვრული ამოცანა პიესა, სახელობაზე, არც ჭეშმარიტად თანამედროვე სპექტაკლი გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ჩემი თანამედროვე ქართველი ადამიანის მხატვრულად სრულფასოვანი სახე.

ფიქრობთ, მსახიობის შემოქმედებასთან დაკავშირებული დისკუსიის ყველაზე მტკიანეულ საკითხთა ფესვები სწორედ აქ უნდა ეფუძნებოდნენ, ამ კუთხიდან უნდა გაეშოშოვებოდა.

... აი, თეატრში ახალი პიესის კითხვა გამოცხადეს. ყველა დღევანდელს ახალი სპექტაკლისა და როლების მოლოდინში. ავტორი გვიავაზრებს ძალიან საინტერესო, ყველასათვის ამაღლებელ აზრს, თემას. მაგრამ, სამწუხაროდ, ნაწარმოებში ცოტაა ცხოვრებისეული სიმაბოთლე. ყველაფერი, ასე ვთქვათ, ლიტერატურულად, სიტყვიერად, ლაპარაკშია გამოიყენილი. გმირის ხასიათი ცოცხალ მოქმედებაში არ იბადება, მოკლებულია სცენარობას. ერთი სიტყვით, დრამატურგია არ არის. ჩვენ კი მაინც ვიღებთ ამ ფაქტორად არასწორედ პიესას დასადგმელად, უფრო სწორად, პიესას კი არა, მხოლოდ აზრს,

თემას. და იწყება მაწვალბელი ძიება გმირთა ცხოვრებაში მომხდარი ამბისა. ვედრობით, პიესა მოქმედებაში დავინახოთ, კონკრეტულ, ცოცხალ სახეებში, რაღაც ამის გარეშე წარმოდგენას ვერ დავამ, როს ვერ თამაშებ. მიუხედავად ამისა, მაინც ჩავარდნა ასეთი მუშაობის შედეგი. აკრიტიკებენ თეატრის მუშაობას, ბრალს სდებენ — ავტორის საინტერესო აზრის სცენაზე ვერ განახორციელაო. აკრიტიკებენ მსახიობებსაც. მართლაც, ამგვარ ვითარებაში ისინი თავიანთი შესაძლებლობის მეთიხედსაც ვერ ავლენენ. ამგვარად, თეატრის წარუმატებლობა ყველასათვის ნათელია.

რამდენი შრომა და ნერვებია დახარჯული უქმად! რამდენი უძილო ღამეა გატარებული უშიზოდ და უშედეგოდ! რასაკვირველია, სპექტაკლის წარმატების წინაწარმად განასჯერა ძნელია, მაგრამ როდესაც თავიდანვე იცი, რომ პიესა სუსტია დრამატურგიულად და მხოლოდ თემით გიტაცებს, სპექტაკლი უქვეყლი ჩავარდნისათვისა განწირული.

შინაოდ ამბობენ პიესა თეატრში უნდა იწერებოდეს. შესაძლოა ასინად ერთ შემთხვევაში მუშაობის ამგვარი მეთოდი გამართლდეს კიდევ. მაგრამ დრამატურგიული ნაწარმოების შექმნის ასეთი გზის არჩევა როგორც სიტყმა, მე მეჩვენება არა მარტო არასწორად, არამედ — შეუძლებლად. აი, რატომ. სრულფასოვანი, მაღალმხატვრული ნაწარმოების შექმნა შეუძლია მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს, დრამატურგს, რომელიც წერს არა იმიტომ, რომ ეს სჭირდება თეატრს, რეჟისორს, მსახიობს ან კრიტიკოსს, არამედ იმიტომ, რომ ამ შეუძლია საწეროს, თავისი კალმით არ და მოეჭმასუროს იმ საკითხებს, რომლებიც აღეულებენ მას ცხოვრებაში. როდესაც შემოქმედებითი პროცესი დამთავრებულია და პიესა მზადაა, ეს ნიშნავს იმას, რომ მხატვრისა და მოქალაქის ვალი მოხდილია. მხატვარმა თქვა თავისი სათქმელი, როგორც შეიძლო. მხოლოდ ამის შემდეგ შედის თეატრი თავის უფლებებში.

რა თქმა უნდა, დრამატურგის სპეციფიკა თავისთავად გულისხმობს სცენას. უფრო მეტიც, ხშირად დრამატურგი თავის პიესას ამ თუ იმ მსახიობისთვის ან რეჟისორისთვის წერს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პიესა იწერებოდეს თეატრში რეჟისორთან ერთად ან მსახიობის მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში (ერთნაირ კი ძალიან ხშირია ეს!) პიესაში სრულიად მოულოდნელად გამოჩნდებიან ახალი, მანამდე არარსებული პერსონაჟები, ერთი მოქმედი პირის რეპლიც მეორეს გადაეცემა და ავტორის პირველი ჩანაწერი აქვს, ჩვენ ვაღწვინ, სულ სხვა კუთხითა და თვალთახედვით წარმოგვიდგება.

პიესა ლიტერატურულად და მხატვრულად დამუშავებული, დრამატურგიულად დასრულებული, სრულყოფილი ნაწარმოები უნდა იყოს აუცილებლად. ამ სახით უნდა მიიღოს იგი თეატრმა. ერთი სიტყვით, პიესა დრამატურგმა უნდა დაწეროს. რეჟისორს, მსახიობსა და მხატვრის თავისი, არანაკლებ რთული, მოვალეობა აკისრიათ თეატრში. ხოლო როდესაც რეჟისორისა და მსახიობის თვალწინ, ხშირად მათი უშუალო



მონაწილეობით წარმოებს პიესისა და როლების გადაკეთება, მსახიობის როლზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესი არა-ბუნებრივ, დამახინჯებულ ფორმას ღებულობს. მსახიობი შეიძლება იყოს თანდავტორი დრამატურგისა და არა ავტორი. იგი უნდა იყოს პიესის სცენური ვარიანტის განახორციელებელი. მსახიობს თავისი განსაკუთრებული როლი აქვს თეატრში და მიეცით მას უკლებლად ითამაშოს ეს როლი მთელი ძალით, დამოუკიდებლად!

ერთი წლის წინ ჩვენ ყველანი დიდი ინტერესით და გატაცებით ვეცნობოდით დისკუსიის მასალებს რეჟისურისა და თანამედროვეობის შესახებ, რომელიც ეურნაღა, თეატრის ფუნქციებზე გაიშალა. მე არ შეგერბდები იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ არ შეეხებოდა მსახიობის შემოქმედებას. მოგაგონებთ მხოლოდ, რომ დისკუსიის მონაწილენი ბევრს საკითხში უკმაყოფილოდნენ ერთმანეთს, ბევრში აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ კიდევ. მაგრამ იყო ერთი საკითხი, რომელიც ყველა თანხმდებოდა. ეს იყო მსახიობის ადგილის განსაზღვრის საკითხი სასცენო ხელოვნებაში. ყველა შეთანხმებული იყო იმაში, რომ სპექტაკლი, როგორც არ უნდა იყოს იგი ვანროზივით, განსჯადეული რეჟისორული ხელწერის მიხედვით, დადგმითი სიხალეებით და ა. შ., ყველა შემთხვევაში მსახიობის სცენური სიციხეების გზით ხორციელდება. მსახიობმა უნდა ითვანოს აზრი მაყურებელად. ამიტომ მსახიობმა შეიძლება თეატრში. ასეთი იყო დისკუსიაში მონაწილე ყველა რეჟისორის დევიზი. ყველა სხვადასხვა ვარიანტში მსახიობთა მოთავარი თეატრში, გაიძახოდნენ. ასე არის კი მისი მდებარეობა? განა რეჟისორების უმრავლესობა დღეს უნდებოდა არ არის გატაცებული ეფექტური დადგმით ხერხებით, რომლებიც სცენაზე ცოცხალი ადამიანის ჭეშმარიტი მონაწილეობის გარეშე ხორციელდება?.. მსახიობი სცენაზე, მაგრამ ვაი ამ ყოფნას იგი რეჟისორის სურვილის ბრმა შემსრულებელი მხოლოდ. ბრმა, ინერტული, გულგრილი ყველაფრის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, სცენაზე მიმდინარე ცხოვრების ამგვარი გადაწყვეტის მიმართ. მას ხომ არავითარ მონაწილეობა არ მიუღია ამ გადაწყვეტის შემოქმედებით ძიებაში. ეს არ არის მის მიერ მონახული გადაწყვეტა, ეს არ არის მის მიერ დანახული ცხოვრება. მას უთხრეს, მიუთითეს და ისიც იძულებული იყო დამორჩილებოდა რეჟისორის ავტორიტეტს. მისი წმინდა აქტიორული შემოქმედების ბუნება არავის ახსოვს, თითქმის ის არაფერ შუაშია.

3. კოპოლტის პიესის „როცა ასეთი სიყვარულია“ მეორე განყოფილების დასაწყისში (დადგმა მის. თუშანიშვილისა) მანტიით მისილი კაცი წარმოსთქვა მონილოვს, რომელიც ძველი მისი დანაშაულის ავლენს და ააშკარავებს მისი საქციელის ძალიან უხესტო ფსიქოანალიზით. მან თითქმის დანაშაულზე წაასწრო და სიკრუემი დაიჭირა პეტრუსი. სცენა დაწერილია ნათლად და ლიგეკურად. ამიტომ ძალიან საინტერესოა შესრულების თვალსაზრისით. მაგრამ წარმოდგენაში რეჟისორი არ კმაყოფილებდა იმ შესაძლებლობებით, რომელიც გააჩნია ასეთი მაღალხარისხის დრამატურგის მფლობელ მსახიობს. ის არ ენდობა აქტიორის შთაბეჭდილად ძალს და მანტიით მისილი კაცის მონილოვს თან ახლებს ბეთოპოენის „მოვარის სონატის“ პანგებს. შთაბეჭდილება, ალბათ, ძალიან ძლიერია, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ შეიძლება ასე თქვას — უხესტო არ არის თავისი მისამართით. მაყურებლის ყურადღება სცენაზე მიმდინარე გმირთა ცხოვრებისათვის უნებმოწყდავანს ამბიდან უნებლიეთ გადადის ბეთოპოენის გენიალურ მუსიკაზე (ვინ

გადააჭარბებს მას) და მსახიობიც, თავისი სურვილის წინააღმდეგ, მუსიკით გატაცებული მონილოვის რიტმს მუხუცხავს უსამებს და შესანიშნავად შემზადებული სცენა პეტრუსის მხილებსა მელოდელადაცავე უსგაგებება.

მე შეგებულად მოვიყვანე მაგალითი ამ ბრწყინვალედ დადგმული სპექტაკლიდან, რომელიც მუსიკა გასათვარი ორ-განულობითაა ჩართული და უდიდეს დახმარებას უწევს სცენაზე ყოფი მსახიობს. მაგრამ პეტრუსის მხილების სცენაში ყურადღება გადადის მუსიკაზე და მაყურებელიც შთაბეჭდილებას ღებულობს არა მსახიობისაგან, არამედ მუსიხისაგან, მსახიობის შემოქმედებისაგან დამოუკიდებლად. ვე გვინებო ამას, როგორც მსახიობს, სცენაზე, კოპოლტის პიესის ამ მონაკვეთში. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ მსახიობი აღარ არის მოთავარი სცენაზე. საქმე იმაშია, რომ „მოვარის სონატის“ მიერ მოხდენილი ეფექტი ჩრდილავს ყველაფერს და, რაც მოთავარია, ამ სცენისა და თვით კოპოლტის პიესის აზრსაც. ირდილება არა მარტო მსახიობის წამყვანი ადგილი სპექტაკლში, არამედ შთაბეჭდილების კონკრეტულობა და სიუსტეცე, რომელიც უნდა მიწოდდეს იგი მაყურებელს. ცხადია, ირდილება სპექტაკლის ზეამოცანის ლიგეკური განვითარებაც, რომელიც ირდილება ამ სცენაში.

მე გიორი ყველა მსახიობი დამეთანხმება იმაში, რომ ნამდვილად ადვილ წარმოდგენა გამოისის მხოლოდ მაშინ, როდესაც რეჟისორი პიესის ლიტერატურულ-მხატვრული ხერხისათვის შესატყვის სცენურ გასალებს აღმოაჩენს და თავის რეჟისორულ გადაწყვეტას პიესის გმირთა — მსახიობთა სცენური ცხოვრების მეშვეობით ავლენს თანმიმდევრულად. ამავე დროს ზომიერადაა გატაცებული გარკვეული სადადგმო ეფექტებით.

ჩემი პირილი და აგრეთვე ჩემი კოლეგების გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქროვ, რომ თეატრის შემოქმედებითი წარმატების პირველი და აუცილებელი პირობაა სრული შემოქმედებითი ურთიერთგაგება რეჟისორსა და მსახიობს შორის. მსახიობისთვის ადვილია როლზე მუშაობა, როდესაც რეჟისორი მასთან ერთად (და არა მის მაგიერ!) ჩასწვდება და ამოხსნის გმირის ცხოვრებაში მომხდარი ამბის არსს. ადვილია მაყურებლისთვისაც, ვინაიდან თეატრალური ხელოვნების ბუნება მოითხოვს, რომ ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება მაყურებელმა, უპირველეს ყოვლისა და ძირითადად, მსახიობის სცენური ცხოვრების აღქმის გზით შეიძენოს.

ჩემი აზრით, თეატრის მხოლოდ მაშინ ეწვევა ხოლმე წარმატება, როდესაც რეჟისორს, მსახიობსა და მსახიობს შორის სრული ურთიერთგაგება და ამავე დროს ყოველი მათგანი სრულიად თავისუფალია ინდივიდუალურ შემოქმედებით შენაძლებლობათა გამოვლენაში. მე არ მიმაჩნია დღეს მართებულად, როდესაც ამა თუ იმ დრამატულ თეატრს რომელიმე რეჟისორის თეატრს უწოდებენ. იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში სრულიად უგულოდყოფილია ის, რაც მოთავარი დრამატურულ ხელოვნებაში, მისი კოლექტიურობაა. თეატრი კოლექტიური საქმეა, სპექტაკლი კოლექტიური შემოქმედების შედეგი.

რეჟისორი და. ალექსიძესთან მე მაკავშირებს თეატრში ჩემი მუშაობის ყველაზე საინტერესო ეტაპები. მასთან ერთად გეშეშობდი ნ. ბარათაშვილის, დონ-სეზარ დე-ბაზანის, ჰოვარდ მერკისა და ბევრ სხვა მხატვრულ სახეზე. და, აი, ჩვენ კვლავ ერთად შევეცადეთ „მატრუს“ დრამატურგი — გენიალური, როლი — საოცნებო, დრო — საგმარისი, საზოგადოება ელის ახალ ჰამლეტს. თითქმის ყველაფერი რიგზეა. ააა, პრე-



მეორეც: მაგრამ შედეგი, ჩემი აზრით, არ აღმოჩნდა სასიხარულო არც მკურნალებისთვის, არც შემსრულებლებისთვის, განსაკუთრებით ჩემი სახით. მიუხედავად ღრმად, არც სულ უბრალო, მით უფრო აუცილებელია ამოხსნა ისინი.

შესაძლოა, უბრალოდ აქტიური ძალა ან ოსტატობა არ მყოფი მე კამლეტის როლის დასაძლევად. მაგრამ, ვგონებ, რომ საქმე მართლ ამაში არ უნდა იყოს. მიუხედავად მიიღო რიგი საინტერესოდ გადაწყვეტილი სცენებისა, წარმოდგენა მთლიანად და აგრეთვე როლის ჩემი შესრულება არ არის თანამედროვე.

დღეს არ შეიძლება „კამლეტის“ ასე თამაში. მე გამოძინებულად ამოხსნა და განვტორო ჩვენი წარუმატებლობის ყველა მიზეზი და საიდუმლო, მაგრამ ერთი ნათელია — „კამლეტის“ მუშაობისას ზოგიერთი ტრადიციის შენარჩუნებასთან ერთად, რომელიც უნდა ახსვარი კიდევ. ვფიქრობ, რომ მე კამლეტი ახსტრატული-ტრადიციული ვითამაშე და ზუსტი მისამართი ვერ მოეუბნენ. ამიტომაც ჩვენს წარმოდგენაში მკურნალებს აზრის სიღრმე და განცდის ძალა კი არ ალღელებს, არამედ სიუჟეტი. ეს კი, ჩემი აზრით, დაუშვებელია „კამლეტში“.

მე მამვიდებენ, მეუბნებიან პირველ სპექტაკლზე არც ერთ მსახიობს არ უთამაშია კამლეტი სრულყოფილად, რომ ასეთ როლზე მხატვრულ სახეს თანდათან აუგვირუბებენ, აღრმავენ, ძირითადი ნაკვების გადაწყვეტის ახალ ხერხებს პოულობენ და ა. შ. შესაძლოა ეს ასეც არის, რთულსა და დიდ როლებში პირველსავე სპექტაკლზე ყველაფერს ვერ დაძლევ. მაგრამ როლის გააზრება თავიდანვე უნდა ჰქონდეს მყარი გამჭოლი ღერძი, რომელსაც შემდგომ მუშაობაშიც დავერდებით. როგორც ჩანს, მე აშვარი ღერძი არ გამაჩნდა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ სპექტაკლის სხვა კომპონენტები მსახიობის უწყობდნენ ხელს. აი, აქ მე მინდა იმის შევეკამათო რეჟისორებს, როდესაც მე წარმოდგენა არ გამოვივინდათ. თუკი მსახიობს პრემიერის შემდეგაც შეუძლია და მოკვლევ არის გააგრძელოს როლზე მუშაობა, რატომ არ შეიძლება ეს გააკეთოს რეჟისორმა? რატომ არ შეიძლება მანაც ანალიზი გაუკეთოს თავის დადგამას, კრიტიკოსის როლში აღმოჩნდეს — შესწორის სპექტაკლი, გააუმჯობესოს და ამით ან წარმოდგენაში მონაწილე მსახიობებსაც უწყობს ხელი?.. მე არ მასწავს შემთხვევა (თითო-ორიოლა გამონაკლისის გარდა), რომ რეჟისორებს უკვე განსორცილებულ დადგამაზე მუშაობა გაგრძელებინათ, თუნდაც აქტიური დანუშვების გაუმართებლობის შხრივ. როგორც კანონი, ისინი იშვიათად ესწრებიან რეპერტუარში ჩართულ თავის წარმოდგენებს. მუშაობის გაგრძელება მოეთხოვება მხოლოდ მსახიობს, თითქოსდა პრემიერის შემდეგ წარმოდგენა აღარ არის მსახიობისა და რეჟისორის ერთობლივი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი. თითქოსდა ამერიკანულ ყველაფერზე მხოლოდ მსახიობმა უნდა აგოს პასუხი.

მე გონია, რომ დღეს მსახიობის ხელოვნებაში კიდევ ერთ საკითხს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. მისი გადაწყვეტაც, უპირველეს ყოვლითა, მსახიობზეა დამოკიდებული. ეს განსაკუთრებული გრძობა ბუნების ზუსტი განსაზღვრის საკითხი. შეიძლება სწორი ლოგიკა მოქმედნის გმირის სცენურ ცხოვრებას როლზე მუშაობის დროს, დამჯერებლად და უბრალოდ შესრულებას ამ გმირის საქციელები სცენაზე, მაგრამ თუ ამ შესრულებაში მივხვებული არ იქნება განსაკუთრებული, სწორედ ამ სპექტაკლისა და ამ როლისათვის შესატყვისი ბუნება გმირის განცდებისა, მაშინ მსახიობის მხატვრული წარმოები არ იქნება არც ამაღლებელი, არც თანადრწობის. ეს საკითხი ჩვეთვის, მსახიობებისათვის დღეს ძალზე მნიშვნელოვანია, არსებითი.

როდესაც უკრებ ვერკოს ივდიოს, აკაკი ხორავას ოტელის, აკაკი ვასაძის ფრანც შოპენის, ხესილია თაყაიშვილის ბებისა, ს. ზაქვლიძის ხარტობის, ვასო გვიძიაშვილის ლურსაბის, ს. შავერიაძის თინებებს — ყველაფერი ნათელია. ჩვენი წინაშეა აქტიური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები, რომლებშიც ზემოწმებული ზუსტადაა მიგნებული სინამდვილის ინდივიდუალური შეგრძნება სწორედ ისეთი, რომელიც ამ გმირს, სწორედ ამ ადამიანს ახასიათებს. როდესაც მსახიობი ასერხებს ასეთი საიდუმლოების ამოსხნას, მკურნალები განსაკუთრებული ნდობით იმსჯელება ზოგმე მის მიმართ, მაშასადამე, განსაკუთრებული სიმკვეთრით აღიქვამს ყველაფერს, რასაც ხედავს სცენაზე. ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, თუ რას ვგულისხმობ, როდესაც ვლადიმერ გომბოზა ბუნების შესახებ მსახიობის ხელოვნებასთან დაკავშირებით. იმ მხედველობაში მაქვს სასიამოის ინდივიდუალური თვისებების სისავსე. ყველა დეტალის იმისათვის დამორჩილება, რაც მოაგარია ამა თუ იმ მხატვრულ სახეში. ყოველივე ეს ლიტერატურულ პერსონაჟს სისხლსავსე, ცოცხალ ადამიანად აქცევს სცენაზე. რუსულ თეატრში ამის ნიმუშებად მიმაჩნია გრიბოვის სობაკევიჩი და ლივანოვის ნოზდრევი.

ჩვენ, საშუალო და ახალგაზრდა თაობის მსახიობებს, ხშირად გვისაყვედურებენ — უწინ მსახიობის ხელოვნება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, შთამბეჭდავი და საინტერესო იყო. მე არ უარყვევ ამას — ჩვენ უფროსი თაობის მსახიობთა ოსტატობის საუკეთესო დემონსტრაციები მიწვევებზე ვიზრდებით და ვიზრდებით, რომესაც აღფრთოვანებული ვართ მათი ოსტატობით. მაგრამ სასაყვედროვ გაკაქვს — თანამედროვე რეპერტუარში ან იშვიათად ან სულ არ ვხედავთ მათ.

ჩემი თაობის მსახიობთა მდგომარეობა, რომელიც თეატრში უკვე საშუალო თაობას წარმოადგენს, მნიშვნელოვანად განსხვავდება უფროსი თაობის მსახიობთა მდგომარეობისაგან იმით, რომ ჩვენი შემოქმედებითი ბიოგრაფია, უმრავლეს შემთხვევაში, აგებული იყო თანამედროვე როლების შესრულებაზე. მათი ბიოგრაფია კი, უმოაგრესად — კლასიკური რეპერტუარის სახეებზე. ყველასათვის ცხადია, რომ ვერცო ანჯაფარიძე ცნობილია როგორც ივდიოის, კლიობატრას, მარკანტიკა გიტეისა და მარიამ სტუარტის შესრულებელი. აკაკი ხორავა — როგორც ოტელოს, ივანე მრისხნასა და ოლიდოსის. აკაკი ვასაძე — იაგოს, ფრანც შოპენის, შუსიკის და ა. შ.

დღეს ჩვენ ფაქტიურად არა გვაქვს საშუალო პრაქტიკულად, რეპერტიუარულ და სპექტაკლებზე დაივანებით უფროსი თაობის მსახიობთა ოსტატობა თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახის ხორცესხმის პროცესში. ამის გამო ჩვენ არ მარტო მოკლებული ვართ საშუალებას ვისწავლოთ მათგან თანამედროვე გმირის სახეზე მუშაობა, არამედ არ შევკვივდითა შემოქმედებითად შევეჯიბროთ მათ აშვარი რეპერტუარში. თეორიულად კი თეატრში ძალიან ძნელია დანერწმუნო ვინმე შენი აზრის სისწორედ, შესრულების სხვა მანერწმუნო ან სხვა შემოქმედებითი სკოლის უპირატესობაში, მით უმეტეს — მსახიობი.

თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენ განსხვავებულ სარეპერტუ-
არო საფუძველზე ვდგავართ. ამიტომ სირთულეები განსხვავ-
ვებული გვაქვს დასაძლვეი. მსახიობი ხომ ვერაფერს ვერ
შექმნის შესაფერი დრამატურგიული მასალის გარეშე.
უფროსი თაობის ისტატები გმირულ სახეებს შექსპირისა და
შილერის პიესებში ქმნიდნენ. თანამედროვე პიესებში კი
გმირული ხასიათის შექმნის ცდები ძიების პროცესს არ გასცი-
ლებია. უბრალოში გმირულისა და მნიშვნელოვანის აღმო-
ჩენა და ჩვენება ხომ ბევრად უფრო რთულია. ჩვენი დროის
გმირი — უბრალო საბჭოთა ადამიანია. ის მუხარადისა და
მოსასხამის გარეშე, გარეგნული ეფექტებისა და ვნებიანი
მონოლოგების გარეშე ქმნის ახალ სამყაროს და უკვე შეიჭრა
კიდევ სულ ცოტა ხნის წინ მიუწვდომელსა და საზღაპრო
კოსმოსში. როგორია იგი, ეს გმირი დღეს, რა ალელუებს მას,
რა სურვილებით ცხოვრობს, როგორ და რას განიცდის,
როგორ უყვარს?.. აი, რაზე უნდა მოუფხობოთ ჩვენ დღეს
თეატრში მისულ მაყურებელს. უბრალოში დიადის ჩვენება,
მისი სიღრმისა და დიდებულების გამოვლენა, თანაც ბრწყინ-
ვალების ტრადიციული აქსესუარების გარეშე, როგორც ეს
აზრის ხოლმე ისტორიულსა და კლასიკურ პიესათა უმრავლეს-
სობაში, — არ არის ადვილი. აი, რატომ მგონია მე, რომ
თანამედროვე თეატრის მსახიობს განსაკუთრებით სჭირდება
სათქმელი აზრის სისუსტე და გრძნობათა სისუსტე, კონკრე-
ტულობა. აბსტრაქტული, თავისთავად ტემპერამენტი და
ზოგადი განცდები დღევანდელი დღის ამასხველ პიესებში,
რომელშიც ყველაფერი ნაცნობია მაყურებლისათვის, არ
შეგლის მსახიობს.

მსახიობის ზრდისა და შემოქმედებითი დამკვიდრების
საკითხი დღევანდელ თეატრში, ჩემი აზრით, განსაკუთრე-
ბულად მნიშვნელოვანი და მტკიანეულია. თეატრში ხომ
სხვა: რეჟისორი ირჩევს პიესას, რეჟისორი ანაწილებს
როლებს, რეჟისორი დგამს წარმოდგენას. თეატრის სტრუქ-
ტურის ეს ფაქტიც საკმარისია იმის ნათლსაყოფად, რომ
მსახიობს ასარჩევი აღარაფერი აქვს. ის იძულებულია, ის
მოვალე იმუშაოს იმ როლზე, რომელსაც მიიღებს რეჟი-
სორისგან. უცოი, შემეკამათებინა — დასში 60-ზე მეტი
მსახიობია და თუ ყველა როლების არჩევას შეუდგება, შორს
ვერ წავალთო. ეს, რასაკვირველია, სწორია, მაგრამ ისიც
სწორია, რომ ყველა თეატრში რეჟისორები ცდილობენ დაი-
კავონ ის მსახიობები, რომლებსაც ენდობინა შემოქმედები-
თად. მიუხედავად ამისა, თითქმის არც ერთი რეჟისორი არ
ფიქრობს მსახიობის პროფესიულ ზრდაზე. ის ფიქრობს
მხოლოდ იმაზე, რომ ეს და ეს მსახიობი სჭირდება მას
ამ როლისათვის (დრო ცოტაა, მსგავს როლებში უკვე გამო-
ავლინა თავი, დამოუკიდებლად მუშაობა შეუძლია და ა. შ.).

ერთი სიტყვით, ეს მსახიობი სჭირდება რეჟისორს. მაგრამ
სჭირდება თუ არა ამ მსახიობს (რომელმაც წინა წარმო-
დგენაში თითქმის ასეთივე ხასიათის როლი შეასრულა!)
შეუსვენებლად, იმავე ჟანრში, მსგავსი როლის თამაში —
ამაზე არაფერ არ ფიქრობს. ამიტომ მსახიობი მექანიკურად
გადადის ერთი წარმოდგენიდან მეორეში, მეორდება, იმტამ-
პება და როგორც შემოქმედი თანდათან კარგავს ფასს, ე. ი.
აღარ წარმოადგენს საჭიროებას თეატრისათვის.

მინდა მოვაგონო თეატრის ხელმძღვანელებსა და რეჟი-
სორებს, რომ მსახიობი, სანამ იგი ცოცხლობს სცენაზე, ღრმა
სიბერეშიც კი, ძალზე სათუთ, მამაშვილურ, პედაგოგიურ
დამოკიდებულებას მოითხოვს მის მიმართ. მსახიობის შემო-
ქმედებითი ბუნება ხომ ურთულესი, ცოცხალი მექანიზმია.
მას ფაქიზი მოპარობა სჭირდება. ეს ერთნაირად ეხება რო-
გორც წამყვანსა და ცნობილ, ისე რიგითსა და საკლებად
ცნობილ მსახიობებს. იმიტომ, რომ რაითაც მსახიობსაც შეი-
ძლება ჰქონდეს საკუთარი თემა, საკუთარი ადგილი და საკუ-
თარი სიტყვა. ყველა მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებ-
ლობა უნდა გამოვლინდეს, ყველას უნდა მოეძებნოს შესაფე-
რი ადგილი, მათ ზრდაზე ზრუნვაა საჭირო.

რაც შეეხება ახალგაზრდა მსახიობთა აღზრდის საკითხს
თეატრში — ეს ხომ სრულიად მივიწყებული საკითხია.
გაეხსენით სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს
დამოკიდებულება ახალგაზრდობის მიმართ, ვახტანგოვის
მაგალითები. გაცილებით უფრო ძნელია აზვარი მაგალითის
მოყვანა დღევანდელი თეატრის წამყვანი რეჟისორების
შემოქმედებითი მოვრაფიიდან. თეატრალურ ინსტიტუტ-
დამთავრებულ მსახიობები შოშაას ბარტყებივით გულუ-
ბრყვილოდ პირდაფეხნილი სხედან თეატრში, მაგრამ მათზე
სერიოზულად ფიქრისათვის არაკის სცალია. ყველა ისე
გამოიღის მდგომარეობიდან, როგორც მოახერხებს. მე მგმისს,
რომ ეს ძნელად მოსაგარებელი საკითხია. მით უფრო
მეტად უნდა ვიფიქროთ მასზე, რადგან მის გადაწყვეტაზეა
დამოკიდებული თეატრის ხვალისდელი დღე. აი, სწორედ
დამწყებ, ჯერ ჩაუოუყალიბებელ მსახიობში უნდა ვხვდავდეთ
მომავალ მხატვარს, შემოქმედს. ხელი უნდა შევუწყით მის
შემოქმედებით შესაძლებლობათა განვითარებას, ვინაიდან
ამის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი არტისტი, მაშასადა-
მე, არ არსებობს არც ჭეშმარიტი თანამედროვე თეატ-
რი.

თანამედროვე თეატრი — მაძიებელი თეატრია. ახალი,
საინტერესო თემის, ღრმა აზრების, მრავალფეროვანი თეატ-
რალური რეჟიმებისა და ჭეშმარიტი, ღრმა განცდების
თეატრია. ამიტომაც მგონია, რომ ამგვარ თეატრს უსჭირო-
ება, უპირველესად ყოვლისა, მსახიობი-შემოქმედი.

კონსულტაცია

(თეატრებში კონკურსების ჩატარება)

უკანასკნელ წლებში ზემდგომი სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დაიწინაურებენ გზებს თეატრების საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ეძებენ შემოქმედებით კოლექტივების დაკომპლექტების ეფექტურ სტრატეგიას. ამ მხრივ ბევრი სიახლე უკვე დანერგვილია: გაფართოვდა უფლებები სამხატვრო საბჭოებისა და რეჟისორთა კოლეგიებისა, თეატრებიც თვითონვე სწყვეტენ რეპერტუარის საკითხს, მუშაობენ ავტორებთან, განსაზღვრავენ კოლექტივის შემოქმედებით გზებსა და მიმართულებას. არის კიდევ ერთი სიახლე, რომელზე უკვე მთორ წელსა წარმატებით მკვდრდება რუსეთის, უკრაინის და სხვა რესპუბლიკების თეატრებში, ხოლო ჩვენთან, საქართველოში ჯერ კიდევ საჭირო სიახლედ რჩება— ესაა შემოქმედებითი კოლექტივების დაკომპლექტება კონკურსების ჩატარებით.

1960 წელი კონკურსების სისტემის გამოცდის პირველი წელი იყო. არც სამეურნეო, არც საზოგადოებრივ ზემდგომ ორგანოებს პირველ ხანებში არც ერთი თეატრისათვის თავს არ მოუხვევია კონკურსის ჩატარება. თეატრები თვითონვე დაინტერესდნენ ამ სიახლით და რსფსრ-ს 280 თეატრიდან 119 გამოაცხადა კონკურსი 908 ადგილის დასაკავებლად. კონკურსები ჩატარდა — იყო შედეგობებიც, შესაბამისიც, კურთხევებიც, მაგრამ ძირითადად კონკურსის შედეგები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. 526 აქტიორი, 30 რეჟისორი და ახლენივე სხვა დარგის მუშაკი ფარული კენჭისყრით ჩარიცხული იქნა დასაქმში. კარგად, ორგანიზებულად ჩატარდა კონკურსები მისიკოსის მიერ თეატრში, პუშკინის სახელობის და დრამატულ თეატრებში, რიგის რუსული დრამის, კალუგის დრამატულ და ჩვენი ქვეყნის სხვა თეატრებში. შედეგების შეჯამებისას აღსატყობოდა, რომ კონკურსების სისტემა ესაა შემოქმედებითი დადამკვლავლის მძლავრი საშუალება, თეატრალური კოლექტივების დაკომპლექტების დღემდე არსებულ წესთა შორის ყველაზე დემოკრატიული და საიმედო წესი. სწორედ ამის გამო 1961 წელს სამჭოთა თეატრების უმრავლესობამ გამოაცხადა კონკურსები, ხოლო ზემდგომმა სამეურნეო და საზოგადოებრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა მხატვრული კოლექტივების დაკომპლექტების ძირითად საშუალებად კონკურსების სისტემა დაადგინეს.

დებულებაში მითითებულია, რომ კონკურსების ჩატარებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თვითიული თეატრის სპეციფიკურობა, ტრადიცია, ნაციონალური თავისებურებანი. რუსეთის ფედერაციაში, სადაც ასობით თეატრია და ათასობით შემოქმედებითი მუშაკი, კონკურსების ჩატარება არ წარმოადგენს დიდ სიმძლავსს, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც თეატრების რიცხვი ორ ათეულს არ აღემატება, თითქმის კონკურსების ჩატარება გარკვეულ დიდ სიმძლავსთან და უხერხულობასთანაა დაკავშირებული. ასე იყო ერთბაშად, კერძოდ, ჩვენი რესპუბლიკის თეატრების ხელმძღვანელები. ეს შიში და ეჭვი გაუმართლებელია და გამოწვეულია იმით, რომ ისინი სათანადოდ ვერ გაერკვენენ კონკურსის ჩატარების წესებში, სწორად ვერ შეაფასეს ის შესაძლებლობანი, რომელსაც კონკურსი იძლევა დასის დასაკომპლექტებლად.

რა მიზანი აქვს კონკურსს?
პირველ ყოვლისა ის, რომ განამტკიცოს თეატრების მართვის დემოკრატიული პრინციპები, თეატრების წამოქმედებითის ცხოვრებასა და საწარმოო საქმიანობაში წამყვანი როლი მიანიჭოს სამხატვრო საბჭოებსა და რეჟისორთა კოლეგიებს, უკუაგდოს შემოქმედებითი კოლექტივების დაკომპლექტების ერთპიროვნული, უკვე მიძველებული მეთოდი.
პერიოდული კონკურსები ხელს შეუწყობს აქტიურულ და რეჟისორული ისტაბილის აღმავლობას, შემოქმედებითი შეჯიბრების გულისგებას, ამხანაგური, კოლეგიალური კრიტიკის გავლას.

აუცილებელია თუ არა კონკურსების ჩატარება ჩვენს რესპუბლიკაში, არის თუ არა საამისო მზა ნიადაგი ჩვენს თეატრებში? არის! ჩვენი რესპუბლიკის 20 პროფესიულ, 32 სახალხო თეატრსა, კინოსტუდიებსა და საკონცერტო ორგანიზაციასთან ასობით დასაქმდებითი მუშაკი ჩამოული ძნელია ზუსტი ციფრის დასახლება, მაგრამ ვიტყვი, რომ ასეულამდე შემოქმედებითი მუშაკი ან მცირე დატვირთვით მუშაობს მისთვის შეუფერებელ ადგილზე, ან სრულიად უადგილოდა, მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი კოლექტივებში ბევრი საშტაკო ერთული დაკავებული აქვთ პირობის, რომლებიც ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვეობის მზარდ მოთხოვნებს. შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებში ხშირად უძლურნი არიან სახელობა და ავტორიტეტით განიზივრებული აქტიორებისა, ზოგი უკვე დისკრიმინირებული მუშაკის წინაშე, ხელმძღვანელებს არ შესწევთ ძალა ასეთი პირობი გადაიყვანონ მათთვის შესაფერის ადგილზე ან ნაცხები გაათავისუფლოს თანამდებობები. სამჭოთა სტუდიების ინტერესების გათვალისწინებით, პრინციპული, მაღალ დონეზე ჩატარებული კონკურსით ამ ამხანაგებს შესაფერის ადგილს მივყვებით. ეს იმს კარგი ნიშნავს, რომ ძველ, დამსახურებულ, ვალშიდებულ ენაღებს განუცოცხავდა, უხეშად ვკრათ ხელი. ამ ამხანაგებს დამსახურებისამებრ მაღლობა უნდა გადავუხადოთ უზრუნველყოთ მათთვის კანონით დასავალისწინებული საარსებო საშუალებების მინიმუმს და მივცეთ დასვენების უფლება — მათ ადვილბუნე ექნებათ ჩარეცხობით ენერჯით და შემოქმედებითი პოტენციით სასეე ახალგაზრდობა.

როგორ ჩაატაროთ კონკურსები? როგორია კონკურსის წესები?

ამისათვის საჭიროა კარგად გაეცნოთ კონკურსის დებულება, განხილოთ და დამტკიცებულ სსრკ კულტურის სამინისტროს კოლეგიის მიერ 1960 წლის 20 თებერვლის (ბრძანება № 102), აგრეთვე სსრკ კულტურის სამინისტროს კოლეგიის 1961 წლის 29 მაისის დადგენილება და სხვა მასალები, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება ტურნალ „თეატრში“.

დებულების თანახმად, კონკურსი ტარდება წლიურადერთი ერთხელ, სეზონის დამთავრებისას, კულტურის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. თეატრის დირექცია ერთი თვით ადრე უნდა გამოაცხადოს პრესაში კონკურსის პირობები და ვადები. დებულების ამ პუნქტს ბევრი ნაკლებანებები აღმოაჩინდა. სეზონის ბოლოს, ჩვეულებრივ, თეატრებს დიდი მუშაობა აქვთ — გამოსაშვებია გეგმით გათვალისწინებული საექტაკლები, წარმოდგენა მზადება საასტრალიოდ გამგზავრებისათვის. გაითვალისწინა რა ეს, კულტურის სამინისტროს კოლეგიამ დაადგინა — 1961 წელს თეატრებმა კონკურსები ჩატარონ

მათივის მოსახერხებელ დროს. ვფიქრობთ, ეს წესი გავრცელდება შემდეგ წლებშიც.

კონკურსის ჩატარების აუცილებლობას განსაზღვრავს თეატრის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი — კულტურის სამინისტრო — ზედმეტი პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

თეატრის ხელმძღვანელობამ თეატრის სპეციფიკა, ტრადიციის გათვალისწინებით, გულდასმით უნდა შეისწავლოს და ადავგონოს შემოქმედებითი კოლექტივის შემადგენლობა, და აზუსტოს რომელი კატეგორიის, რომელი პლანის მსახიობის შევცვლა აუცილებელი, შემოქმედებითი კოლექტივის ჯაჭვში რომელი რეჟისორ მიითხოვს გაჯანსაღებას. მხოლოდ ამის შემდეგ თეატრის დირექტორი სამხატვრო საბჭოსთან, ადგილკომთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ადგენს კონკურსით დასაკავებელ თანამდებობათა სიას, განსაზღვრავს საკონკურსო ადგილების რაოდენობას. აუცილებელია გვახსენოვოს, რომ კონკურსის გამოცხადება შეიძლება მხოლოდ მთელი შემოქმედებითი შემადგენლობის სამხატვრო ერთეულთა ოც პროცენტზე. მაგალითად, თუ კოლექტივში 100 შემოქმედებითი მუშაკია, კონკურსის გამოცხადება დასაშვებია მხოლოდ 20 ადგილის დასაკავებლად. თუ თეატრს ჰყავს დიდი დასი, ორკესტრი, რეჟისორთა და მხატვართა მრავალრიცხოვანი კადრი, ხელმძღვანელობას შეუძლია კონკურსებში გამოაცხადოს დარგების მიხედვით. ასე მოიქცა, მაგალითად, მიმდინარე წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. კონკურსი გამოაცხადა მხოლოდ ვოკალისტ-მუსორგლელთა თანამდებობების დასაკავებლად. თეატრს განზრახული აქვს შემდეგ გამოცხადოს კონკურსი ცალკე ბალეტის, ორკესტრისა და გუნდის შემადგენლობისათვის.

ის პირები, რომელთაც საკონკურსო ადგილები უჭირავთ, თეატრის დირექციამ ორი თვის ადრე უნდა გაავრცელოს. ამ პირს, ჩვეულებრივ, აქვს კონკურსში მონაწილეობის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ის თეატრის შტატშია, აესებს დებულებით გათვალისწინებულ ყველა საბუთს და განცხადებასთან ერთად აბარებს კონკურსის მოსამზადებელ კომისიას. თუ შემოქმედებითი მუშაკი, რომლის ადგილზეც ცხადდება კონკურსი, უარს განაცხადებს კონკურსში მონაწილეობაზე, თეატრის ადმინისტრაციის ინიციატივით მისი გათავისუფლება შეიძლება კონკურსის დამთავრების შემდეგ. ამ შემთხვევაში გათავისუფლებული მუშაკი შრომის წიგნაკში ჩაიწერება: „გათავისუფლებულია სამუშაოდან კონკურსის დებულების შესაბამისად“, თუ მუშაკი უარს ამბობს კონკურსში მონაწილეობაზე და წერს განცხადებას დასაბუთებლად გათავისუფლების შესახებ, დირექცია ათავისუფლებს მას და შრომის წიგნაკში უწერს: „გათავისუფლებულია სამუშაოდან თავისი სურვილით“.

კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ შტაბით გათვალისწინებულ თანამდებობებზე: კონკურსი იმ ადგილებზე, რომელიც დაკავებული აქვთ ხელშეკრულებით, არ შეიძლება გამოცხადდეს ხელშეკრულების ვადის გასულამდე. კონკურსის გამოცხადება არ შეიძლება იმ ადგილებზე, რომელიც უჭირავთ ფუნქციონირებულ პალებს ან მარტოხელა დიდებს, რომლებსაც ჰყავთ შვილები სამი წლის ასაკამდე. აგრეთვე იმ ადგილებზე, რომლებიც უკავთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ან სპეციფიკურებში გაგზავნილ პირთ, ან იმ პირთ, რომელ-

თაც საბუნთო უფლების მოპოვებამდე ერთი წელიწადიან მასზე ნაკლები დრო დარჩათ.

ვინ შეიძლება დაშვებულ იქნას კონკურსზე? — ყველა პროფესიონალი შემოქმედებითი მუშაკი, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება ან მუშაობის აუცილებელი გამოცდილება. ცალკეულ შემთხვევებში, კონკურსზე დაიშვებიან მხატვრული თვისებებით აღჭურვილი წარმომადგენლები, თუ მათ რეგულაციას აძლევს ხალხური შემოქმედების სახლი.

კონკურსის ადგილის და პირობების შესახებ თეატრის ხელმძღვანელობამ ერთი თვით ადრე განცხადება უნდა განაოქვეყნოს გაზეთში. თავისი შინაარსით ეს განცხადება ზუსტად უნდა ასახავდეს კონკურსის პირობებს, კერძოდ, რომელი სასიათის, რა ასაკის, რომელი კატეგორიის მსახიობი სჭირდება თეატრს. ასე მაგალითად, რიგმა თეატრებმა რუსეთში გამოაქვეყნეს განცხადებები, რომლებიც იუწყებოდნენ: ცხადდება კონკურსი პირველი კატეგორიის მსახიობის 3 სამხატვრო ერთეულის, პირველი კატეგორიის 2 სამხატვრო ერთეულია და 1 რეჟისორ-დამდგმელის თანამდებობის დასაკავებლად. მეორეს მხრივ, სხვა განცხადება იუწყებოდა — გვირგვინი ასალგაზრდა გვირი ქანის, ან სახასიათო მოხუცის შემორულებით და სხვ. ამ განცხადებათაგან არც ერთი არ გამოხატავს სრულყოფილად თეატრის საჭიროებას. უფრო გონივრული და პრაქტიკული აღმოჩნდნენ ის თეატრები, რომელთა განცხადებაში ინიციატივით იყო როლის სასიათიც და სატარებო კატეგორიაც. ასე მაგალითად, მურმანსკის საოლქო დრამატული თეატრის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადებებში გვიხიხლობთ, რომ ტარდება კონკურსი შემდგომი სამხატვრო თანამდებობების დასაკავებლად: რეჟისორი — პირველი კატეგორიის; უმაღლესი კატეგორიის აქტიორი-მსახტლივეცის, შვანდიას როლების სასიათისა; აქტიორი უმაღლესი ან პირველი კატეგორიის — ბალეტის, ხელსატკეპის როლებზე; აქტიორი პირველი კატეგორიისა — სერგეის როლზე („ირაკლესის ისტორია“); პირველი კატეგორიის აქტიორი — ნიკიტას როლის სასიათისა („მუშუავე წყვილია“), მსახიობი პირველი და მეორე კატეგორიისა — ჯულიეტასა და ლეონას როლების სასიათებისა (ასაკით არა უმეტეს 25 წლისა) და სხვ. თეატრი აქვე აცხადებს, რომ კონკურსით მიღებულ აქტიორებს უზრუნველყოფს ბინით, გადაიხდის გადასაცემან ფულს, ჯავშნის დაავადების ბინას მსახიობის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე და სხვ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველი განცხადებას წერს კონკურსის მოსამზადებელი კომისიის სახელზე. ამავე დროს, ამის შესახებ წერილობით აცნობებს იმ თეატრის დირექციას, რომელშიც იქნა მუშაობა. თეატრის დირექცია ვალდებულია ისე დაგეგმოს სპექტაკლები, რომ მსახიობს საშუალება მიეცეს წავიდეს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად — საამისოდ მსახიობი თავისუფლებას ორიდან ზუთ დღემდე, ხელფასის შენარჩუნებით. სხვა კოლექტივის კონკურსში მონაწილეობა არ შეიძლება გახდეს მიზეზი ამ მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებისა ან მისი ადგილზე კონკურსის გამოცხადებისა, თუ ეს ადრევე არ იყო დადგენილი. გზისა და სხვა საჩუქრებს ისიღის კონკურსში მონაწილე პირი.

შეგინწნავთ, რომ იმ პირებს, რომლებმაც კონკურსში ვერ გაიმარჯვეს, მაგრამ კონკურსის პერიოდში დროებით მიწყდნენ სამუშაოს — საწარმოო სტაჟი არ უწყდებათ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები: ა) კადრების აღრიცხვის



ფორცელი უკანასკნელ წლებში გადაღებული ფოტოსურათით; ბ) ავტობიოგრაფია; გ) დახასიათება იმ დაწესებულებებიდან, სადაც ბოლოს მუშაობდა (ან მუშაობს) — ხელმოწერილი თეატრის ხელმძღვანელობისა და სასოფლისეპროდუქციის ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ; დ) უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში დადგმაში ან შესრულებული სპექტაკლებისა და როლების სია, დამოწმებული თეატრის ხელმძღვანელის ხელმოწერით. სასურველია წარმოდგენილ იქნეს ამონაბეჭდები პრესაში გამოქვეყნებული რეკლამებიდან.

კონკურსის მომზადებულ ყველა სამუშაოს აწარმოებს კონკურსის მომზადებელი კომისია, რომელსაც თეატრის შემოქმედებითი მუშაკებისაგან, სამხატვრო ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით, ქმნის თეატრის დირექტორი. კომისიის წევრობის უფლება არა აქვს კონკურსში მონაწილე პირს.

განცხადებათა განხილვისას კომისია ადგენს, ვინ შეიძლება დაიწესოს კონკურსზე და ვინ არა. თუ განმცხადებელი არ არის პროფესიონალი, არ აქვს მუშაობის გამოცდილება ან ხალხური შემოქმედების სახლის რეკომენდაცია და ვერ წარმოადგენს საჭირო საბუთებს, ან თუ განმცხადებლის ასაკი და ფიზიკური მონაცემები არ შეესაბამება თეატრის მოთხოვნებს, კონკურსის მომზადებელი კომისია განცხადების მიღებიდან ათი დღის ვადაში აცნობებს ამ პირს, რომ ის კონკურსზე არ არის დაშვებული. თუ განმცხადებელს რაიმე პრეტენზიები ექნება კომისიისადმი — უფლება აქვს, საკითხი დასვათ თეატრის სამხატვრო საბჭოში.

კონკურსის დაწყებამდე ათი დღით ადრე კომისია წერილობით აცნობებს კონკურსზე დაშვებულ პირს კონკურსის ჩატარების დროსა და ადგილს, აგრეთვე კონკურსის ფორმას. ამის შემდეგ ყველა მასალა კონკურსზე დაშვებულ პირთა შესახებ კომისია გადასცემს სამხატვრო საბჭოს.

კონკურსის უშუალო ჩამტარებელი სამხატვრო საბჭო. იგი ადგენს ფორმებსა და მეთოდებს კონკურსზე დაშვებული მსახიობის შესაძლებლობათა ყოველმხრივ გამოსავლენად. ასე მაგალითად, დებულების თანახმად, სამხატვრო საბჭოს უფლება აქვს რამდენიმე წევრი მიავლინოს იმ ქალაქში, იმ თეატრში, რომელშიც კონკურსში მონაწილე პირი მუშაობს — ნახოს ის ერთ ან რამდენიმე სპექტაკლში. შეიძლება კონკურსში დაშვებული პირი მიიწვიოს თეატრში თუ მიმდინარე რეპერტუარში არის პიესა, რომელშიც ამ მსახიობის შეუძლია ითამაშოს რომელიმე როლი, მისცეს რეპეტიცია და ნახოს სპექტაკლში. ან შეიძლება მისგან მოისმინოს ეტიუდები, სცენები, ნაწყვეტები, მონოლოგები და სხვ. აქ დღვმა არ არსებობს — სამხატვრო საბჭომ თვითონვე უნდა შეიმუშაოს თვითელი მონაწილის შემოქმედებითი შესაძლებლობების და პროფესიული მონაცემების შესწავლა-შემოწმების კონკრეტული ხერხები.

კონკურსში მონაწილე პირის შემოწმება-შესწავლის შემდეგ დგება სამხატვრო საბჭოს სხდომა, რომელსაც გადაწყვეტილების უფლებით ესწრებიან პროფესორის, ადგილობრივ და სხვა სასოფლისეპროდუქციის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. სხდომაზე დახურული ფარული კენჭისყრით ხდება კოლექტივში მისაღებ კანდიდატთა არჩევა. კენჭი თვითველ კანდიდატს ცალკე უნდა უყარონ. ოქმის კენჭის ყრის შედეგი

გაფორმდება ცალკეულ კანდიდატთა არჩეულად ითვლება. თუ სხდომის ესწრებელი სამხატვრო საბჭოს შემადგენლობის ორი მესამედი მაინც და კანდიდატმა მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა სხვების ნახევარზე მეტი.

თუ ხმების რაოდენობა თანაბრად გაიყო იმ პირებს შორის, რომელსაც დაკავებული აქვს ადგილი და რომელიც ცილობის დაიკავოს ადგილი, უპირატესობა უნდა მიეცეს მას, რომელსაც კვათა ადგილი. თუ ხმები გაიყო ორ ახალ კანდიდატურას შორის — კენჭისყრა ხელახლა უნდა მოხდეს.

კონკურსის შედეგები ძალში შედის მას შემდეგ, როცა დირექტორი ბრძანებით დაამტკიცებს სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებას. დირექტორის ბრძანებითვე ფორმდება კონკურსში გამარჯვებული პირის დასმი ჩარიცხვა. ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს სამუშაოზე მიიღებულ პირის სატარიფო კატეგორია, ხელფასი და სხვ.

პრაქტიკულად როგორ ხდება დაკავებული ადგილის გათავისუფლება და ახალი პირის მიერ ამ ადგილის დაკავება? თუ კონკურსი ვაკანტურ ადგილზე იყო, ცხადია, კონკურსში გამარჯვებული პირი კონკურსის დამთავრებისთანავე ბრძანებით ჩაირიცხება შტატში და დაიწყებს მუშაობას, თუ იგი თავისუფალია წინანდელი სამსახურიდან. თუ წინანდელ სამსახურში დაკავებულია რეპერტუარში — დებულების თანახმად, იგი სამუშაოდან უნდა გათავისუფლდეს ახალ კოლექტივში სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. თუ ეს პირი რეპერტუარში არ არის დაკავებული ან მცირე დატვირთვა აქვს და დირექტორს თანხმება გაათავისუფლოს იგი თეატრიდან, მაშინ, ცხადია, არაა საჭირო დაელოდონ დებულებით გათვალისწინებულ ვადას, მაგრამ როგორ მოექცეთ, როცა კონკურსში გამარჯვებული პირის მიერ დაკავებულ ადგილზე თანამშრომელი მუშაობს, რომელსაც ან არ ისურვა კონკურსში მონაწილეობა ან დაინაცვლა? დებულების თანახმად, თუ ეს მუშაკი თანახმაა იქნება, დირექტორს მას გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე, შესაძლებლობის ფარგლებში, თუ არა — სეზონის ბოლოს გაათავისუფლებს სამუშაოდან.

კონკურსებთან დაკავშირებული პრეტენზიები ან სადავო საქმეები არ განიხილება შრომის დაცვის კომისიაზე და სამართლოში. ამ საკითხებით დაინტერესებულმა პირებმა კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში უნდა მიმართონ — კულტურის სამინისტროს ან კულტურის მუშაკთა მინორეკამის რესპუბლიკურ კომიტეტს.

შტატში ჩარიცხული მუშაკის ოჯახის გადმოსაყვან და კანონით გათვალისწინებულ სხვა ხარჯებს იხდის იმ თეატრის დირექტორი, რომელშიც ჩაირიცხა მუშაკი.

თეატრში სამუშაოდ უკონკურსოდ მიიღებიან უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი, მათ ადგილებზე სამი წლის განმავლობაში არ ტარდება კონკურსები. შემდეგ კი ჩვეულებრივ წესით, შეიძლება მათი ადგილები საკონკურსო ვადამდე.

კონკურსები ახალი საქმეა ჩვენს რესპუბლიკაში. საჭიროა კარგად გავცნოთ კონკურსების პრაქტიკას, მოვიქნებოთ, პრინციპულად, მაღალ დონეზე ჩატარებით ისინი. თუ ამას შევძლებთ, მაშინ კონკურსები შემოქმედებითი აღმავლობის მძლავრ საშუალებად გადაიქცევა.



ე. ანდრონიკაშვილი

გურჯაანი

ესთეტიკის საკითხები «გერმანული ფილოსოფიური ჟურნალის» ფურცლებზე

ნოდარ კუბრავა, ავთანდილ ჯაკობია

უკანასკნელი წლების მანძილზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სწრაფად წავიდნენ წარსულის სტრუქტურული ისტორიული აზრი და ეს არსებითად სოციალისტური კულტურის, ახალი ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების ამოცანებითაა გაპირობებული. ამ წინსვლაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენს უახლესი პერიოდის საბჭოთა ესთეტიკის წარმომები, სადაც მკაცრი ბრძოლა გამოცხადდა რევიზიონიზმს, დოგმატიზმს და ფართო გასაქანი მიეცა შემოქმედებით აზრს. მაგრამ, თავის მხრივ, გერმანულ ესთეტიკისა და წარმომები შევსებულნი ვართ უღრმესი მათი დასული საკითხების აქტუალობით და სიახლოვეს განვიხილოთ საბჭოთა მეთოდოლოგიის გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. ჩვენ სწორედ ეს გვკოდა მხედველობაში, როცა განვიხარჩეთ „გერმანული ფილოსოფიური ჟურნალი“ მოთავსებული ზოგიერთი წერილის მოკლე მიმოხილვა, თუცა ამით მხოლოდ ნაწილობრივ ავსავდათ იმ მუშაობას, რაც მოძვე ქვეყანაში წარმოებს ესთეტიკის ფორმულაზე.

ამ მიმოხილვას ჩვენ ბასენვს წერილით „ასახვა თუ გამოხატვა“¹ დავიწყებთ. უკვე სათაური იმას მიგვაჩვენებს, რომ მისი ავტორი გვერ დადგო საკითხს ესება. ეს მართლაც ასეა.

გარკვევებულ აზრს, რომ ხელოვნების, როგორც მილიანი მოვლენის, გაგებისათვის ასახვის კლასიკური ესთეტიკური თეორია საკმარისი არ არის, ბასენვა საკუთარ ახსნას აძლევს. ეს თეორია, მისი აზრით, საკმარისია მხოლოდ იმ დარგების ასახვად, რომლებიც ასახავს (პლასტიკა, ფეხვლიერება, გრაფიკა, ეპოსი, თხრობითი ლირიკა, დრამა, კინოფილმი, პანტომიმა, ეპარული ცეკვა). მაგრამ არსებობს გამომსახველი ხელოვნებაც („ტიპიური“ ლირიკა, „ასოლუტური“ მუსიკა, გამომსახველი ცეკვა) და მას ასახვის თეორიას ვერ მივუყვებით. ბასენვს ფართოდ ახასიათებს ამასველ და გამომსახველ ხელოვნებას და უმთავრესად მათ შორის არსებულ განსხვავებაზე ლაპარაკობს. იგი თვითონვე წერს, რომ ამ განსხვავებას მეთრადი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების არსისათვის². მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიღოთ მის კვლევაზე, არ შემეცადოთ მისი ადგილის შესჯად დადგენას ხელოვნების არისის განსაზღვრულ ფაქტორთა შორის.

გაშოღის რა ამ მოსაზრებინდა, ბასენვს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ რამდენად სწორად წარმართავს ამ კვლევას, რამდენად სწორ დასკვნებს აკეთებს იგი, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ბასენვს სინამდვილისადმი ხელოვნების წაწარმოების ექსკვარე დამოკიდებულებას არჩევს:

1. ხელოვნების წაწარმოები, პირველყოფილსა, სინამდვილის სწავლიდა და, როგორც ყოველი სხვა ასეთი წაწილი, დაღუპვის კანონს ემორჩილება. ხელოვნების წაწარმოება სუბსტრატის სხვადასხვა ბუნებისა (მაგ., ფერწერაში — ტილი, სკულპტურაში — ხე, მარმარილი და სხვ.). თუ, მაგ., სკულპტურული წაწარმოები მატერიალურად დაიწავლა, ის აღარ იქნება „ნამდვილი“. მეორე მხრივ, მაგ., ცეკვა და პანტომიმა შესრულებას დროს არიან „ნამდვილი“, ისე კი არსებობს როგორც იდეა და პროგრამა.

2. ხელოვნების წაწარმოები ადამიანური შემოქმედებაა.

ყოველი ამგვარი შემოქმედება მოითხოვს რაღაც წინაპირობას — მასალას (ეს კერძოდ არისტიკურად იცნა), რომელიც სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ხელოვნებისათვის: ცეკვისათვის — სხული, პოეზიისა და მუსიკისათვის — სიტყვები და ტონები და ა. შ.

3. ხელოვნების წაწარმოები მხოლოდ იმიტომ კი არ არსებობს, რომ უნდა არსებობდეს, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს მიზანი; იგი იმიტომ არსებობს, რომ ადამიანი დატკბეს მით. ხელოვნების წაწარმოები შემოქმედებს საზოგადოებაზე და ამით ვლინდება მისი აქტიური როლი. ხელოვნება არსებობს იმ ადამიანისათვის, რომელსაც ესმით იგი. ამიტომ ადამიანური გაგება იმის წინაპირობას წარმოადგენს, რომ ხელოვნება ამ თვისი შემოქმედებითი ფუნქცია განასორციელოს.

4. ხელოვნების წაწარმოები, როგორც ადამიანური შემოქმედება, მოითხოვს შემოქმედს ანუ, არისტიკურად წარმოადგენს რაღაც რომ ვთქვათ, „მამოძრავებელ წყაროს“. მსატკარი ხელოვნების წაწარმოებში თავის ადამიანურ არსებით ძალგებს (კ. მარქსი) ათიექტურებს. ადამიანი „საზოგადოებრივ ურთიერთობა ერთობლიობაა“, და მხატვარმა, თუკი სურს იყოს სოციალისტური რეალისტიკი, მთელი შეგნებით უნდა გაათიექტურდეს ეს საზოგადოებრივი ურთიერთობანი და ძალეში.

5. მსატკარი ნიშნითავე გამოსატკის საშუალებებს, ენას. ხელოვნების წაწარმოებს მინაარსობრივად ვერ გავიგებთ, თუ არ გვემის, რას ვთვალავს იგი. ლირიკულ ლექსს, სატრფოსადმი მიძღვნილს, ვერ გავიგებთ, თუ მას არ ადვილკვამთ როგორც გამომხატველს. ხელოვნების წაწარმოების ესთეტიკური არის გულგრილია იმისადმი, მართლა გაიოსახება თუ ათა იგი ნამდვილ სურვილს, ნამდვილად არის თუ არა იგი გამიჯურება. ამ თვალსაზრისით უნდა მივღებთ მუსიკას და ცეკვას, რადგანაც ისინი კი არ გადმოცეკვენ, არამედ წმინდა გამოსახვითი ხელოვნებანი არიან. იმომეებს რა ჰეგელის განსაზღვრებას, რომ მუსიკა „კონდენცირებული ინტრიექციონია“, ბასენვს წერს: „...რომ არ ყოფილიყო შესაძლილ და აღტკვებად რომ ისინი არ წარმოადგენდნენ განსაზღვრული განწყობის გამოსახვას, მაშინ არ იქნებოდა არც მუსიკა და არც ცეკვა. მასსადაც, არსებობს ტონი და მოძრაობით ადამიანური გამოსახვის უნივერსალური „გრამატიკა“³. რაკი მუსიკალური და ცეკვის „ენის“ მოქმედება იმ ემყარება არც კონვენციის და არც ტრადიციას, ამგვარი ენის არსებობა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მუსიკალური გოდება მივიჩნიოთ გოდებად, აღდგომარებად გავიგოთ როგორც აღდგომარება და საერთოდ სიმღერა — როგორც ფორმულა საკუთარი განწყობისადმი ქვეყის გამოსახვისათვის (ბასენვს აზრით, სინამდვილისადმი ხელოვნების ამგვარი ურთიერთობა დღემდე თითქმის შეუწმენველი იყო ესთეტიკისათვის).

6. ხელოვნების წაწარმოები ასახავს ამ გამოსახვს, ე. ი. ურთიერთობას „მასალურ“ და „გამოსახულ“ სინამდვილესთან. ის, რომ წაწარმოები გამოსახავს ამ ასახვას, ეს მისი არისიანი ნამდვილობაა. ამგვარი ენის არსებობა აუცილებელია და მოკიდებულია არა ამ არსზე, არამედ ქანზე, რომელსაც იგი ეკუთვნის. „ამრიგად, — წერს ბასენვ, — ჩვენი თვისის არის, რომ გამოსახვა და ასახვა საზოგადოდ ადამიანური გამომხატველებისა და განსაკუთრებით კი მხატვრული გამო-

¹ იხ. „Deutsche Zeitschrift für Philosophie“. 1960, № 1—2.
² იქვე, გვ. 118.

³ იქვე, გვ. 123.



სახვის ორ ძირითად განსხვავებულ სახეს შეადგენს. ცალკეულ შემთხვევაში ორივე შემთხვევა ძნელად გასარჩევ იყოს და ზოგჯერ გარკვეული აზრით ერთმანეთს შეაზრდნენ, მაგრამ პრიციპულად ასახვა გამოსახვაზე და გამოსახვა ასახვაზე უარსდროს დაიყვანება. უკანასკნელი ასახვის „ცალმხრივი“ თეორიის შემდგომ, პირველი კი გამოსახვის „ცალმხრივი“ თეორიის შემდგომ⁴, რომ „გამოსახვა“ არ აიხსნება „ასახვის“ ეს უპირველეს ყოვლისა, იმაზე ლაპარაკობს, რომ გამოსახული გამოსახვის პრინციპში კი არ აიხსნება, ან აღიწერება, არამედ სახელდობრ „გამოსახვაზე“. თუქც კი განსხვავება არ დაიყვანება განსხვავებულ სუბიექტურსა და ობიექტურს შორის. მართალია, გამოსახული ყოველთვის რაღაცაშია, ასე თუ ისე, სუბიექტურია, მაგრამ სუბიექტურზე შესაძლოა ასახულ ან აღწერილ იქნას, ამასთან არა მარტო სხვა-სუბიექტური, არამედ საკუთარი-სუბიექტურიც.

ასეთია, მიოლდ, ბასენგს კონცეფცია სინამდვილისთან ხელოვნების დამოკიდებულება, „ასახვისა“ და „გამოსახვის“ შესახებ. იგი ეტება: სხვა საკითხებთან (ხელოვნების სახე, ხელოვნება და მცენიერება, ფორმა და შინაარსი...), როდესაც ცალკეულ ახსიათებს ამასხველ და გამოსახველ ხელოვნებას. აი ზოგიერთი დებულებაც: „თუქც ხელოვნება ფორმულურადაა არ უკვეთის შემთხვევაში, მაგრამ ახლო დგას შემქმნელთან და ხსნის მას რაღაც განსაზღვრულ გავსებში... ამიტომაც შესაძლოა, რომ ხელოვნება იმავე გავებით გამოიყენებთ განათლების იარაღად, როგორც მცხოვრება“⁵ „ფორმის ცვლილებასთან ერთად არ არის ავტოლუბელი შეცვალის შინაარსი“⁶.

ბასენგს წინააღმდეგ ურნდობა „Deutsche Zeitschrift für Philosophie“-ის სტატია გამოაქვეყნა: ჰედი მიულბერგის „ფილოსოფიისა და ესთეტიკის ძირითადი საკითხები“ (1960 წ. № 9) და ლიორ ლახვის „ასახვა და გამოსახვა როგორც ერთიანი პროცესი“ (1961 წ. № 1)...

იმის მთავარ მიზეზს, რომ ბასენგს სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხებში ვერ მალდებდა მარქსისტულ-ლენინურ გავებამდე, 3. მიულბერგი სოციალისტური სინამდვილისაგან მისი ესთეტიკური ნაწარმის იზოლირებაში ხელდას. ჩვენი ესთეტიკა, წყნს იგი, ყურდობდა განსვთარებაში მყოფ სოციალისტურ ხელოვნებას, სწავლობს მისი განვითარების კანონზომიერებებს და, ცხადია, დისკუსიონშიც ესთეტიკის საკითხებზე ფაქტობრივი მასალა უნდა მოეცინებინა არა საერთოდ ხელოვნებიდან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური ხელოვნებიდან, რომლის განსვთარებისათვის ხელშეწყობა მარქსისტული ესთეტიკური მცენიერების მთავარ მიზანს შეადგენს.

3. მიულბერგის აზრით, ბასენგს კონცეფცია „ამასხველი“ და „გამომასხველი“ ხელოვნების შესახებ ეწინააღმდეგება ფილოსოფიის მთავარ საკითხებზე მარქსისტული თვალსაზრისს და იგი ესთეტიკის სფეროში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლებინებათა მკაფიო მარჩეველია. „ამასხველი“ და „გამომასხველი“ ხელოვნება შორის განსხვავებას, აღნიშნავს იგი, მხოლოდ მაშინ ექვს ძალა, როცა განხილვება ხელოვნების სხვადასხვა დარგების სპეციალური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ ლიორის „თავისებური“ და „ტკბიერი“ სახეები, უპირველეს ყოვლისა, გამოსახვებ პოეტის ცნობიერების შინაარსს, მაინც სწორედ ამ გამოსახვებში ისახება ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების ესთეტიკური თავისებურებანი. რაც შეეხება ბასენგს იმ ნათქვამს, რომ „ამასხველი“ და „გამომასხველი ხელოვნება შორის არსებული წინააღმდეგობა მეორეად მნიშვნელობისაა, 3. მიულბერგი ლიტონ განცხადებდა თვლის, რადგან იგი ამ წინააღმდეგობას ხელოვნება ბერავს, აწვადებს და ცდილობს, ასახვის თეორიის „ცალმხრივობა“ სწორედ ამით დაძლიოს, რადგან იგი ამავე დროს აკრიტიკებს ნდომიერის, რომელსაც ასახვა, საერთოდ, ხელოვნების ფუნქციად მიიჩნია. იქვეცა რა ასე, „ბასენგე ამით იმას უარყოფს, რომ ხელოვნების არსი და მისი საზოგადოებრივი

ფუნქცია ასახვის ხასიათით განისაზღვრება, რომ თავისი სახვის, სინამდვილის ესთეტიკური შინაარსი, ასახვა ხელშეწყობის არსებობა“⁷.

ბასენგს ეს შეცდომა, განაგრძობს 3. მიულბერგი, ხელოვნების სახებით ფუნქციის არასწორი ინტერპრეტაციიდან წარმოსდგება. ბასენგე ლაპარაკობს ასახვის ორ გავებაზე — საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ საზოგადოებრივი ყოველთვის ასახვაზე და ხელოვნების მიერ სინამდვილის ნაწილობრივობის ასახვაზე. ასახვა პირველი გავებით არის ყოველგვარი საზოგადოებრივი მოქმედება, სურს თუ არა ეს. ასახვა მეორე გავებით კი წარმოადგენს მხოლოდ ისეთ მოქმედებას, რომელსაც მიზნად აყენებს სინამდვილის ასახვა საკუთარი სპეციფიკური აზრით. ყველა ასახვა მეორე გავებით ნიშნავს აგრეთვე ასახვას პირველი გავებით, მაგრამ პირიქით კი ეს ასე არ არის.

3. მიულბერგი მცდარად თვლის იმ დებულებას, რომ ასახვა პირველი გავებით წარმოადგენს ყოველგვარ საზოგადოებრივ მოქმედებას. „ყოველგვარი საზოგადოებრივი მოქმედება“ — ეს არის დიფოლოგიური საზოგადოებრივი პროცესები და მატერიალური საზოგადოებრივი პროცესები. ასახვა კი არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფუნქცია, სწორედ ადამიანის იდიოლოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობა (მატერიალურ-საზოგადოებრივ ურთიერთობებთან).

3. მიულბერგის აზრით, ბასენგს ასახვა, პირველი და მეორე გავებით, ერთმანეთისათვის კი არ უნდა დებინოს პირიქით, არამედ ზაზი უნდა გავეს იმისათვის, თუ სინამდვილის რომელ მხარეს ასახვა ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა. და ეს საკითხისადმი სწორი მიდგომაა. ბასენგე კი ვერდს უკვლის ამ მნიშვნელოვან საკითხს და ზოგიერთი ზერულე შენიშვნით კმაყოფილდება.

4. ახალედ სანიტრესლა 3. მიულბერგის სტატიის პოზიტივიზმ ნაწილიც. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ ხელოვნება თავისი სპეციფიკური სახვისა და ასახვის ისტორიული თავისებური ფორმის ერთიანობით იკავებს განსაკუთრებულ ადგილს საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმათა სისტემაში. ყველაზე დიდი ნაწილობრივად მაშინ შეიქმნება, თუ ხელოვნება მეტაფიზიკურად განსვალკევებს საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებისაგან, რადგან ამით ხელოვნებას დავუკარგავთ საზოგადოებრივ ფუნქციებს და კარს ფართოდ გავუვლით ვულგარიზმს. მეორე მხრივ კი, თუკი უარყოფთ ხელოვნების სპეციფიკურ შემეცნების ფუნქციას, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თეორიიდან მომდინარე საშინობების წინაშე აღმოჩნდებით.

3. მიულბერგი სწორად ამბობს, რომ ყოველთვის ყურადღების ცენტრში უნდა გვექონდეს სოციალისტური ხელოვნების კონკრეტული ისტორიული ამოცანა და თავი უნდა ავირდილო ყოველგვარ აბსტრაქტულ სქემებს. ამეყადა „ჩვენს სოციალისტურ ხელოვნებას“, — წყნს იგი, — ექვს დიდი ამოცანა, რომ ასახოს ახალი ადამიანის სიღამაზე, სილიადე და შინაარსი სიმდიდრე. მიოვი მისი შემოქმედებითი ძალებისა და უნარის თავისუფალი გაშლა-განვითარება და. ამოცანად, დიდი აღმზრდელიობითი შეგავლება იქონიოს იმ ადამიანებზე, რომლებიც თავიანთ თავს შეიცივნებ ამ ხელოვნებაში“⁸.

3. მიულბერგი იმათ ემხრობა, ვინც აღიარებს ხელოვნების სახვის სპეციფიკურობას. კერძოდ ამ საკითხზე ციტირებას აკეთებს ჰანს კიონს წიგნიდან „ფრანგ მერიანების ნაშრომების წყლილი მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობაში“, რომლის მოტივაცა აქ შედგებოდა არ იქნებოდა: „მასტერული ასახვის სპეციფიკური შემეცნების ობიექტს... წარმოადგენს ბუნების მოვლენა თავის თავისებურებებში როგორც ადამიანის უნივერსალობის პრაქტიკული გამოსახულება. ამ აზრით მასტერული ასახვის საგანია პირველყოვლის „გადადამაზრებული ბუნება“. ბუნების მოვლენა მხოლოდ „გადადამაზრებული ბუნების“ ფორმით, მხოლოდ ადამიანის უნივერსალობის

⁴ იქვე: გვ. 124.
⁵ იქვე: გვ. 130.
⁶ იქვე: გვ. 143.

⁷ იქვე, № 9, გვ. 1122.
⁸ იქვე, გვ. 1125.



საგნობრივ-პრაქტიკული გამოხატულებით იძენს ესთეტიკურ საინტელექტუალს და ასე შექმნილი განდევნ მხატვრული ასახვისა და ესთეტიკური შეგრძნების ობიექტი⁹.

როგორც ვხედავთ, ხელოვნების საგნის პრობლემა აქაც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ჩვენ არ ვიძავეთ ზემოთხსენებულ განახლებების მართებულებისა თუ სისწორების გამო, მაგრამ იმას კი აღვნიშნავთ, რომ ხელოვნების საგნის ესთეტიკურობის აღიარება და მისი დასაბამება არსებითად სასტიკური თვალსაზრისით, ყველაზე უკეთ გამოხატავს იმ საერთოს, რომელიც წიფილი ხელოვნით გასდევს ამ პრობლემის მრავალმიმართებულ მკვლევარსა წარმოშედს (ბურჟუა, ვანსლოგი, სტოლოვინი, ბარტუკი, ნ. პავლევი და სხვ.); მეორე მხრივ კი, ხელოვნების საგნის ასეთი გაგება ყველაზე მყარ საფუძველს უქმნის სოციალისტური ხელოვნების შემდგომ განვითარებას და ამასთან ნიდაგვს აცლის თანამედროვე ბურჟუაზულ და სხვადასხვა ჯარის ოპორტუნისტებსა ბრალდებებს ჩვენი ხელოვნების გადავარებისა და ანტიესთეტიკურობის შესახებ.

ბასენგეს კონცეფცია მკაცრად გააკრიტიკა ლითარ ლანგმა; მისთვის მიუღებელია ბასენგეს შემდეგი დებულებები: 1. არსებობს ხელოვნების დარგები, რომლებიც მხოლოდ ასახვენ და რომლებიც მხოლოდ გამოხატავენ; 2. გამოთქმა (Aussage) დას ხელოვნების ნაწარმოების გარეშე და 3. ფორმის შეცვლასთან ერთად აუცილებელი არ არის შინაარსის შეცვლა.

ლ. ლანგი მუითითებს, რომ ბასენგე ამანჩნებს ასახვის ცნებას და დიალექტიკურ შინაარსს უკარგავს მას; ერთმანეთისადაც „ასახვისა“ და „გამოხატვის“ განცალკევება ამის დამდასტურებელია. „ასახვა“ და „გამოხატვა“ ერთმანეთს პროტესტობა, ამბობს იგი და მხატვრული შემოქმედებიდან მოყავს მავალთაღობა, კერძოდ, ასახვების ვან-გოგის სურათის „ყავანახ არღობა“. არის თუ არა ეს სურათი მხოლოდ ასახვა, ისევე უშუალო, როგორც „ხელოვნების გარეშე ასახვა“ რა ოქმა უნდა, არა. აი რას წერდა ამ სურათის შესახებ თათონ ვან-გოგმა: „მე ვეცდილობდი გამოუმასახა, რომ ყავანახის ადგილია, სადაც შეიძლება გინების დაკარგვა და დანაშაულის ჩადენა. მე ვეცდილობდი, რომ ჩაწვივარდიხეობით. სპასილისფერისა და შუქი ღვინისფერი წითლის კონტრასტებით, აგრეთვე მწვანე, ყვითელ-მწვანე და მკვეთრი ლურჯ-მწვანე ფერებით გადმომეცა ნაძირალა სამყაროს ატმოსფერო, უფროდენ ვინება და წყვილიადა“.

მასასადამე, რაში ცდებო ბასენგე? „ბასენგეს შეცდომა უნდა ვეძიოთ ტერმინ „ასახვის“ ცალმხრივ და ძალიან ვიწრო გაგებაში; მე ხას ვუსვამ ამ ტერმინის ძალიან ვიწრო განსაზღვრას, რადგან ლირიკაც და „ამბოლუტური“ მუსიკაც ასახვენ“¹⁰. ე. ი. ლ. ლანგის მიხედვით, რომელიც თავისი მისაზრების განსაზღვრებულ იმომეტიკურ პეკლს და ბეზერს, ასახვის თორია ძალიან რჩება ლირიკისათვის, „ამბოლუტური“ მუსიკისათვისა და ხელოვნების დასახვა „ამსახველ“ და „გამომსახველ“ დარგებდა მხოლოდ ადამიანობაზე ხელოვნების არსებას.

ლ. ლანგის აზრით, ყალბა ბასენგეს ის დებულებაც, რომ ფორმის ცვლილებასთან ერთად არ არის აუცილებელი შეიცვალოს შინაარსიც, ეს დებულება უინაზღვრდება ამ საკითხის განაწვევების დღევანდელად არსებულ ყველა ცდასო. კვლავ პეკლს და ბეზერს იმომეტიკურ ატორის: „შინაარსის იღვის სრულყოფა გვემდინება როგორც ფორმის სრულყოფა“ (პეკელი); „კარგ ნაწარმოებში მიღწეულია ფორმა-შინაარსის იმეჯარი დენტურობა, რომ შეუღლებულია ფორმის და შინაარსის განცალკევება ისე, რომ არ დაირღვეს ნაწარმოების მთლიანობა“ (ი. ბეჭერი).

აი არსებითად ის არგუმენტები და მისაზრებანი, რომლებიც ასახვების თვალსაზრისის წინააღმდეგ იქნა წამოყენებული.

ვფიქრობთ, დღესუკნა, რომელიც ბასენგეს წერილით და-

იწყო, თუნდაც ეს წერილი, როგორც ბ. მიულბერგი ამბობს, ესთეტიკურ ფორმზე ჯერ კიდევ არსებულ ხალკოვანებას მკაცრი თანვეულობი იყოს, სასაოველო გამოდგა, რადგან იგი სწორი გზით წარმართა და, რაც მოთავსია, წინა პლანზე იქნა წამოწეული ისეთი საკითხები, რომლებიც მეორეხარისხიანი მნიშვნელობა აქვს ხელოვნების არასი გაგებინათვის, მაგრამ მის მცდარ გადაწყვეტას მაგნე შედეგები მოსდევს. ეს კარგად დაგვანახა ბასენგეს ნაშრომში გაკეთებულმა დასკვნებმა და ამიტომ მართებულად ვთვლით ამ დასკვნების პრისიციულ კრიტიკას, რაც ზემოდასახებულ სტატიათა ავტორებმა აწარმოეს. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, ანაზრებითა სწორნი არიან თავიანთი საერთო პოზიციით, სადაც საკითხებისადმი თავიანთი მარქსისტულ-ლენინური მიდგომით.

ძირითადად ხელოვნების საგნისადმი მხატვრის დამოკიდებულების საკითხს აშუქებს ერკარდ იონის სტატია „ხელოვნების მეთოდი — ხელოვნების ობიექტი და სუბიექტი“ (1961 წ. № 3). იონი ეკანათება მეზუბოტესს, არ ეთანხმება იმასო, რომ ტიპიური — ესთეტიკური ცენტრალური კატეგორიაა, რომ ხელოვნება, განსხვავებით მეციბირეთისაგან, პირველყოფილს, სუბიექტის თვითასახვა (Selbstdarstellung) და თყუად აღებული ობიექტის შემეცნება. იონის მიხედვით, მეზუბოტესის ეს უკანასკნელი ფორმულირება ისე უნდა გავიგოთ, რომ „...მეციბირული ცნებების შინაარსი შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტურ ელემენტებს ყოველგვარი სუბიექტური მომენტების გარეშე, ხოლო ხელოვნება კი, ამის საპირისპიროდ, პირველყოფილსა, შეიცავს სუბიექტურ მომენტებს (შემეცნების თეორია აზრით) და მხოლოდ საბოლოო აგაბრითი ობიექტურ მომენტებსაც, რომ, მამასადამე, ხელოვნებასა და მეციბირებაში სუბიექტურ და ობიექტურ მხარეებს შორის ურთიერთობა მხოლოდ უკუბრუნებითაა მოცეული“¹¹. მაგრამ სუბიექტურ და ობიექტურ მომენტების ასეთი გათიშვის დროს, იონის აზრით, არსებობს შეწყვეტად ყოველგვარი ანახასი, იგი აღარ იქნებოდა ობიექტური სავსების სუბიექტური ანახასი. ასევე სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება აღარ იქნებოდა ის, რაც არის, თუკი მას, პირველყოფილსა, სუბიექტურ განწყობილებათა, გაგებისა და გრძნობების განხატულებად გამოვსახებდებით, მამასადამე, აუცილებელია სხვაგვარი ფორმულირება, რადგან ზემოაღნიშნული სამიშროების თავიდან სასცილებლად იმაზე მიითება, რომ სუბიექტური განცდა საბოლოო ანგარიშით მაინც საგნის შემეცნებას ეკავებოდა, საქმეს ვერ შევლით. ისე კი, იონის მიხედვით, ის ძირითადი აზრია, რომ ხელოვნება საყაროს ისე კი არ გადმოგვეცმე, როგორც ის არსებობს, არამედ ისე, როგორც განიცდის მას ადამიანი, რომ იგი არის თვითასახვა და თვითგომოსახვა, საერთოდ, ადამიანისა და სინამდვილის ესთეტიკური ათვისება სწორედ ამ გადამიანურებელი სინამდვილის აღქმაში მდგომარეობს, არსებითად სწორია და იგი სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შინაარსით ასე შეიძლება გამოთქვათ: „ხელოვნების მთავარი საგანია ადამიანი, ადამიანთა სასოფალობრივი კოლექტივები, და სახელმძღვანელო არ მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ-მატერიული მოვლენები, არამედ, როგორც მოზროვე, გრძნობათა მქონე და ადამიანურად მოქმედი სასოფალობრივი არსებანი, ე. ი. სასოფალობრივი კოლექტივები. ადამიანი და მის მიერვე განაღებქმნილი საყარო ნამდვილად არიან ადამიანის მიერ სინამდვილის ესთეტიკური ათვისების საგანი განსაკუთრებით ხელოვნებაში“¹².

იონისათვის მთავარია, დაასაბათოს ობიექტ-სუბიექტის ცნებები, მათი ურთიერთობა. სულ მოკლე მის შემხედლებებს ასე დავაკლებთ: სუბიექტურ-ობიექტური აღნიშნავს ასახვის პროცესის კონკრეტულ მომენტებს. შემეცნებელი სუბიექტი ამავე დროს შემეცნების ობიექტა სხვა ადამიანთათვის. შემეცნების პროცესისათვის აუცილებელია შემეცნების საგანი და შემეცნებელი ინდივიდი და პირველი წარ-

⁹ იხ. იქვე, გვ. 1124.

¹⁰ იქვე, 1961, № 1 გვ. 104.

¹¹ იქვე, № 3, გვ. 312-313.

¹² იქვე, გვ. 313.

მოუდგენელია მეორის გარეშე. სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობა კონკრეტული ხასიათი აქვს. რედუკირთან და ბუნებრივთან კი ეს კონკრეტული ურთიერთობა ხელოვნების სუბიექტსა და ობიექტს შორის (მხატვრული ასახვის საგანსა და ამსახველ ხელოვნს შორის), ხელოვნების ისტორიულ-კონკრეტული, კლასობრივი ხასიათი, მხატვრის კონკრეტული შესაძლებლობანი პრობლემატურად წყდება ობიექტ-სუბიექტის აბსტრაქტულ მიმართებაში. ხელოვნების ობიექტის კვამს პიროვნა გათვ ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ სენამდვილესა და ბუნებასთან მრავალმხრივ ურთიერთობაშია. ამ პრობლემის დაყვება ა. ბურჯოს დაამსურებმა შეადგენს, მაგრამ მისი ხაკო ისაა, რომ მან ადამიანი ხელოვნების ერთადერთ საგანად გადაქცია. ხელოვნების საგანზე ბუნებრივთან და რედუკირის შეხვედრებში ბურჯოს შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

ხელოვნების სუბიექტი საზოგადოებრივი ადამიანია თავის ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. შემოქმედების პროცესში სუბიექტი მრავალჯერად ავლენს თავის თავს: საგნის არსში შეჭრის უნარს, განვითარებული მგრძობილობით საგნის აღქმის, ემოციონალური შეფასების, სინამდვილის აქტიური გარდაქმნის უნარს. ამიტომ ხელოვნების ნაწარმოები, ძალიან ფართო გაგებით, საზოგადოებრივი ადამიანის სულიერი და სხეულურივე პოტენციის სინთეზურ გასაჯანოებებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ადამიანი, თავის თავს კი არ ასახავს პირველ რიგში. ხელოვნების სუბიექტი თავის თავს ეყვალე უკეთ განსაზღვრების ობიექტურ სინამდვილის ასახვის პროცესში. თუ ადამიანი ხელს აიღებს ამ პირობაზე, მაშინ იგი არ არის ხელოვნების სუბიექტი.

ოთი უარყოფს „თვითსახვის“ ცნებას თავის საგანთან ხელოვნების დამოკიდებულების სახსნადად. მისი აზრით, „თვითსახვის“ ცუხას ვეუც იმით გავანაროლებთ, რომ სასახვის ობიექტი და ამსახველ სუბიექტი შეიძლება ერთი და იგივე იყოს (მაგ., ავტოპორტრეტები, ლირიკული პოეზია). ამის შესახებ იონი წერს: მხატვრის ავტოპორტრეტები ან ლირიკული ნაწარმოები „... სწორედ იმითა და იმდენადანა მიიზიარებოდა, რომ ეს სუბიექტი ერთდროულად გაიკვეთა ინიშების, სახელდობრ საკუთარი-საზოგადოებრივი ნიშნების ატარებოდა. აღიურვის ან რემპანტის ავტოპორტრეტები გვამცვენ არა მარტო ერთადერთი განუყოფრელობა ინდივიდუალის სურათებს, არამედ ისინი წარმოადგენენ აგრეთვე თავიანთი ეპოქის ადამიანურ-საზოგადოებრივი ყოფიერების სახუტს. ვეთვის ლირიკა ასახავს არა მარტო ერთ გაუმყოფელ აზროვნებას და გრძობებს... არამედ იგი ერთდროულად არის აგრეთვე მთელი თაობის, პროგრესული ბურჟუაზიული ინტელექტუალის საერთო აზროვნებისა და გრძობების გამოსახვა მოცულთი ეპოქისათვის“¹⁴. მაშასადამე, მხატვარი პირველ ყოვლისა ასახავს თავის გარეშე მოცულ საზოგადოებრივ სინამდვილეს, ადამიანებს, მათს აზროვნებას, იმეებს, სურვილებს. მათს საზოგადოებრივ იდეალებს და მიზნებს, და ხელოვნებაზე არ შეიძლება ვილაპარაკო რაოთ რაოთვე ადამიანის თვითსახვაზე. ამაში იონი საესებით მართალია. თავისი საგნისადმი ხელოვნების დამოკიდებულების საფუძვლად „ასახვა“ უდევს. „თვითსახვა“ კი ფართოდ უნებს კარს ყოველგვარ სუბიექტივებსა და ამით ხელოვნება რეალური სინამდვილისაგან, ხალხის ცხოვრებისაგან საბოლოოდ მამოცილებისათვისაა განწირული.

ონს კარგად აქვს მივებული საკითხის დიალექტიკური ბუნება. უსვამს რა ხაზს იმას, რომ მხატვრის პიროვნების ინდივიდუალობა და მისი შემოქმედებას თავის გამოხატვას პოულბო ხელოვნების ნაწარმოებში, იქვე წერს: ეს ინდივიდუალობა ეკლინება სწორედ რეალური სინამდვილის მხატვრული ასახვის დროს, და თავის თავს მით უფრო ყოველმხრივ ავლენს, რაც უფრო ორბად და ფართოდ ასახავს მხატვარი საზოგადოებრივ-ბუნებრივ სინამდვილეს. მხატვრის ინდივიდუალობა თავის შემოქმედების პოტენციალს გვიჩვენებს რეალური სინამდვილის ათვისების ხარისხის მი-

ხედვით. ე. ი. ხელოვნებას განვითარების მით უფრო დიდმა შესაძლებლობანი აქვს, რაც უფრო მდიდარი, მრავალმხრივი და ადამიანური მისი ობიექტი (აქედან — გასაკვეთი უნდა იყოს ხელოვნების არანახული აყვავება სოციალიზმის დროს) და მხატვარიც საკუთარ „მეუ“ ფართოდ გადავივლის ამ ობიექტის ასახვის პროცესში, იმისად მიხედვით, თუ როგორ ადვილი უკავია მას საზოგადოებაში, როგორ ურთიერთობაშია ამ უკანასკნელთან, როგორ საზოგადოებრივ იდეალებზე მუშაობდა და რომელ შეხვედრებებს იზიარებს. როგორც ნოვატორი, „ერთი სიტყვით, დიალექტიკურ-მხატვრული სტრუქტურის მეთოდოლოგიური გამოსავალი წერტილია საკითხი ხელოვნების საგნის კონკრეტული მდგომარეობისა და კონკრეტული კლასობრივი ხასიათის შესახებ და მხატვრის პიროვნის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში“¹⁴.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ უჩრადაში გამოქვეყნებული სხვა საინტერესო ნაწარმოებიც, როგორცაა ე. ბრატჩის „მხატვრული ასახვის პრობლემები“ (1960 წ. № 7) და ი. რედუკირის „სუბიექტური ელემენტები, ანუ ბიტირეფლექტი და ხელოვნების პრაქტიკული ხასიათი“ (1961 წ. № 5) და სხვა. ამასთან, სრულყოფილად არ ვფიქრობთ იმას, რომ ესთეტიკის ფრონტზე ყველაფერი რაზეც იყოს, „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ადვილები“¹⁵ რუსულ გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში (1961 წ. № 4) ე. ბატოტკე წერს: „...რაცაა გადახვედათ საერთო მდგომარეობის ესთეტიკაში ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს შიგნით, აქვს არ მოგვეპოვება არაოთარი საფუძვლი იმისათვის, რომ გამყოფობი ვიყოთ მდგომარეობით“¹⁵.

ბარტკე ფართოდ ჩერდება ხელოვნების სპეციფიკის საკითხებზე, რასაც სარეცენზობი წიგნები მნიშვნელოვანი ადვილი უკავია. კერძოდ, იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოსთვის ავტორით ხელოვნების თავიუბურება დახასიათების დროს გამოიღან შემოცნების სპეციფიკური საგნის აღიარებისა. იგი პრინციპულ მნიშვნელობას ახივებს ამ სფეროში შემდგომი კვლევისათვის. ავტორი აკრიტიკებს რედუკირს, რომელსაც თავის ნაწარმოებში „ფორმის რაობის შესახებ“ შედგენ ფორმალურიები სურს ხელოვნების სპეციფიკის განსაზღვრა მოცულეს: „ხელოვნება არის პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმა, სინამდვილის პრაქტიკული ათვისება...“¹⁶ ამაზე ე. ბარტკე მიუთითებს: თუ ხელოვნება პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმაა, მაშინ ხელოვნებისათვის შემეცნებას არსებით მნიშვნელობა ალარ ქვითია. ხელოვნება პრაქტიკის ერთ-ერთი ფორმაა, — ეს მაშინ იქნებოდა გასაკვეთი, იდეოლოგიური მიზანარსი ხელოვნებისათვის რომ უცხო იყოს.

ლაპარაკობს რა წიგნში განხილული მთავარი საკითხების დიდ მნიშვნელობაზე, იმ დიდ როლზე, რომელსაც ეს სახელმწიფოებრივ შესარულებს ხალხის ფართო მასების ესთეტიკურ აღზრდაში, ესთეტიკის პრობლემების შემდგომი ნაყოფიერ კვლევაში, ბარტკე ამასთან შენიშნავს: „ჩვენ განვითარების იმით ფაზას მივლწვით, როცა საბჭოთა ესთეტიკის მიღწევა უნდა გაეაზიადროთ კულტურული განადამების ძელკულურ საკითხებზე ჩვენი საკუთარი შემოქმედებითი მუშაობით. საბჭოთა ესთეტიკის არაუშედეგებითი, დღმატურ და ნაწილობრივ ეულგარული „შეფასების“ საშიშროება უკვე აღარ შეიძლება მხედველობიდან გამოვყოთ“¹⁷.

სასამომოხა აღვნიშნოთ, რომ წინააღმდეგ დღმატისმისა, შემოქმედებითმა აზრმა ფართოდ მოიცვა ესთეტიკურ დარავი, როგორც ჩვენი, ისე სოციალიზმის მანაკის სხვა ქვეყნებში, კერძოდ კი, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმედია, გერმანიის ესთეტიკისებში, შეიარაღებულნი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, კვლავაც განავითარებ ნაყოფიერ კვლევას, განსაკუთრებით პრობლემატურნი საკითხების დასამუშავებლად, და თავიანთ წვლილს შეიტანენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკური მეცნიერების განვითარებაში.

¹⁴ იქვე, გვ. 326.

¹⁵ იქვე, № 4, გვ. 440.

¹⁶ იხ. იქვე, გვ. 448.

¹⁷ იქვე, გვ. 441.

დიდ მოღვაწეთა და გმირთა უკვდავსაყოფად

ალექსანდრე კვალაშვილი

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშლილმა, მანამდე არ-
ნახულმა მშენებლობამ ააღორძინა და ააყვავა ჩვენი რესპუბ-
ლიკა. განსაკუთრებით დიდი უკრადღება მიეცა თბილისის
კეთილმოწყობით და გალამაზებით. თავის იტაცებდა და გულს
ხიზლავს თბილისის გაფართოებული და ახლად გაკეთებული
ქუჩები და მოედნები ხეივანები, ბაღებით და არქიტექტურუ-
ლი შინებებით. ჩვენს დედაქალაქს მეტ ლაშათს და შინაარსს
მისცემდა ხელოვნების უფრო მეტი ძეგლების აღმართვა საგან-
გებობ შერჩეულ ადგილებში. ჩვენი მოქალაქეობრივი მოვალე-
ობაა — მოედნებზე, ბაღებში, გზაჯვარედინებზე ძეგლები
აუვგოთ გამოჩინული სახელმწიფო მოღვაწეებს, სამშობლოსათ-
ვის თავდადებულ გმირებს, სამელოფან მწერლებს და მეცნი-
ერთ, როცა ამის შესაძლებლობა გვექნება. ამასთან, ასეთი ძეგ-
ლებით უნდა დამშვენდეს არა მარტო ჩვენი დედაქალაქი, არა-
მედ საქართველოს ის ადგილებიც, რომლებთანაც დაკავშირე-
ბულია ქართველი ხალხის ისტორიულ პირთა პატრიოტული
გმირობა და თავდადება.

დავით ერისთავის „სამშობლოში“ შეთქმულთა მეთაური
ს. ლიონიძე საქართველოსათვის თავდადებულ გოგია დიაკვის
ცხედარს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „ერთმა წამმა გაგზა-
და თითოთი საჩვენებელ გმირად... ჩვენი შვილთა დალოცონ
შენი არსება და განათავისუფლებულმა საქართველომ მადლო-
ბით მოისხიანოს სპარალო დიაკვის სახელი“.

ამ სიტყვებმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს ცხირეთის;
ბრძოლის გმირი თეოდორე მღვდელი, რომელმაც მტრის ლაშ-
ურანს ტყეში შეიჭყუა და გზა აურიდა, ამით ისარგებლა კარ-
სამ მეფემ და ჯართი ცხირეთის ციხეში გამაგრდა. მოტყუე-
ბულმა პირსისხლიანმა მტერმა კი სასტიკი შური იძია —
სხლით აუკუთ თედორე, რომელიც იმდროინდელი წესის თანახ-
მად ეკლესიამ წმიდანად შერიცხა, როგორც სამშობლოსათ-
ვის წამებული.

მართლაც, იმ სისხლით, რაც ქართველმა ერმა მრავალი
საკუეის მანძილზე დაღვარა სამშობლოს თავისუფლებისა და
დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მთელი მდინარე წარ-
მოიშობოდა.

გავიხსენოთ თუნდაც 300 არაველი, რომლებიც საშინელ
განსაცდელში ჩაჯარდნით დედაქალაქს მოეშველნენ, მეფე
ერეკლეს და ურთიერთის წინაშე სრული გამარჯვების ან სიკვ-
დილის ფიცი დასდეს და კიდევაც ერთიანად გაწყდნენ უთა-
ნასწორო ბრძოლაში, რაც შემდეგი სიტყვებით აღიქმდა ვაჟ-
ფშაველამ:

„სამშობლო მიწის მცველებმა
ისევ სიკვდილი ირჩიეს,
ვიდრე-ღა ფიცის დადრევა“...

თბილისის დაარსების 1500 წლისთავის აღსანიშნავად,
მთავრობის დადგენილებით, დუშეთის მხრიდან ჩამოსულს 300
ქართველს მაღალი სიეტის სახით ძეგლი დაუდგეს. მათ უკვ-
დავსაყოფად დადგმულ ამ ობელისკზე გაკეთებულია შინა-
არსიანი წარწერა — პოეტ რაბელ ასათიანის ლექსი.

მაგრამ გამართლებული იქნება, თუ ამ ობელისკს მეორე
მხარეზე გაკეთდება წარწერა აკაკი წერეთლის „ათორნივე

ერისთავიდან“. როგორც ცნობილია, ამ პოემაში მოცემულია
მტრის უამარვ ვერაგ ლაშქართან ერთი მუტა ქართველებს
სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის სურათი:

„ცამ რისხვით მოგვიქუება,
საქართველოს ადა ბუნდი,
მონაურულად გვეციოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.
მოგავწვენ და მოგავჯირითდენ
ერთიანად ჩასათქმულად...
რას რომ მამინ ქირი ნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმულად.
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა

მოხუცი, თუ ახალგაზრდა,
ერისკაცი, თუ სამღვდელი,
ცველა ერთმხრივ მიწვიდა,
ერთი ჰქონდა ყველას ლელო!
საღდა იყო განსთავება?
რის ბატონი? ან ვისი ყმა?
ყვილა ერთად შეგავმარდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
რომ გულწრფელად მოესადათ
ქართლის შვილებს მათი გალო
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომაგალი“!

აკაკი წერეთლის პოემის ეს სტრიქონებიც უნდა აღიბეჭ-
დოს იმ სვეტზე, რომელიც თავგანწირულ 300 არაველის უკ-
ვდავსაყოფად აღიმართა.

მიუვიგნით სამშობლოსათვის თავგანწირული, მედგარი
და გაუტყეული დიმიტრი ყვიფანია, რომელმაც სამშობლოდან
განდევნილი „წმინდა მამებმა“ ფეთიანი გრიტი თავი გაუხუთ-
ქეს. ქართველმა ერმა ტანჯვით და წამებით მოკლული დი-
მიტრი თბილისში გადმოასვენა. დღევანდელი რუსთაველის
განაშრით მიმაგალ სამელოფორან პრესციასა, მეფის ნაცვლის
განკარგულებით, წინ ხიშტიანი ჯარისკაცები გადადგომენ წი-
ნადადებით, რომ მიცვალებული უკან დაებრუნებინათ.

ამ დროს ნიკა დასამიძემ პირველმა ხელი გაიხა ხმალზე
და დაიბასა მომხმეტი, ვისაც გული გერჩიოთ. მას სხებუნდა
ერთად გვერდში ამოუდგა ელექსანდრე ეპისკოპოსი. ამობოქ-
რებულმა ხალხმა გადალახა ჯარისკაცთა და პოლიციელთა მან-
ნაღმდებლობა, დიმიტრი ყვიფიანის წემტი, სასახლის წინ გავ-
ლით, მთაწმიდამდე მისაგება და იქვე დაკარალა.

როგორც ცნობილია, ამ თავდადებულ ქართველს უძღვნა
აკაკი წერეთელმა ღრმა გრძობით აღსავსე ლექსი „გათია-
ლი“:

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შესტურებს ციკარის ვარსკვლავსა;
მათლით სხივებს მაღლით ჰქვენს
თავდადებულის საფლავსა.
დაღუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუღუნსა მტკვრისასა:
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩისა მტრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტების
საშვილოშვილო საპარს,
მამადავისა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს“...

ჩვენი აზრით, დ. ყვიფიანის ძეგლი მთაწმიდაზე უნდა
წიწვროს აკაკი წერეთლის ეს ლექსი.

ყვილა ქართველისათვის ყოველ ჟამს, გასაჭირში, თუ
ლიზნში, მუდამ მოსაგონარი უნდა იყვნენ ჩვენი წინაბრები,

რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში საყვარელ სამშობლოს დაცვას სიცოცხლის სწირავდნენ; საჭიროა მათი სახელის სკვდაფუგო — ძველის დღემო.

ასე, მაგალითად, მარაბდის ომში საქართველოს დაცვისათვის გმირულად დაღუპული ცნრა ძმა ხერხეულიძე, მათაც უნდა დაედგას სვეტი, აკაკი წერეთლის შემდეგი სიტყვებით:

მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა,
იმით, რომ ღლიკაცურად
შეებმოდა ერთი ასა.
„კა მავის“ ხმა ყოველის მხრივ
მოსიმოდ მტრის საზარ, და
იმ გრგვინვას ბანს ააღვიდა
საორკეცოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შვილებმა წითლათ მდილო,
აღდგომის კვერცხს დაემკვასა
ჭირნახული საქართველო!..

დაახლოებით ამ 3 წლის წინათ ბახტრიონის სახელგანთქმულ გმირს ზეზვა გაფრინდაულს სოფ. ქვემო ალვანში დაედგა ძეგლი. გადმოცემით, ზეზვა იყო გმირთა გმირი, რომელმაც, იმ დროის ადითით, ხმალს სამკურ მიწაში დამარხა (ხმალი მიწაში მაშინ იმარხებოდა, როცა მეომარი ბრძოლაში ამ ხმლით ას მოწინააღმდეგეს დაამარცხებდა).

საჭიროა ზეზვას ძეგლი ავაგებდნენ წარწერით, რომელიც ასახავს საქართველოს იმდროინდელ ვითარებას და ზეზვას დაუმრეტელ გმირობას. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონიდან“ უნდა იქნეს გამოყენებული პატარა ნაწვევები პოემისა:

„ლაშქრობამ ჩამამაბერა,
ძალ-უმაღურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუქს მამსხლიტად დიდამა.
ჯერ შენთან, მშაო ლუქოშო,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?..
წელში ორჯულ თუ დავებმის
ჩემი საფეხზე გომშია.
„გასწვევტა ჩვენმა ლაშქარმა
მტერი, უღმერთოდ დალია.
მიკვივის თათრებს ზეზვაი,
შეუპოვარი, მალია...
აიგო თათრის ძელიებითა
იმ ბახტრიონის არა.
ცინე-გალავნად ეგება,
ისე გამრავლდა მკვდარია.
ეს ის დრო იყო, როდესაც
მთასა ქლოცავდა ბარია,
რის სალოცავად მიარნდათ
მთილი ხალხის ვეარია...“

ზეზვა გაფრინდაულთან ერთად ორიოდე სიტყვით მინდა მოვიხსენიო შეთე გულუსაძე, რომელმაც ზეზვასამებრ სამკურ ხმალი მიწაში დამარხა ე. ი. კარზე მომხდარი 300 მტერი და-ასამარა.

და ბოლოს გულახდილად უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთაველის ძეგლი მიტად მკრთალად და უმინარსოდ გამოიყურება. „ვეფხისტყაოსანი“ ლომ მდიდარი ბრძნული კრებულისა აზრები-

სა, რაც განათლებულმა კაცობრიობამ მიიღო. თვით „ვეფხისტყაოსანი“ ავტორმა ამოღენა პოემაში ნულუ პირადად თავისათვის არაფერი დაწერა, რაც მის ძეგლს აამტყვევებდა? შარშან შემოდგომაზე საქართველოს მთავრობამ იერუსალიმში მიაგლინა მცენიერთა ექსპედიცია, რომელსაც დავაღა ცნობების შეკრება რუსთაველზე.

თუ რუსთაველის საფლავს ჩვენი მცენიერები ეძებენ იერუსალიმში და არა საქართველოში, — ეს იმას ადასტურებს. რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორმა თავისი ბედი და სიცოცხლის დასასრული წინასწარ განჭვრიტა, როდესაც დაწერა:

„ვა, ვეფელი, რამივან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა წენ გჭირს!
ყოფილი შენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ ტირის:
სად წაიყვან სადაურსა,
სად აღუფხერი, სადით ძირსა!
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა შენგან განაწირსა.“

ასევე ჩვენი პატრიოტული მოვალეობა დავიცავთ და გავუფრთხილდეთ საქართველოს დიდებულ ბუნებას, კერძოდ, დღემდე შემონახულ ბუნების ძეგლებს. ამასთან დაკავშირებით მინდა გავისხენო ასლასან მომხდარი ერთი სამწუხარო ამბავი. შარშან ზაფხულში გელდანის ზევით სოფ. ევეჩინის ტურისტული ბანაკიდან ჩამოსულმა მოწაფემ მიაბმო, რომ ერთმა მოქალაქემ განმარტობით მდგარ დიდ მუხას ერთი მხარე ცულოთ მიაჩნება.

ეს ბოროტება დაუყოვნებლივ შევატყობინეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ტყის მეურნეობის ნაყრძალებს და სამონადირო მეურნეობის სამმართველოს და ვთხოვეთ მივლით ზომები იმ ტრიალ მინდორში ერთადერთი შემორჩენილი ბუმბერაზი ღის გადასარჩენად.

სამმართველო დაგვიპირდა სასწრაფო ზომების მიღებას, მაგრამ დაპირება არ შეასრულა და ათასწლოვანი ისტორიული მუხა, რომლის ჩრდილში თავს იყრიდა ბანაკი, მიუხედავად პიონერთა წინააღმდეგობისა, მაინც მოიჭრა.

როგორც ვხედავთ, ზოგერთი პირის შერეგებლობა იქამდეღეს მივიდა, რომ ასწლოვანი მუხასაც არ ზოგავენ, ანადგურებენ, აღარ სურთ ერთი რკოე ჩამოვარდეს მიწაზე, რომ კვლავ ასალო მცენარე აღმოცენდეს მომავალი თაობისათვის.

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა მოწაფეობის დროს ნასწაფი ხალხური ლექსის ერთი (ამ შემთხვევისათვის) საგულისხმო ადგილი:

„... ვერ უყურებთ მოხუც მუხას, მიმიმედ თავი ჩაულწუნავს
და ფოთლების ნელა რხევას ყურს უგდებს და უკვირდება,
საქართველოს ძველ მოთხრობებს თითქოს მათ ეჩორჩულება
აბა ჩვენი მუხა, გვიბთარ, როგორ ჩვენმა წინაპარმა
საქართველოს სანაცვლოთა სისხლი სისხლზე დაადულა.
ამრიგად ამ ლექსიდან ნათლად ჩანს, რომ მუხას ჩვენი წინაპარი მემბატინებდნენ სოვლიდა — როგორც ქართველი ხალხის ისტორიული გმირული თავგანსაკვალის მომწარეს.“

სასარგებლო საქმე იქნება, თუ საქართველოში დასაცავად აღირიცხება მუხის დიდი ხნის სხემი და მათ გაუკეთდება დაფები შემოსენებული წარწერებით.

ბესარიონ ქართველიშვილი

აი ასეთი მახსოვს: ჭარბაგი, მუდამ ენერჯული, სახე უღმისი, ნაბიჯი მძიმე დაუღალავი. ლაპარაკში კახური იერი, სიტყვაბარაქიანი და მასთან ლაკონური. ასე მიდგას თვალწინ ილიანა და აკაისა, ვასოსა და მაკოს თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის ცოცხალი ფურცელი — ილია ელევთერის ძე ზურაბიშვილი.

ილია ზურაბიშვილს 1947 წელს საქართველოს რადიოკომიტეტში მუშაობის დროს გავიცანი, თუმცა როგორც მწერალს, მანამდის მისი ნაწარმოებებით ვიცნობდი. რადიოკომიტეტში ი. ზურაბიშვილი მხატვრული და მუსიკალური გადაცემების სტილისტად მუშაობდა. ყოველდღე სამი საათისათვის მძიმედ შემოაღებდა კარებს. ასევე დიხუად გამოართმევდა ბიბლიოთეკარს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს თვალს გადააღებდა. შემდეგ კი გადასაცემ მასალებს გაუსვამდა თავის აზრსინს.

ყველა სასიხო მიუღებდა. მახსოვს ერთხელ მისი კამათი მუსიკოსებთან ფორტეპიანოსა და ვიოლინის ემოციურობაზე. ილიას ჰაინცსაგით ფორტეპიანო ბრწყინვალე, მაგრამ უსულო საკრავად მიაჩნდა. ვიოლინის კი საკრავთა შორის ყველაზე ცოცხალმეტყველად და ემოციურად სთვლიდა. შეიძლება მართალიც იყო! თუმცა სპეციალური მუსიკალური განათლება არა ჰქონია, მშენებრად ერკვეოდა მუსიკაში. უფროადა მუსიკა და როგორც ძველ თეატრალს, მუსიკალურ-თეატრალური ცხოვრების არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა არ გამოარჩია. ქართული კავადემიური მუსიკა მის თვალწინ იზადებოდა და იზრდებოდა. იგი მის დაეკაცებასაც მიესწრო.

ილია ზურაბიშვილი არა მარტო ენობრივად აშალაშინებდა კონცერტების საჯურებს, არამედ კონცერტში ნაწარმოებთა წყობას. მის არქიტექტონიკასაც დიდ ყურადღებას აქცევდა.

ვოკალიზაც შესანიშნავად ერკვეოდა. ეს ვასაყვიერ არაა, — მას თბილისშივე ისეთი შესანიშნავი მო-

ღერღები ენახა და მოესმინა, როგორ იცენდ ბატისტინი, ტიტო რუფო, შალიაპინი, სონინოვი, ქართული კლასიკური ვოკალის კორთე ვანო სარაჯიშვილი და სხვანი. პარალელს არასადეს არ ავლებდა, თუ რამე ნაწარმოების შესრულების კულმინაციის აღნიშვნა არა სჭირდებოდა. შემსრულებლისაგან მოითხოვდა გაეკუთ, რასაც მღეროდნ, ჯერ თითონ გერძნო და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსულიყო მსმენელის წინაშე. ერთხელ ერთი ახალგაზრდა მომღერლის შესახებ ფრიად მოსწრებულად თქვა:

— ხმა კარგი აქვს, მუსიკალურიც არის. მხოლოდ არ ესმის, რას მღერის. ეს „სული ბოროტოს“ შეებებდა. მართალიც იყო. ამ არის ასეთი შესრულებით მოსმენა მოსაწყენია. მსმენელს გაუთვლებელი თპო-ჰოს მეტი არაფერი რჩება.

მეტადრე ვერ იტანდა ქართული ხალხური სიმღერების შესრულებაში ცდარებების შეტანას. არც ამაში გადავინა. ძალიან ბევრი მომღერალი ან გუნდის ხელმძღვანელი, თითქოსდა მსმენელის გულის მოსაკებადა, ხშირად უკავიდურესობაში ვარდებდა, და შესანიშნავი ხალხური მელოდია რაღაც ფერ-შმარილ წაბინილი გამოაქვს. ასეთ რამეზე ილია ფეთქებოდა.

— კაცო! ეს როგორ შეიძლება! ვინ მისცათ უფლება ასე უმოწყალოდ რომ ეპყვიან საუკუნების მანძილზე ხალხის გულით მოტანილ, ბროლივით სუფთა საუნჯეს! ასეთი უფლება მხოლოდ ვანოსა ჰქონდა, რადგან თავად დიდი შემოქმედი იყო, უადრესად დიდი ტაქტისა და ზომიერების გრძნობის პატრონი. ვანო თუ სიმღერას თავისებურად, სარაჯიშვილისებურად ასრულებდა, ამას მსმენელისათვის კი არ აკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ მასში ასე გადატყვებოდა ხოლმე ეს მელოდია. ვანოს ასე ემღერებოდა. და ამიტომ იყო სიმღერის იერის შევლება გამართლებული. ბევრი მომღერალი ზაპავდა ვანოს, მაგრამ ვანო ბევრების განუმეორებელი მესაიღუმეღ იყო

ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ერთ-

ერთი ოლიმპიადის დროს რომელიღაც რაიონის თვითმომქმედმა გუნდმა „პრომედეა“ გუნდისა და ფანდურის თანამღებობით შესარულა. ილია უმაღლეს გემხებარა:

— კაცო, რატომ არ ეტყვი, ოროცეა გუთნის სიმღერა. განა ხენის დროს, ამ მძიმე უღლის წვეის დროს შეიძლება გუთნის დღდას ან მებრეს ხელში ფანდური ეჭიროს და ისე ხმა-შეწყობილი მღეროდეს? ის ოროვეცეა, ხალხური ოროველა!

მართალი იყო ილია ზურაბიშვილი. განა ეს ის ოროველა იყო, რომელშიაც „შრომის ოფიი მიწას აწვიმდა“. ეს გახლდათ საკონცერტ ოროველა, ჩოხაში, ქამარ-ხანჯალმორტყველი, მაგრამ რატომღაც, თუშური ქუდის ნაცვლად, თანამედროვე ქუდი ეხურა.

ელოლიავებოდა და თვალსინინი ეფერიდა ქართულ კლასიკურ მუსიკალურ კულტურას. „აბესალომ და თეირი“ ხომ თავს ერჩია!

ეს არაწვეულებრივი ოპერაა, იგი განუმეორებელია და მსოფლიო საბერო კულტურაში სხვა ზუმებარა ოპერების გვერდით დგას. და ვი იმას, ვინც ამ ოპერას თუნდაც ოდნავ უხეშად შეეხებოდა. შავი დღე დაუყენა ერთ მუსიკისმოდნე ქალს, რომელმაც სცადა ამ ოპერის შესახებ ნიპლისტური სტატია დაეწერა. ილია მხეხივით დაატყდა მის მართლაც უსუსურ და უმეცარ ნაწერს და როგორც იტყვიან, მტვერი აადაინა. საუკიროც იყო. ის სტატია მსმენელს არაფერს მისცემდა, მცდარ წარმოდგენას კი უღავოდ შეუქმნიდა.

ილია ზურაბიშვილს ყოველი ახალი სიტყვა ახარებდა და ახალისებდა. უნდა გენახათ მისი აღტაცება ალ. ბუკიას საბავშვო ოპერის „დაუბატეხელები სტუმრების“ პრემიერის შემდეგი იგი, დიდი ბავშვივით აღტაცებული, ვერ მალავდა თავის სიხარულს. მთელი არსებით ულოცავდა ავტორს გამარჯვებას.

ხშირად ჩაფიქრდებოდა ხოლმე. და უკვე ვიციოდი, ამ დროს იგი თავის მოგონებებს ფურცლავდა, რომლებიც მის მხსენებებაში წინანდებურად გაუხეხუნებლები იყვნენ. აი მაშინ იყო მისი მოსმენა საინტერესო! თქვენ თვალწინ ჩაივლიდა იმ შესანიშნავ ქართველთა პლეადა, რომლებთანაც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

გადაშლიდა მოგონებათა წიგნს და მოიგონებდა აკაკის, რომელსაც თავის უფროს მეგობრად სთვლიდა. მეტადრე აკაკის „თამარ ცბიერი“ უყვარდა. ზებირად იცოდა, მაგრამ მაინც კითხულობდა. მოიგონებდა ქართული თეატრის ჯადოქარს, სიცილის მესაიდუმლეს — ვასო აბაშიძეს, ზეგარდმო ნიჭით მოსილ ქართველ ქალ მსახიობებს მაკო საფაროვასა და ნატო გაბუნისა, შესანიშნავ ლადო

მესხიშვილს, სარაჯიშვილს. ამაზე ხომ ლაპარაკი არ მოსწყინდებოდა, ვანო რაღაც სხვა იყო — რამდენი რამ იყო ამ ერთ მოკლე ფრაზაში. ვისაც მოუსმენია, ყველასგან ასეთი ფრაზა გამოიწონია. შესანიშნავი იყო ილიასა და იოსებ გრიშაშვილის საუბარი ვანოს შესახებ. ვგრძნობდი... ეტყობა, მართლაც, „ვანო სხვა იყო“. ამას სობინოვიც მოწმობს. კიდევ რამდენი შეიძლება ადამიან-

მა მოიგონოს და აღადგინოს ამ მეტად საინტერესო ადამიანის შესახებ, რომელიც ქართული კულტურის განვითარებას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ამ სტრიქონების დაწერა მისდამი უღერესმა პატივისცემამ გამაზღვრინა. ეს შეიძლება ერთი დღეა ილიას ცხოვრებაში, ერთი დღე იმ მესხიერების წიგნში, რომელიც თვით ილიას ჩემს წინაშე ხშირად გადაუფურცლავს.

ა. დილიბარანა

სიმღერა თბილისზე



სოფელ საირხეში აღმოჩენილი სვეტისთავის შესახებ

არქ. გიორგი ლეჟავა

ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა, არქეოლოგმა ნ. დამაზიძემ 1957 წელს არქეოლოგიური დაზვერვითი მუშაობის ჩატარების დროს, საჩხერის რაიონის სოფ. საირხეში აღმოაჩინა ორი დიდი სვეტისთავი — დიდი და პატარა, რომელსაც ჩამოჭრილი აქვს ერთი მესამედი, დიდი სვეტისთავიც დაზიანებულია, მასაც ჩამოშტერებული აქვს თითქმის ერთი მესამედი, აბაკის ზედაპირი დაზიანებულია და უსწორმასწორო.

მასალა, რისგანაც გამოჭრილია ორივე სვეტისთავი, თეთრი მარმარილოს მსგავსი კირქვაა.


ქვის ჯიშის საკმაოდ მკვრივია, ადვილად მუშავდება, მეტად ლამაზი ფაქტურა აქვს. ამ ქვის საბადოები ბლომად არის ყვერლისა და ძირულის ხეობებში. ორივე სვეტისთავი ქვის დამუშავების საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

ჩვეულებრივი დიდი სვეტისთავისაგან განსხვავებით, საირხეს სვეტისთავს აქვს მოჩუქურთმებული ექვინი (ნახ. 1, 2). ის ადვილი ექვინის ყელისა, სადაც ჩვეულებრივ „დღეღებში“ შემორტყმება, მოჩუქურთმებულია. აბაკის და ექვინს შორის ჩატრილია სამი ენერგიული ღარი.


ექვინის ჩუქურთმა „პაპირუსისებურია“, როგორც ეს გამოსახულია ეგვიპტური პაპირუსისებური სვეტის ბაზაზე და სვეტისთავზე. ჩუქურთმის დამუშავების ტექნიკა ექვინზე სკულპტურული — სუსტი რელიეფურია, ჩუქურთმის „ხაზები“ მკვეთრი, წანაგებიანი და გამშლილი პაპირუსის ფურცლები თანმიმდევრული პლანებით არის დალაგებული ექვინის რთულ ორმაგრულად ზედაპირზე.

პაპირუსის გაფურჩქვნის განლაგების პრინციპი ერთნაირია ეგვიპტურსა და საირხეს სვეტისთავზე, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იქ, სადაც ჩვეულებრივ პაპირუსის ფურცლები წაწვეტილი უნდა იყოს, ამოყვლილია ელინური ტრადიციების მიხედვით. სვეტისთავის ყელი (სადაც სვეტისთავი მთავრდება) სამ მილიმეტრიან ზოლს წარმოადგენს. ამ ვიწრო ზოლით ეგრდობა კაპიტელი სვეტს. ამავე ზოლიდან, ზევით, იწყება პალმეტების ღარები მეთოხედი წრის პროფილით (ნახ. 2). ქვის ბლოკი, რისგანაც სვეტისთავი იყო გამოკვეთილი, როგორც ჩანს, უხადო არ იყო, რის გამოც ოთხ ადგილას ექვინის არეში აქვს ამომტვრეული და ჩაკირული ქვები, ზომით 50×50 მ. მ. დიდი სვეტის პატარები. ნაწილი ჩაკირული ქვებისა გამოფიტულია, ნაწილი კი მჭიდროდ არის შერჩენილი. ექვინზე და ყელზე ჩუქურთმები შედარებით მკვირად გამოიყურება, თუქვა დროის გამო წიბოები რამდენადაც წაიცივია. საერთოდ, ნატყბი კარგად არის შენახული. ამის მიუხედავად უნდა იყოს, რომ, ალბათ, თავისი არსებობის უმეტესი ნაწილი ნატყბმა მიწაში გაატარა.

მეორე პატარა სვეტისთავი თითქმის ასლია დიდი სვეტისთავისა. როგორც ყველი იყო აღნიშნული, ერთი მესამედით წაჭრილი მცირე სვეტისთავი პილასტრისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ექვინის ორნამენტი იგივე პაპირუსისებურია, ანალოგიურად განლაგებული. ორნამენტი ყელზე წაყვე-



დიდი სვეტის ორდერი (ნახაზი 1)



საირხის სვეტისთავი (ნახაზი 2)

თილია და ძნელად გასარჩევი. მისი ზომები დიდი სვეტისთავის ზომების ნახევარს უახლოვდება. ორნამენტისებური ექვინი (რაც საერთოდ არ ახასიათებს დიდი სვეტის სვეტისთავს) საირხეს სვეტისთავს მცირეაზოვს, ადგილობრივ ქულფურს ანიჭებს.

ბევრი დამახასიათებელი თვისება აკავშირებს საირხეს სვეტისთავს არქაულ დორიასთან, რომელთა ჩამოვლაც აქედნის წაგვიყვანდა, მაგრამ რამდენიმე დამახასიათებელი უნდა აღინიშნოს: ექვინის მიმე, განვითარებული გვერდები შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ბურძნული გვიანი არქაიკის დამახასიათებელი. ადრე და გვიანდელ დორიკაში სვეტისთავის დაყრდნობა სვეტზე ხდებოდა განვითარებული ორნამენტული ელემენტით, და არა მარტვი ზოლიანი სარტყლით. როგორც ეს ხდება გვიან კლასიკურ ეპოქაში (პართენონი, კაპიტების ტაძარი, ნახაზი 4).

არქაული დორიკის განვითარებული, ორნამენტული ყელით

სიღრმე	30 მძარი	13 ა.	15 ა.	9 ა.	7.	7.
სიმაღლე	25 ა.	24 ა.	21 ა.	14 ა.	9.	5,50
სიგრძე	113 ა.	53 ა.	54 ა.	30 ა.	18.	9.
ფასის სახელი	ფასის სახელი ახალი (სილინო) ბაიონის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი 3525 (მ.პ.პ.პ.პ.) საქონლის სახელი 356-248 (მ.პ.პ.პ.)	პასუხი „საზილია“ v.l. (სახ.საზილია)	პოლინის პორცილი v.l. (სახ.საპ.პ.პ.პ.)	სახლი სასულიერო 5608 (მ.პ.პ.პ.პ.)	საქონლის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი	საქონლის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი საქონლის სახელი
ფაისი						
ფაისი	1	2	3	4	5	6
ფაისი						

ძველების პროპორციული შედარებითი ტაბულა (ნახაზი 3).

დამუშავების კარგი მაგალითებია ტაძარი „G“ სელინტში, ტაძარი „ბაზილიკა“ პესტუმში და სხვ. უფრო უკეთესი შედარებისთვის აქ მოყვანილია ნახაზი, სადაც ერთ მასშტაბშია საირხისა და „ბაზილიკის“ სვეტისთავების ფასადები და გვერდები, ზუსტი ზომებით მიომეტრებში (ნახაზი 2). ამ ორ სვეტისთავს შორის არის აშკარა მსგავსება, ე. ი. სვეტისთავის ყველა ნაწილი — ორნამენტირებული ყელი, ექიზი, აბაკი მთელ მის სიგრძე-სიგანებას და სიმძლავრე ელინური არქიტექტურის კანონზომიერებას შეეფერება, განსხვავება არის წვრილობაში, რაც არ არღვევს საერთო კანონს. განსხვავებები შემდეგია: ბაზილიკის სვეტისთავის ყელის პალმისებური ორნამენტი ჩაღრმავებულია, საირხის სვეტისთავში კი ყელის პალმისებური ორნამენტი, პირიქით, ამორფავებულია, შებრუნებით. არქაიზის დამახასიათებელია, აგრეთვე, საერთოდ ექიზის რთული და მძიმე პრიფილი. „ბაზილიკის“ ექიზის პროფილი უფრო დაბატულია და მკვეთრად შეყენებული აბაკის მიმართ. საირხის ექიზის პროფილი დონდლოდ გამოიყურება, გვერდები გამოზოგბულია და უფრო აბაკაზე დაკიდებულია შობებულობის სტოვებს, ვიდრე დამჭერისას. სხვა მხრივ, როგორც წვეთი აღვნიშნეთ, სვეტისთავები ერთმანეთის მონათავება. მაშასადამე, ორივე სვეტისთავის რელიეფურმა გაუმჯობესდა, მსგავსი ფორმების შედარებითა ანალოზმა დაგვარწმუნა, რომ სვეტისთავები დროული ორდრის შენობის ფრაგმენტებია და ერთ და იმავე არქაულ ეპოქას ეკუთვნიან.

ამ საკითხის ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას იძლევა დაგვიდინოთ უფრო ზუსტად ის, რომ ეს სვეტისთავები ეკუთვნოდა საკულტო შენობას — ტაძარს, მიძღვნილ რომელიმე ადგილობრივი ღმერთისადმი. ჩვენ იმის საშუალებაც გვაქვს, რომ საერთო ხაზებში წარმოვიდგინოთ ამ შენობის არქიტექტურა.


დიდი გეოგრაფის სტრაბონის დამოწმებით, იბერია „მეტწილად კარგად არის დასასტუმრო ქალაქებით და დაბეთით ისე, რომ იქ არის კანონიერი სახარებაები, სახლები არქიტექტურის წესების და ხელოვნების მიხედვით მოწყობილი, საცხოვრებელი, ბაზრები და სხვა საზოგადო შენობები“. ამ ცნობებიდან ჩვენთვის ის არის არსებითი, რომ პირველ საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს დაბებსა და ქალაქებსში არსებობდა ორდერული არქიტექტურა, ლათინური სიტყვა „ordo“ — წესრიგს, მოწესრიგებულს ნიშნავს. ოროდერული სისტემა არის განსაზღვრული არქიტექტურულ-კონსტრუქციული სისტემა გამოშვებული ეფიკაბებით, საბერძნეთში, სადაც ვერტიკალურად მდგარი შენობის ნაწილები — სვეტების სახით, არის როგორც საყრდენები. პორიზონტალური — ანტაბლემენტი კი დაყრდნობილი-დალაგებულია სვეტებზე (ნახაზი 1). სტრაბონი როდესაც წერს „არქიტექტურის წესების მიხედვით მოწყობილი“, ჩვენი აზრით, მას მხედველობაში აქვს ორდერული სისტემა იმ გაგებით, როგორც ეს თანამედროვე ბერძნებს ისობდა. შეიძლება ვიფარადლოთ, რომ ორდერული არქიტექტურა არა ნაკლებ იქნებოდა განვითარებული დასავლეთ საქართველოშიც, სადაც ელინური ექსპანსია დაიწყო უძველესი დროიდან. შეიქმნა ელინურ ეპოსში ისეთი შესანიშნავი პოემები — თქმულებები კოლხეთისა და კავკასიის შესახებ, როგორც არის „არგონავტიკა“ და „კავკასიის მთაზე მიჯაჭვული კოლომეთისა“. მეექვსე, მეშუთე და უფრო ბერძნულ საუკუნეებში პრომეტეოს-ეგვისიში დაარსდა ძირძველი კოლონიები-ქალაქები შავი ზღვის სანაპიროზე — ფასილი, დიოსკურია, პიტუნტი და სხვ...

საქართველოში ბერძნული მოსწრაფოდნის ვაჭრობისათვის, მაგრამ, ალბათ, იმავე დროს, ნერვაგდენე ელინურ მატერიალურ კულტურასაც. საცხოვრებელი სახლების, საზოგადო შენობების გარდა, „არქიტექტურის კანონების და ხელოვნების“ მიხედვით კოლხები სხვადასხვა ზომის საკულტო შენობებსაც აშენებდნენ.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთ ასეთ საკულტო შენობას, დორიულ სტელონი აგებულ ტაძარს, ეკუთვნოდა სვეტისთავი სოფ. საირხელან. შეიძლება თუ არა ერთი ფრაგმენტიდან აღვადგინოთ შენობის არქიტექტურა? ფრაგმენტზე არის და ფრაგმენტზე.

არქეოლოგ დამამაძის სტერეობატის ქვა რომ იწახა, ცხადაა, ეს ადგენისათვის არ გამოადგებოდა, მაგრამ ჩვენს ხელთ არის სრულყოფილი არქიტექტურის ფრაგმენტი — სვეტისთავი და ამით შესაძლებელია შენობის კანონზომიერი პროპორციების აღდგენა მოდულური სისტემის საშუალებით, რასაც ელინები იყენებდნენ მშენებლობაში საუკეთესო არქიტექტურის შესაქმნელად. მოდულური სისტემას იყენებდნენ ეგვიპტეში, ასურეთში, ჩინეთში... რა არის მოდულური სისტემა? არქიტექტურის ისტორიის სახელმძღვანელოს განმარტებით, „მოდულური სისტემა ელინურ არქიტექტურაში — ეს არის შენობის რომელიმე ნაწილის ზომა, მაგალითად სვეტის დაამეტრი — ერთ შემთხვევაში და ტრიგლიფის სიგანე — მეორეში, რომელთაც შენობის დანარჩენი ნაწილები და მისი

ზომები დაკავშირებულია მარტივი ჯერადი ან სხვანაირი დამოკიდებულებით“. მოდული საჭირო იყო წინდაწინ შენობის ნაწილების ზომების განსაზღვრისათვის, რათა ეს ნაწილები მარტივად, სტანდარტულად დამსაბულებელიყ ქვის საბადოებში, რაც შეიძლება ადგილი ყოფილიყო შენობის აწყობა მზა სამშენებლო ნაწილებით, როგორც იყო სტერეობატის ქვები, სვეტები, სვეტისთავები, არქიტრავი, ტრიგლიფები და ა. შ. რასაკვირველია, ასეთი სისტემის შექმნა შეუძლებელი იყო რიცხვების კანონზომიერების და პროპორციულობის გამოყენების გარეშე. ეს იყო ეპოქა ეგვიპტის, პითაგორის, სოკრატეს... თუ აქ სილამაზის პრობლემასაც მივიღებთ მხედველობაში, ელინებმა შექმნეს არქიტექტურაში ისეთი სრულყოფილი სისტემა, რითაც დაუახლოვეს ადამიანის გონების პრობლექტი — ხელოვნება-ტექნიკა, ბუნებას. მათი რაციონალური ჭკუა-გონება შეხამებული იყო უაღრესად დიდ მხატვრულ ალღოსთან. ამგვარად, არქეოლოგიურ მყენებებს აქვს საშუალება ერთი ფრაგმენტით მთელი ძეგლის აღდგენისა. ამ წერილში ძნელი ჩამოვთვალოთ ყველა ის ხერხები, რითაც სარგებლობს არქიტექტორი-მკვლევარი ასეთი ხასიათის ძეგლის აღდგენის შემთხვევაში, მაგრამ საჭიროა რამდენიმე ძირითადი მათგანის გაცნობა.

	ღილი (სახარა ძველი) „თონა-პარონი“ 650.
	ჰოსიორისა (სამხრეთი ისპანია) „ტაშილიკა“ 565.
	ათენი პარიონი. 438
	საოფრანსუხაში. ქასიკუსის ტაძარი 290-260

სვეტისთავების განვითარება არქაულდან ელინურ-რუსიკურ და ელინისტურ ეპოქამდე (ნახატი 4.)

ჩვენს შემთხვევაში ერთ-ერთ საინტერესო ხერხს წარმოადგენს გარკვეული ეპოქის (ამ შემთხვევაში არქაული) სვეტისთავების შედარება და კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციაში საინტერესო სვეტისთავს მესუთე ადგილი უჭირავს. არის იმაზე უფრო პატარა სვეტისთავი ეფემიდას ტაძრთან (ნახ. 3.). ამ უკანასკნელზე უფრო მცირე სვეტისთავებიც არსებობს.

ახლა შევადაროთ საირხის სვეტისთავი პირველი ჯგუფის ტაძრების სვეტისთავს, რომელსაც 4 მეტრის სიდიდის აბაკი აქვს (ნახაზი 3.). მარცხენა მხარეზე დახაზულია იმ ძეგლების გეგმები და ფასადები, რომლის გასწვრივ მარცხენით გამოისახულია მათი სვეტისთავები. აქ აშკარად ჩანს შენობების ნაწილების ზომების ურთიერთშორის დამოკიდებულების კანონზომიერება და ამ კანონზომიერებაში საირხის სვეტისთავს თავისი განსაზღვრული ადგილი მიეკუთვნება. ამ დაჯგუფების მიხედვით, საირხის ტაძრის სიგრძე 18 მეტრი უნდა იყოს, სიგანე 9 მეტრი, სიმაღლე მიწიდან ფრონტონის წვერამდე 7 მეტრი და არქიტ. ვიტრუვის ტაძრების ტაძრების დაჯგუფების მიხედვით, უნდა ეკუთვნოდეს პერიპატეტური ტიპის ტაძარს. მე-3 ნახაზზე წარმოდგენილია მოდულური სისტემის საშუალებით აღდგენილი საირხის ტაძრის არქიტექტურის მთავარი ფასადი. მაგრამ, მოდულური სისტემის მექანიკური გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო ის, რომ, მაგალითად, თუ ისეთ მცირე ტაძარში, როგორც არის თემიდას ტაძარი გარშემო სვეტები დაიდგებოდა, მაშინ სვეტებს შორის (მოდულის სისტემის თანახმად) ისეთი მცირე ზომები იქნებოდა, რომ კაცი ვერ გაეჭოდა და შენობა გამოუყენებელი იქნებოდა. ამისათვის გამოვიჩინოთ იქნა სხვადასხვა ტიპის შენობები, სადაც ვერწყმული იყო შენობის დანიშნულება და სილამაზე; სილამაზე ისეთი, როგორც ეს ესმოდათ ელინებს.

ბერძნული ტაძრის არქიტექტურის ასეთი კანონზომიერება ქმნიდა კიდევ იმას, რომ ერთნაირ მიწვევებზე-დიდებულ შთაბეჭდილებას ქმნიდა უსარმაზარი ზომის ტაძრები სელ-

უნტსა და სარდში, დიდებულად გამოიყურებოდნენ ისეთ მცირე ტაძრებიც, როგორც იყო ტაძარი ასოსში და თემიდის მცირე ტაძარი რანუსტში.

მნიშვნელოვანი საკითხია, სად იდგა ტაძარი — საირხეს მიდამოში თუ საერთოდ მდინარე ყვირილას დაბლობის მიდამოებში, რა გარემოცვაში, რომელი დღმრთის სასულე იყო აშენებული. ცხადია, ამ ძიების პერიოდში ძნელია იმის დადგენა, თუ რომელ კულტს ეკუთვნის ტაძარი. ამის სასარგებლოდ არ გვმარა ვიცოდეთ ტაძრის ტიპი — ეს მომავალი გათხრების საქმეა. მაგრამ მაინც ვარკვეულ მიმართულებას აძლევს ამ საკითხის ის საგნები (ფაქტორის კულტის ფრაგმენტები), რომლებიც არქეოლოგ ლამაზიძის მიერ იყო ნაპოვნი სვეტის თავის აღმოჩენის მიდამოში.

საირხეს სვეტისთავებს, არც პატარას და არც დიდს, არ აქვს ობსკურული ნახევრები ხის სამარგნისათვის სვეტის შეერთებასთან, არ აქვს „ანაფოროსის“, რაც აუცილებელი იყო სვეტისთავის სვეტის ბლოკთან დადების დროს მორგებისათვის. ამ ორი ნაკლის გამო, საფიქრებელია, რომ სვეტისთავი არ იყო მბოლოოდ დამთავრებული და გამოყენებული თავის დანიშნულებისამებრ. როგორც არ უნდა იყოს, ეს შესანიშნავი არქიტექტურის ფრაგმენტები, სხვა მოპოვებულ ანტიკურ ფრაგმენტებთან ერთად (როგორცაა სარკინეთში აღმოჩენილი იონიური სვეტისთავი, არმაზის არქიტრავის ნატეხები, „დარბაზების“ სამშებრიანი სვეტი, წრომის სვეტის ნატეხები, ბაკინეთის შენობების კედლები, მცხეთის აკლდამის შერობა და სხვა მრავალი ანტიკური არქიტექტურის ნიმუში), ანტიკური ავტორების წერილობითი წყაროების მატერიალურ დადასტურებას წარმოადგენს იმის შესახებ, რომ ძველი საქართველის მშენებლობაში ორდრული სისტემა არსებობდა.



ჩაჩიაო არჯევნიშვილი

ხალხის შრომის მომღერალი

გრიგოლ კოკელაძე

ხალხური სიმღერა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან და მის ზნე-ჩვეულებებთან. ამ საქმის მესვეურები და მოამაგენი შეუბღალავად ინახავენ და ავრცელებდნენ ჩვენი კულტურის ამ უდიდეს განძს. უწყობდნენ ხელს ხალხური ხელოვნების განვითარებას. მათ რიგებს მიეკუთვნებოდა ქართული ხალხური შემოქმედების საუკეთესო შემსრულებელი — ოსტატი და მთელი რიგი სიმღერების ავტორი, უღროოდ გარდაცვლილი მ. არჯევნიშვილი. ახლაც თვალწინ გვიდგას მარიამის შავგვრემანი და მეტყველი სახე, რომელიც მუდამ ნათელი და უტყუარი მადლით დევოდა.

პირად ცხოვრებაში ეს უბრალო დაამიანი, მეტად წყნარი და მორიდებული, ერთბაშად გარდაიქმნებოდა და ცეცხლივით აინთებოდა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის დროს. დიდი პრინციპულობით იცავდა და ერთვული ჯარისკაცისთვის დარაჯობდა იგი ხალხური მუსიკალური შემოქმედების საუნჯეს.

მარიამ არჯევნიშვილი დაიბადა 1918 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში. მარიამის დედა — ტასო ცაცაშვილი, მამა — ალექსი არჯევნიშვილი, მართლ დიდები, ბიძები და პაპა ქართლ-კახური სიმღერების კარგი მცოდნენი და შემსრულებლები იყვნენ. „ჩვენს იჯახში, — აღნიშნავდა მარიამი თავის მოგონებაში, — სმირად მონიშნდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს. დედა ფანდურზე ტკბილად ამღერებდა და ცალკეულ მულოდებებსაც საუხბოო ტექნიკით ასრულებდა. მათ მიერ შესრულებული ყველა სიმღერა ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ, განსაკუთრებით, წარუშლელი იყო ერთი შემთხვევა: მამაჩემმა, ერთხელ, ურმით წამოიყვანა ვენახში, რომელიც 3—3½ კილომეტრით იქნებოდა დაშორებული ჩვენს კარიბადას. მამამ პირუტყვისათვის ბალახი მოთიბა, თოკით შეკრა და ურემზე დაღო. მე კი ხელით ამიყვანა და ზედ შეკრულ ბალახის ზეინზე დამსვა. თითონ ურმის კოფოზე დაჯდა და „ურმელი“ წამოიწყა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭებილი. მთვარის შუქი ნათელს ჰქვნიდა ამწყანებულ მიდამოს. ურმის ჭრიალი და კამეჩების დინჯე ნაბიჯი შეხამებულ ფონად მიჰყვებოდა ურ-

მულის საუცხოო პანჯს. მე სულგანაბული ვიჯექე შეკრულ ზეინზე და მეტად მოხიბლული, მამაჩემის საამურ ღიღინს ვუსმენდი. ენატრობდი, გზა ადრე არ დალეულიყო. ამ დროს, უცერად ურემი გზის ფერდობზე შეყირავდა, შეკრული ბალახი ძირს გადმოეშვა და მეც თან გადმოეყვავი. ურმულის წარმტაცი ღიღინის შესრულებით იმდენად ვიყავი ვატაცებული, რომ არც კი მივრძმინა რაიმე ტკივილი. მამაჩემი, ჯერ კიდევ, გზას განაკრობდა და ისევ ურმულს მიიძღვროდა. მეც კიდევ ზეინს დავეყრდენ და ჩემის ხმით ურმულას საუცხოო მელოდიას ავყვი. მამამ უცებ მოიხვდა და ნახა, რომ ურემზე აღარც თოვა იყო და აღარც მე ვჩანდი. შეშინებული ჩამოხტა ურმიდან და მკითხა: ხომ არაფერი იტკინეო! ხელი მომხვია, ისევ ურემზე შემსვა და შინისაკენ გავემგზავრეთ. ეს შემთხვევა მეტად აღმბეჭდა ჩემს მესხიერებაში“.

— მარიამ არჯევნიშვილს ზავშეობიანევე შეუყვარდა ხალხური მუსიკა და პატარაობიდანვე მრავალი სიმღერა შეისწავდა. მუსიკალური და ნიჭიერი გოგონა ხშირად ერთის მოსმენითაც კი ითვისებდა სხვების მიერ შესრულებულ ამა თუ იმ სიმღერას.

ახალგაზრდა მარიამს ხიზლავდა ქართლ-კახური სიმღერების საუკეთესო ოსტატ-შემსრულებლების დედას ლევანს და მისა ავგაროზიშვილის მოსმენა. და, მართლაც, დედას ლევანა (ლევან ასაბაშვილი) — დიდი დიპლომატიის მქონე ხმის ღამაში ტემპრით, მისა ავგაროზიშვილი კი მეტად სასიამოვნო და ტკბილი ხმოვანებით, ამკობდნენ და არუქურთმებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური მუსიკალური შემოქმედების მდიდარ და ნაირფერვან მულოდებებს.

„დედას ლევანა და მისა ავგაროზიშვილი, — ამბობს ერთ-ერთ მოგონებაში მარიამ არჯევნიშვილი, — ხალხური მომღერლები იყვნენ, ჩემი ყვარლის რაიონის მკვიდრნი. პირველი სოფელ შიღდის მცხოვრები იყო, ხოლო მეორე — სოფელ გრემისა. მათ კლასიკური მუსიკალური განათლება არ ჰქონდათ, მაგრამ ბუნებას ისე დაეჯილდოვებინა ორთავე არაჩვეულებრივი კარგი ხმითა და სიმღერის მაღალი ოსტატობით, შესრულების თვითმგნე-

ბით, რომ, ნურას უკაცარად და, მათთან სიმღერაში გაერთიანებას თავისუფლად ყველა ვერ შეუძლებდა. თერთონ ისინი კრძალვით ითვისებდნენ ყველა ხალხურ სიმღერას და დიდი გემოვნებით და პასუხისმგებლობით მღეროდნენ. მათ მიერ შესრულებული სიმღერები, შიდა კახეთის ადგილობრივი კოლორიტის დაკვირვებით, მეტად სრულყოფილი და საინტერესო იყო. მართალია, მე პირველი მუსიკალური ნათლობა ჩემი ოჯახური და ახლონათესაური გარემოსაგან მივიღე, მაგრამ საზოგადოებაში გაბეღულად გამოსვლის თვითშეგნება, სხვებთან ერთად, ამ ორი ნიჭიერი ადამიანის მავალითებმა განმიმტკიცეს“.

ასეთი შემოქმედებითი გარემოცვა მეტად შთაბამებელი იყო ახალგაზრდა მარიამისათვის, რომელიც თავისი ოჯახის წევრებისა და ამგვარი დიდი ოსტატების ზეგავლენით ყოველდღიურად იზრდებოდა და იწვრთნებოდა. მან ქართულ-კახური მუსიკალური შემოქმედების ბევრი ქლასიკური ნიმუში შესისწავლა, შემდეგ კი, თუშფშავეზურულ სიმღერებსაც დაუფლდა.

პატარა მაროს ორგანიზატორული ნიჭიც აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 11 წლის გოგონა აყალიბებს ყვარლის რაიონის სოფელ წინისებს, საბუეს და გრემის პირველი მომღერალთა გუნდებს. შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის ქალთა მომღერალ წრეს ხელმძღვანელობს. მარო არ კმაყოფილდება გუნდების მცირერიცხოვანი შემადგენლობით. იგი აერთიანებს სოფელ წინისების დაწვებით და სოფელ საბუეს არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდებს, ამუშავებს მათთან სხვადასხვა ხასიათის საკლავო სიმღერებს, მონაწილეობს ადგილობრივ დათვალიერებებში და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, სადაც დიდ წარმატებებს აღწევს.

მარიამს თავიდანვე ეჩნებოდა კომპოზიტორული ნიჭი. იგი ხალხური სწავლის დროს ქმნიდა პატარა-პატარა საბავშვო მელოდიებს, მაგრამ ნოტებზე მათი ვადატანა არ შეეძლო. ძალიან აინტერესებდა აგრეთვე ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩაწერა. გრძობდა, რომ ამისათვის პროფესიული მუსიკალური ცოდნის მიღება იყო საჭირო.

მიუხედავად სიღარიბისა და ხელმოკლე ოჯახური პირობებისა, მარო მინც აღწევს დაბასულ მიზანს: მიემგზავრება თბილისში და შედის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკუნდო-სადირიფო დარგზე.

სწავლისათან ერთად, გუნდსაც იგი იწყებს. თბილისში მეცადინეთის პერიოდში, 1939 წელს, ყვარლის რაიონულმა ხელმძღვანელობამ მარიამ არჯენიშვილს სთხოვა ხალხური სიმღერის გუნდის ჩამოყალიბება და მისი მეთაურობა. მარიამი დიდი კმაყოფილებით შეხება შრომითი ყვარლის ამ საპატიო წინადადებას. სწავლის მოუწყვეტილი, ერთი წლის განმავლობაში, ყოველ შაბათს საღამოს თბილისიდან ყვარელში მიდიოდა, ცვირას მთელი დღის განმავლობაში ჯერ ჯგუფურ და შემდეგ კი მთლიანი ღუნის მეცადინეთის ატარებდა, ორშაბათიდან კი ისევ თბილისში ბრუნდებოდა.

ყვარლის გუნდში მარამ თავი მოუყარა სამოცდაათამდე მომღერალ ქალ-ვაეს. ახალგაზრდებთან ერთად, მიიწვია ძველი სიმღერების მცოდნე მოხუცებიც — სვიმონ მახარობლიშვილი, ლევან, კონა და ივანე სეფაშვილები, იოსებ ბაბუაშვილი, დავით გელაშვილი და სხვ. მ-



ქართულ ხალხური საკრავების ანსამბლი ხელ. დამს. მოღვაწის მარიამ არჯენიშვილის ხელმძღვანელობით

რამი დიდი კმაყოფილების გრძობით უხსნიდა და ასწავლიდა ყოველ ახალ სიმღერას და ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას. მ. არჯენიშვილმა პირველმა შემქმნა ადმოსაკვლეთ საქართველოში დასავლეთ საქართველოს ხალხური საკრავი „ჩონგური“, რომელიც მან ფანდურებთან ერთად ყვარლის გუნდში შეხმატებოდა და ააქდერა.

მარომ შემქნა მეტად მწყობი და კეთილმოხვანი გუნდი და მას ბევრი ახალი სიმღერა შესწავლა. თვითონაც ბევრი რამ ისწავლა მცხოვანი მომღერლებისაგან. დაღლას სრულიად არ გრძობდა, შეეძლო მთელი დღე შეუსვენებელი ემუშავა. ყვარლის რაიონული გუნდის რეპერტუარში მარომ მთელ რიგ თანამედროვე სიმღერებთან ერთად დაამუშავა ძველი საუკეთესო ხალხური სიმღერები: „ზამთარი“, „ჩაქარული“, „მუშლი მუხანა“, „მრავალკაიერი“, „ჩონგური“, „სუფურული“, „თიბვის სიმღერა“, „მკის სიმღერა“, „კალოსპირული“, „მწყემსის სიმღერა“, „ურმული“, „ორიველა“, „მგზავრული“ და სხვ.

დიდი ხნის ნატვრა და სურვილი უკვე მიზანს აღწევდა. მარიამი თანდათან ეუფლებოდა ხალხური სიმღერების ნოტებზე ვადატანას. მრავალი ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუში გამოავლინა და ჩაწერა.

1941 წელს, დიდი სამამულო ომის დროს, ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დავით კობახიძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბა თბილისის სათუტრო ანსამბლი, რომლის მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელად და სოლისტად მარიამ არჯენიშვილი მიიწვია. შესანიშნავად ღვრდა ახალგაზრდა მომღერლის კონტრალტო. ამ ანსამბლში იგი დიდი წარმატებით ასრულებდა, „ურმულს“, „ორიველას“, „იავ-ნანას“, „დაიკვიანეს“ და განსაკუთრებით „ბაღურის სიმღერას“, რომელიც ორი მონადირე ძმის ბაღურისა და იროდის გმირულ ცხოვრებას ასახავდა.

1945 წლიდან საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ჩამოყალიბდა ქართულ ხალხურ საკრავთა ექსპერიმენტული ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელად მიწვეულ იქნა მარიამ არჯენიშვილი. ანსამბლში მარომ გააერთიანა ჩონგური, ფანდური, უწონ და ენაიხი სალამური, ჩანჯი, ჭიბონი, სტვირი, დოლი, დაირა, დიბლიბითო და სხვ.

თუშ-ფშავ-ჩეხურულ და მოხვევთა მოტივებზე მარომ შექმნა და დაამუშავა მეტად თავისებური და ორიგინალური რეპერტუარი. ინსტრუმენტულ ანსამბლში, სხვა საკრავებთან ერთად, ბრწყინვალედ ააქვდნა სალამურები. როგორც საუკეთესო პედაგოგმა, ბერი თვალსაჩინო დამკერდო აღზარდა. მათ შორის, გ. მოწერელია და ე. ტელიძე, რომლებიც დიდი წარმატებით გამოდიან კონცერტებზე, ავრთვე — ე. სარიშვილი, რომელიც ამჟამად თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქართული ხალხური საკრავების ერთ-ერთი საუკეთესო პედაგოგია.

სალამურის სადაურობის შესახებ მაროს ერთხელ დავაც კი მოუხდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-მკვლევართან, კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილთან. მაროს ვარაუდი, რომ სალამური ქართული საკრავია, დაადასტურა მცხეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა.

მ. არჯვენიშვილმა ანსამბლში ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრის საუცხოო შედეგს მიაღწია. თვითონ იშვიათი ოსტატობით უყრავდა ფანდურზე. მარომ ვერგეთ-წოდებული „არჯვენიშვილისებური“ მეთოდი გამოიჩინა. მის ხელში ეს ბატარა და პრიმიტიული სამლარიანი საკრავი ისე ხმოვანდება და მეტყველებდა, თითქოს საკრავთა მთელი ჯგუფი ყოფილიყო. ეს მცირე ანსამბლი იმდენად კოლორიტული და სანატრესო იყო, რომ 1946 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ მიიწვია სამუშაოდ. პროგრამაში განსაკუთრებული წარმატებით სრულდებოდა: „ვაჟო ნეტავი შენს მზესა“, „სად გა-

ვათხოვო, ქალო“, „დალაი“, „ქალ-ვაჟანი“, „თუშური სატრფიალო“, „ბუქნა“, „ვაჟის ანდერძი“. „მეძინებო სიმღერა“, „კონური“, „ჩონგურული“, „მოხვეური საცქვიანი“, „კოლექტივის მერგოლური“ და სხვ.

1947 წლიდან 1951 წლამდე მარიამ არჯვენიშვილი მიწვეულ იქნა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მეფანდურთა ჯგუფის ხელმძღვანელად. დროდადრო ის ხელმძღვანელობდა სიმღერისა და ცეკვის ყვარლისა და ლანჩხუთის სარაიოს თვითმოქმედ ანსამბლებს, ხოლო შემდეგ თბილისის ცენტრალური კულტურის სახლთან არსებულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს.

1954 წელს ხალხური თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მარიამ არჯვენიშვილმა საუკეთესო შესრულებით და მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოიყვანა თბილისის კულტურის ცენტრალური სახლის ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი და ლანჩხუთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლი.

მარიამ არჯვენიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ანსამბლები რესპუბლიკურ ოლიმპიადაებზე, ავგილობრივ დათავალებულ რეპერტუარზე განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდნენ და მუდამ საუკეთესო შეფასებას ღებულობდნენ. მარიამი ყოველთვის დიდი სიფრთხილით, მონადომებითა და სიყვარულით კრებდა ხალხში გაბნეულ მუსიკალური შემოქმედების ძვირფას მარგალიტებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევა. ყვარელში მუშაობის დროს მაროს მეტად აწუხებდა ორი ძველი სიმღერის „შემოძახილის“ და „მეძინურის“ სიმღერის“ შესწავლა და მისი ჩაწერა. მაროს ყვარლის ანსამბლში მოხუცი მომღერლებისაგან რამდენჯერმე მოუსმენია ეს სიმღერები, მაგრამ მათი გადმოცემით არ იყო კმაყოფილი, რადგან ხალხური მიმღერების ცნობილი შემსრულებელი, დიდებული მეორე ხმისა და ხაერდოვანი ვოკალური ტემბრის მქონე მხოვანი სვიმონ მახარობლიშვილი, თხუთმეტი წელი იყო, აღარ მღეროდა შვილის გარდაცვალების გამო. უმიხოდ კი ეს სიმღერები არ გამოდიოდა. მაროს არ ასვენებდა ეს მდგომარეობა. მან ასეთი წერილი გაუგზავნა სვიმონ მახარობლიშვილს: „ძია სვიმონ! მართალია, აღარ მღერით, მაგრამ ძალიან გთხოვო მოზრძანდეთ და დაესწროთ დღეს ჩვენი გუნდის მეცადინეობას“. სვიმონმა მაროს უარი ვეღარ უთხრა და მეცადინეობას დაესწრო. იგი დარბაზის ერთ კუთხეში დაჯდა და თავჩალუნული უსმენდა სიმღერებს.

რამდენიმე წუთით მარომ მეცადინეობა შეაჩერა და სვიმონის თანატოლებს სიმღერა „შემოძახილი“ შესარულებინა. სვიმონი მღელვარებამ შეიპყრო, არ იყო კმაყოფილი ასეთი შესრულებით. ერთ მომენტში ფეხზე წამოდგომაც დააპირა, თითქოს მომღერლებთან მისვლა სურდაო, მაგრამ ერთხმად თავი შეიკავა და ისევ დაჯდა. მარომაც უკმაყოფილების ნიშნად თავი გააქანა და მახარობლიშვილს მიმართა: „ძია სვიმონ, თქვენი ტკბილი ხმა გვინდა მოვისმინოთ, ამ თქვენს მეზობლებს უნდათ მოგისმინონ. დაგვემე პატივი და თქვენი ლამაზი ხმით დავვიწყეთ „შემოძახილი“.

— ეჰ, აბა, რა გითხრა! ჩემი გული მკვდარია, შვილო. გულს არ ემღერება და უგულოდ სიმღერა, აბა, სად გა-

მარიამ არჯვენიშვილი





გონილა? — მიუფო სვიმონმა. მაროს ცრემლებით აევსო თვალები. მან სიზარალული გაუღიმა მოხუცს, მოკრძალებით მხარზე ხელი დაადო, იქ ყოფილ ვადახედა და მოხუცის სიტყვები გაიმორხა: „სიუხუე სიმღერა სად ვაგონილა! — სადენიმე წუთით სიუხუე ჩამოვარდა. მარო გამოსავალს ეძებდა. ძალა მოიკრიფა და, ცოტა ხნის შემდეგ, მახარობლიშვილის საყურადღებოდ, გუნდის წევრებს საუბარი გაუძარია: თუ რა მნიშვნელობა აქვს ძველი, მივიწყებული სიმღერების აღდგენას, მათ ჩაწერას და ისევ ხალხში გავრცელებას, რომ ფელ ხალხურ სიმღერებში გადმოცემულია ქართული ხალხის ჭირვარანი, მისი განვლული ერთობისა და დიდი გმირობის ისტორია, რომ ყველანი ვადღებელი ვართ ჩვენს მომავალ თაობას გადავცემა და არ დავუტაროთ წინადასრულები მიერ შექმნილი ხალხური ფილოსოფია ფიჭინასი იხუტა... და კვლავ მათაბრობლიშვილს მიუბრუნდა: „ასე არ არის, ძია სვიმონ?“

ცრემლორული მახარობლიშვილი თავდახრით ულასტურებად, მაგრამ სიმღერის თქმავზე ისევ უარს ამბობდა. თაობა რეაქტიცია ვახვარო. მახარობლიშვილი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მაროს ყოველ მოქმედებას. ეს შეუნიშვნავი არ დაჩრქნია თვით მაროს, რომელმაც უკვე რეაქტიცია შეწყვიტა და ისევ მოხუცს მიიპარა: „ძია სვიმონ, ცოტა ხნით წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი ცოცხალია და აქ იმყოფება. მეც თქვენი შვილი ვარ, ეს ახალგაზრდობით თქვენი შვილები არიან. ყველანი გთხოვთ შეასრულოთ ეს ორი ხალხური სიმღერა“. მოხუცი დაიბნა და გახცვიფრებით შეაჩერდა ამ ახიერებულ ქალბლეს. ნელა წააოღვა, ენერჯია მოიკრიბა, ძველ მომღერლებს გადახედა, თითქოს შეაბოჟმა, ყველანი აქა ხართო, და ხვერდოვანი ხმით ჯერ „შემოძახილი“ წაიბიწყო, შემდეგ კი „შენძურის სიმღერა“. მარო მოხუც მომღერლებს ვერდით ამოუღვა, სიმღერას ხმა შეუწყვიტა და სვიმონის მიერ შესრულებული ვარიანტების ჩაწერა დაიწყო.

დახვლებით, ამგვარად ჩაწერა მან ზემო აღვანში მთის ცნობილი სამკლოვიარო სიმღერა „დალაი“ ოთხმოცდახუთი წლის მოხუც სულაკაურისაგან. ეს ასე მოხდა: 1945 წელს, თავისი მცირერიცხოვანი ანსამბლით მათუშეთში ყოფნის დროს, მარიამ არჯვენიშვილს კითხვა-კითხვით შეუნჯა ღრმა მოხუც მოღალავე სულაკაურისათვის, რომელსაც „დალაი“ ათქმევინა. თავდაპირველად სულაკაური ცოც უარზე მდგარა: „შვილო, ეს სიმღერა მიცვალებულისა... ჯვარი აქაურობასა და, უმიცვლელად დალაი“ აბა, როგორ უნდა ვთქვა... ხოლო რაკი ვაკიო, თუ რისთვის იყო საჭირო სიმღერის შესრულება და მისი ჩაწერა, სიამოვნებით დათანხმდა და, სიმღერასთან ერთად, დალაიბის მთელი სურათიც ჩააწერინა. დამთავრებისას, სულაკაურმა თხოვნით მიმართა მარიამს: „მამაშვილობას, როცა ეს სიმღერა რადიოში იმღეროთ, მიცვლებულად მე დამასახელეთ“.

მარიამ შეუსრულა მოხუცს თხოვნა და ტექსტში მიცვლებულების დასახელების ნაცვლად, სადაც მრავალწილობით იყო დასმული, სულაკაურის გვარი ჩასვა. ამჟამად რადიოში ფირზე შეტანილი ამ სიმღერის ვადგომცემის გვარი და შემდეგნაირად სრულდება: „ბრალია, სულაკაური, ულაშქრლდ შენი სიკვდილი“.

მარო არჯვენიშვილს მრავალი ქართული ხალხური სიმღერა აქვს ჩაწერილი, რომელთაგან ნაწილი ინახება საქართველოს მცენიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფოლოკლორულ განყოფილებაში, საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სტუდიის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალური ფოლკლორის კაბინეტში.

მარო არჯვენიშვილმა ბევრი კარგი საკუთარი ნაწარმოები შექმნა. ბირველი პერიოდის ერთ-ერთი სიმღერაა „მწიყენი“, რომელიც ჯერ სოლოსათვის დაწერა, შემდეგ ვადალანუშვა (ქალ-ვაიასთან) დღეების სახითა „ხეტავი შენს მუხესა“, ხოლო, საბოლოოდ, მასზე შესანიშნავი საფუძვლი სიმღერა შექმნა ქართული ხალხური საკრავების — სალამურის, ჭუნირის, ჩანჯის, ჩონჯისა და ფანდურის ტემპების საუკეთესო შეხამებით. დიდი სამამულო ომის დროს, სხვა სიმღერებთან ერთად, სათანადო გამოძახურება აპოვა მარიამის ძვირ შექმნილმა სიმღერამ „ღღისი მოწოდება“, რომელსაც წლების მანძილზე დიდი წარმატებით ასრულებდა საქართველოს მემონგურეთა სახელმწიფო ანსამბლი ალექსანდრა ფიცხვარაშვილის ხელმძღვანელობით.

მარიამ არჯვენიშვილმა ზედმიწევნით ათვისა და შესრულების მაღალ საფეხურზე აიყვანა ქართულ ხალხურ ინსტრუმენტულ დაკვრის ტექნიკა. მარომ მუსიკალური ცოდნის, გამოცდილებისა და თავდადებული შრომის შედეგად, შექმნა ჭემპარიტად მაღალმატრული, მრავალსახიანი ერთნული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, რომელიც ზუსტად, შეხმატკილიებითა და დიდი სიფაქიზით ვადმოსცემდა ნაწარმოებებს. ანსამბლი უწყალოდ იცავდა საქართველოს ყველა კუთხის ხალხური მუსიკალური შემოქმედების კოლორიტსა და თვისებებს. ანსამბლში მარომიოულად იყო შერწყმული ფანდური, ჩონჯური, სალამური, ჭუნირი, ჩანჯი, დიბლიბატი, დაირა, ჭიბონი და სტვირი. ქართული ხალხური საკრავების ბრწყინვალე და ოსტატური შესრულებით, მარო არჯვენიშვილმა დააარტავა ის მცდარი შეხედულება, თითქოს ხალხური საკრავები მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ სიმღერის სააკომპანიმენტო საშუალებლბაა. „ეს საკრავები თუ სათანადოდ ვერ ჟღერენ... ამბობდა მარიამი, — ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ შემსრულებლები ვერ დგანან მოწოდების სიმადლეზე, უკრავენ ერთფეროვნად, მონოტონურად და ვერ არიან დაუფლებულნი დაკვრის მაღალ ტექნიკას“.

მარიამ არჯვენიშვილი მუდამ ბრინციბულად აყენებდა საკითხს, რომ ჯეროვნად შესწავლილი და ათვისებული ყოფილიყო საკრუნების მანიბილზე ხალხის მიერ შექმნილი ის საკრავები, აღზრდილიყო დაკვრის ნამწვლი ოსტატები და აღკვეთილიყო ამ ინსტრუმენტებზე პრიმიტიული და მონოტონური შესრულება. მარო არჯვენიშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეში. მან ბევრი ახალგაზრდა შემსრულებელი და ხელმძღვანელთა კადრი აღზარდა.

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების დარგში ნაყოფიერი და მრავალმხრივ სინტერესო მოღვაწეობის გამო, მარიამ ალექსის ასულ არჯვენიშვილს, მინეზა საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

მარიამს ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მტად ხანმოკლე ვახდა მისი სიცოცხლე. 1958 წლის 23 დეკემბერს სამუდამოდ შეწყდა მისი მავისცემა.

ემბრული ხალხური სიმღერები

საამ ლორთქიფანიძე



ართული ხალხური სიმღერების მრავალფეროვან საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ერთ-ერთი მშვენიერი კუთხის — სა-მეგრელოს ხალხურ სიმღერებს, მათი უმრავლესობის სიმღერებთან.

სობა ლირიკული ხასიათისაა. თავისი პოლიფონიურობით მეგრული სიმღერები უფრო ახლოს დგას დასავლეთ საქართველოს სიმღერებთან.

მეგრულ სიმღერებში მკაფიოდაა ასახული ჩვენი მშრომელი ხალხის სამყარო, ზნე-ჩვეულებანი, ტემპერამენტი, შრომის სიყვარული, მებრძოლი სულისკვეთება, მისი ჭირვა-რამი, მომავლის რწმენა, სწრაფვა, მიჯნურობა.

ქართულმა ხალხმა, საუკუნეთა მანძილზე, ცეცხლსა და გრივალში ბატარა თავისთვის ეს ეგვრო ძვირფასი სულიერი საუნჯე და არა თუ დღევანდელი გატიალებისაგან, არამედ კიდევ უფრო გაამდიდრა იგი და დღემდე მოვიტანა იმ სახით, როგორც მის თანამედროვეობა იცნობს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებთან ერთად მეგრული სიმღერების შეკრების, აღდგენისა და განახლების საქმეს ხელი მოკიდა ცნობილმა ხალხურმა მომღერალმა და ლოტბარმა ტუქულოლაშვილმა. მისი თაოსნობით შეიქმნა ანსამბლი, რომლის რეპერტუარშიც ძირითადად მეგრული ხალხური სიმღერები შედიოდა. თავისი კონცერტებით ანსამბლს ალტაცებაში მოყვავდა ქართული საზოგადოებრიობა.

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ მეგრული ხალხური სიმღერების პროპაგანდისათვის დიდი მუშაობა გასწიეს საუკეთესო ლოტბარებმა და მომღერალ-მემსრულებლებმა კ. პაუკორიამ, ა. მეგრელიძემ, კ. გეგეჭკორამ, რ. შელგეიამ, ვლ. ბაბილუამ, ნ. ხვიტაძემ, ნ. ხურციამ, ნ. ჩაჩიბაიამ და სხვ. მშობლიური საქმისათვის სამსახური მათ ცხოვრების მიზნად გაიხადეს და სიკვდილამდე მის ემსახურებოდნენ ხელმძღვანელთა, წამყვან თუ რიგით მომღერალთა სახით.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა მეგრული სიმღერების ისეთი მარგალიტი როგორც არის ოსხიანი შრომის სიმღერები — „ოდიასი“ და „ოჩუნავი“, მეურმის სიმღერა „ჩელა“, საბრძოლო სიმღერა „უტუს ლაშქარი“, ლირიკული სიმღერები — „სატრფალი“, „ვარდი“, „მარტვილი“, სახუმარო სიმღერები: „ჩაგუნა“, „პიჭე ტუა“, მეგრული საცეკვაოები და სხვ.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საუკუნეთა მანძილზე ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი და ხალხი მამამდიანურ სახელმწიფოთა განუწყვეტელ შემოსევებს განიცდიდა. ამ შემოსევების მიზანი იყო არა მარტო დაპყრობა ჩვენი ქვეყნისა, მიტაცება მისი ეკლტურულ-მატერიალური ფასეულობისა, არამედ ჩვენი ერის ფიზიკური მოსპობა, მოსპობა ერისა, რომელსაც, მართლაც, ბევრი რამ შეუქმნია სამაყოდ და თავმოსაწონი. განა სამაყოდ და თავმოსაწონი არ არის თუ გნებავთ ეს ხალხური მფლოდიები, რომელთაც ჩვენი წე-

რილი ეძღვნება, რომლითაც ქართველი ხალხი მშვიდობიანი შრომის, ხალხთა სიყვარულისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სადღეგრძელად ქმნიდა, მფლოდიები, რომლებიც ქართველ ხალხს სიცოცხლისადმი სწრაფვის ამირანისეული ცეცხლით ადაგზავნდა

მართლაც, რა შეედრება შრომის ჰიმნს „ოდიასი“ და „ხელხავებს“, საქორწინო „უკუნა ბედნიერს“ და „მრავალ-ჯამიერს“, თავისუფლების ჰიმნს „მუმილი მუხასა“, „ხასანბე-გუასი“ და სხვა მრავალ მხედრულ-ლაშქარულ სიმღერას, რომელთა გაგონება სისხლს აგიდრებს, გაქცეობას აღვიძრავს და სამშობლოს სიყვარულზე დაგაფიქვებს.

ამ ბოლო დროს სხვადასხვა ანსამბლში, კერძოდ, სა-ხელმწიფო ანსამბლში დადებითი შედეგი გამოიღო, მეგრულ მფლოდიებში ქართული ლიტერატურული ტექსტების ჩასამართვის, შინაარსი და მუსიკალური წყობის რაიმე ცვლილების გარეშე.

უფრო ადრე საქართველოს რადიოს მუსიკალურ რედაქციამ იღვა ეს საკითხი (მისახილებელია, რომ საქართველოს რადიოს მუსიკალური რედაქცია ენერგიულად შეუდგა რუსული და დასავლეთევროპული მუსიკალური ნაწარმოებების თარგმანს ქართულ ენაზე. კარგი იქნებოდა, თუ ეს ტრადიაცია სახ. ოპერაშიც დამკვიდრდებოდა). ამას წინათ კი, რადიოთი კონცერტის გადაცემას წინ უძღოდა ლიტერატურულ ენაზე გაართობილი მეგრული სიმღერების ტექსტი, დიქტორის წავიხვიით. მაგრამ, რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, რომ ქართული ტექსტი თვით სიმღერაში, ყოფილიყო გამოყენებული.

სატელევიზიო გადაცემათა რედაქციის ინიციატივით, ხალხური სიმღერების ცნობილი ლოტბარის ვლ. ბაბილუას ხელმძღვანელობით, შეიქმნა ვოკალური ანსამბლი, რომლის პროგრამაშია მეგრული სიმღერები, ქართული სალიტერატურო ტექსტით. ასე იქნა შესრულებული სიმღერები: „ჩელა“, „მასა“, „ვოჯანუდი ჩქიმ ჯარგავალს“, „ვიოსა“, „ერებელი“ და სხვ.

„ჩელა“ მეურმის სიმღერაა (ჩელა კამეჩის სახელია) ბედკრული მეურმე თავის ჭირვარამს, თავის ყველაზე ერთგულ მფლოდიულს — ჩელას უზიარებს, თავისი თავი მას ამ კეთილშობილი პირუტყვის ბედში წარმოუდგენია, თავის ვარამს მასთან საუბარში იხსენებს. ამ სიმღერის ტექსტის ავტორად პავლე აკობია ცნობილი, რომელიც რევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩაბმული და ამ ლექსის გამოთქმისათვის 1905 წელს იგი დააპატიმრეს კიდევ. (უფრო ადრე ამავე თემას მიუძღვნა დიდი ილიას „გუთნის დედა“, რაც მიიღო საქართველოს ბედკრული გლეხობის გულისტყმის ანარქულ წარმოდგენა).

„ჩელაში“ და, საერთოდ, მეგრულ სიმღერებში თავისებური კუთხური მისამღერებია ჩაქსოვილი, რასაც ტექსტთან ერთად გავაცნობთ მკითხველს.



„ჩელა“ ორიგინალი.

სოლო: მა და ჩემი არაბა
გუნდი: ნანა, ნანა, მისასარალო; მიბჭვევალო ნანა, ნანა.
ლაკიაში ღირზე, უღუ, ნანა, ნანა,
მელე მოლე კოლოტრულ ნანა, ნანა,
ხი, (ბრუ) აშო ნანასარალო, ნანა, ნანა,

სოლო: ქურია და ნანადარქ, ჩელა სანე გინაზიხა.
გუნდი: ნა, ოსკარადა ვარადა
სოლო: სი გურაფე მუშოთ ვიკო, ინკორი ღო იკვაზიხა.
გუნდი: ნა, ოსკარადა ვარადა
სოლო: ოე რაიდა ურაიდა რაიდა
გუნდი: ოს ვარადა ვარადა.

აშო ჩელა, ვიშო ბუსკაჲ, ავაეა, ავაეა, ავაეა-
სი მონობას გევაფილო ავაეა, ავაეა, ავაეა,
სი უჩხონჩხე, სი უგურე, ავაეა, ავაეა, ავაეა,
სი ციკერი ელავორი ავაეა, ავაეა, ავაეა.

სოლო: აშო ჩელა ვიშო ბუსკა, ნჯარით ვორქე ნდლეუდაფიორი.
გუნდი: ნა, ოს ვარადა ვარადა
სოლო: ღარბ ვორქე მდიღარს მეყუნს! ჩქიმი სქვაში ყორაფილო
გუნდი: ნა, ვოსკარადა ვარადა
სოლო: ოე რაიდა ვარადა რაიდა.
გუნდი: ნა, ოსკარადა ვარადა

ქართული ლიტერატურული ტექსტი „მეზარბის სიმღერა“

სოლო: მე და ჩემი ხარ-ურემი
გუნდი: ნანა, ნანა, მიესრიალებთ, მივეჩილებთ ნანა, ნანა,

და ამ ქვეყნის ჰეროგამასა, ნანა, ნანა,
ერთნაირად ვიზიარებთ, ნანა, ნანა,
ღებრი უღვას აკაცისი, ნანა, ნანა,
ჩელა შილი ვაჟაკაციოთ, ნანა, ნანა,
ხი, ნაბორბლარში ჩაღქე ჩელა, ნანა, ნანა
უღელს გასწევე ნელ-ნელა, ნანა, ნანა,

სოლო: ქურია და ნანადას გზა გინაზიხა არის შენი.
გუნდი: ნა, ვოსა რადა ვარადა
სოლო: გინათლება რაში გინდა, შენ ბალახის ცოხნა გშევიწი.
გუნდი: ნა, ვოსა რაიდა ვარადა
სოლო: ოე რაიდა ვარაიდა რაიდა
გუნდი: ვოსასარადა ვარადა

აქეთ ჩელა იქით ბუსკა, ავაეა, ავაეა, ავაეა,
ეინ გაღირსებს იალაღებს, ავაეა, ავაეა, ავაეა,
ციხერ მრუდედ, უგულღეოლო ავაეა, ავაეა, ავაეა,
შენ შენი გზით ივგაღებ ავაეა, ავაეა, ავაეა,

სოლო: ოე რაიდა ვარაიდა რაიდა
გუნდი: ვოსის რაიდა ვარაიდა
სოლო: აქეთ ჩელა ექით ბუსკა, ლამის დარდიით გასკდეს გული.
გუნდი: ნა, ვოსის რაიდა ვარაიდა
სოლო: ღარბით ვარ, მდიღარს მიყავს ეს ჩემი შეყვარებულნი
გუნდი: ნა, ვოსის რაიდა ვარაიდა
სოლო: ოე რაიდა ვარაიდა რაიდა
გუნდი: ვოსის რაიდა ვარაიდა.

„მახა“ სატრეფილო სიმღერა. შინაარსით შეყვარებულის
ღალადს წარმოადგენს. სიტყვა „მახა“, საალერსო სიტყვაა და
ჩვენც მას ტურფა გუწოდეთ. ამ სიმღერას ყველა ხმები ერთად
იწყებს და ამთავრებს.

მახა, მა სქანოთ ქირიბი ვორდა
ირ ვასაჟირს გალუფარინა-ნა
შური, მა სქანოთ სასუნთე ვორდა,
ხატიშო წოხოლე ონდელუფარინა-ნა
დეღო, დედა, მეღანიაო ჩქიმ ცოდა.
მახა, მა სი რთხინქ სი ჩქიმი ორდა,
თინ შარეფიში მაწურაფალი-ნა,
ღურაში უკული სი ორდე მოყო,
ჩხე ჩილაშურში გიმარღვადალი-ნა
დეღო, დედა, მეღანიაო, ჩქიმ ცოდა.

„ბურფა“

ტურფა, მე შენთვის ბატკანი ვიყო,
შენთვის ზვარადა შესწორიავი
სულ, მე შენთვის საწინაო ვიყო
ხატის წინაშე დასადნობელი
დედა, დედა, ნუ გამწერავ საბრალოს.
ტურფა, ამს ვიხოვ, შენ ჩემთვის იყო
სივრი შარავხის მაწინებელი.
საყვადის შემდეგ შენ ჩემთვის იყო
ცხადე ცრემლებით დამტრებელი.
დედა, დედა, ნუ გამწერავ საბრალოს.

„მოკანადი ჩიმი ჯარბაგას“

ოე, დილო უღო ნინინა
გოჯანადი ჩქიმ ჯარბაგას კარ კოკერი ომინჯერი.
ქუმოთ ქირი მაჭეხილქე ღურტულეს მბირალო,
ქუგამინე ყორაფილქე გურქე ქალბაჲე უგეშერი
ლოგინ თემი გიღებგარი, მუქით ჩქიჩქე უქუქერი.

„ჩისი კოხნი ვიწაჲ“

უეცესლოდ და უბატრონოდ, მე ჩემს ქოხნი მარტო ეიწექ,
თავს მერცხლები დამფრანადენე, და ქაქციოთ გამაღვიძეს
გულს ვაგვრა და მომავინა ის, ვინც გულით შევიყვარე,
მიღებელი ჩეილის დარად გადმომცვირდა ცრემლი ცხარე.

„მოისა“

ვოისა, ვოისა, ვოისა, ვოისა, რერა ვოისაშვარადა
ვოისა, სქანად ორაგადე მილე ართი, ქირი, სუმი ნინა,
ვოისაშვარადა
ვოისა, ქობთქუენი მაშქურინე, ვაბთქუენი მე ვქომინა,
ვოისაშვარადა
ვოისა დღეში უქუაში წამალირე, ბაშუაყიში გიკორა,
ვოისაშვარადა
ვოისა, ვაი მუში მაწწარარე, ყორაფილიშ ვოითორა,
ვოისაშვარადა
ვოისა, ჩქიმი გური დოვიკილე, შვაგაში ვაგვიხარებუნი,
ვოისაშვარადა.
ვოისა, ბოში, ბლუზა დოვიკუნო, უჩათ, გოგამეშვარადა,
ვოისაშვარადა.

„მოისა“ (ქართული ვარიანტი)

ვოისა, ვოისა, ვოისა, ვოისა რერა ვოისაშვარადა,
ვოისა, ქალო, შენთვის სათქმელი მაქვს, ერთი ოროოდ
სიტყვა, ვოისაშვარადა
ვოისა, თქმაჲ მიჭირს და უთქმელბოც, ამა რა ეწნა,
რომ არ ვიხოხა, ვოისაშვარადა.
ვოისა, თავის ტიკვილს წამალი, ყაბალახით თავის წყურა,
ვოისაშვარადა.
ვოისა, ვაი დედა, რა მწარა, საყვარლისგან დღეტი
ვოისაშვარადა.
ვოისა, ბიჭო ბლუზა შეგეკრავს, შვაგდ ვაგვიხმენია,
ვოისაშვარადა.
ვოისა, ჩემი გული შენ მოვიკლებს, სხვისი ვაგვიხმენია,
ვოისაშვარადა.

„პრეხელი“

ამ სიმღერის ტექსტი ყველა ვარიანტში თითქმის უცვლელ-
ად რჩება.

ერეხელი ვარ და მერცხელი, ელიზბარი, ამისთან სარკო
მიქელი ვარ და მიქელი, გოგო მიღის ქუქეთური.
(ქლამი მეურსკევეთური)
ბიჭი მისღევს გეკუქური, ქვერი. (ბოშო ვიხოხოუ გეკუქური)
ქვერი ვარ და ახალქვერი ამ ყვირია, სამყვირია,
თითონ ხორც, ხამშიერი დაფარული, ტრი, ტრი ქუმ.
ქუმე ვარ და ქუმე წყარი, ნება შენი, სასხვარია...
ოჰო ჰოი მიქელი. (სქანე)

1 ქურია და ნანად — სოფლებია.
2 ბუსკა — ამეჩრის სახელია.



სიმღერა „ჩრტელის“ შესახებ რსებობს თქმულება, თითქოს მგერლებს გურულებსათვის ქალი მოეტყუათ, რის თაობაზეც გურულ შუაკაცებს ამ სიმღერის ტექსტში მოყვანილი ჩიქორთული საუბარი გაუმართავთ მგერლებთან.

„საზვრალი“.

ამ სიმღერას მეორე ხმა იწყებს, სრულდება ცვალეზადი რითმით.

გეშუათ ღვინი ხარათია, ართიანს ქედუხვამათია.
გეშეი ღვინი დო ქედმახვამი, სახელ მჯობს გუჯმახანი,
ოლურ კულარე, მისით თენა ეგშაშენი ნანა თელი ღურაბე.

გეშეია, გეშეია, ახალი დო ჯგეშეია.
ურარდია, უჩა კოჩი, ვაშუნდი დო მუშა მორათ
უჩა კოდი ხარკალე, აშო მომიხაკალე.
გეშეია, გეშეია, ახალი დო ჯგეშეია.

„საზვრალი“. (ქართული ვარიანტი)

შეესვათ ღვინო სასმისებით, სისაბულოთ ავიესებით.
დალი დო შესვი ხელად, გუჯმახანი ვარ სახელად.
სასმისი ამივსია, ვინც ვერ შესვამს, რა ცაცია,

შესვი, ბიჭო, შესვი ღვინო, ამა როგორ მოვიღვინოთ.
ურარდი, შავი კაცო, თუ არ სვამდი, რატომ მოდი.
ღიდი დო შავი კანწი, ისე ჩემსკენ გადმოდი.
შესვი, ბიჭო, შესვი ღვინო, ამა როგორ მოვიღვინოთ.

„საკომუნიკაციო“

კოლექტივებში მოხანდევი ირახმე დო ინწყუაფუ.
ოგნანა ნანინა დო

აღრეიან ნახაქათუ, მუნაწი იყუაფუ.
გეშვთხორათ, გეშაზლობათ, მულორიბე, თასუა
ღიხას თასი ქიმებნათუ, ქედულოქათუ ხაჩქუა,
ოგ ნანა ნანინა დო ვა ჰეი ნანინა, ვა ჰეი ნანინა,
ღიხას თასი ქიმებნათუ, ქედულოქათუ ხაჩქუა, ოგ ნანა ნანინა.

„საკომუნიკაციო“. (ქართული ვარიანტი).

კოლექტივის მშრომელები, ეწყობიან რაზმებად,
ოგ ნანა ნანინა.

აღრეულად მოწყული მოსავალი ეგნებათ,
ამოთხარათო, შემოვლობათ, მოსულია თესვის დრო,
მიწას თესლი მივაფრტევიოთ, მიწა მშრომელს ელისო,
ოგ ნანა ნანინა, ვა ჰეი ნანინა, ვა ჰეი ნანინა,
მიწას თესლი მივაფრტევიოთ, მიწა მშრომელს ელისო,
ოგ ნანა ნანინა.

„ბართი პარდი“.

ამ სიმღერას მთელი გუნდი ერთად იწყებს. სიმღერა კუპლეტურია და მელოდია რამდენჯერმე მეორდება.

ართი ვარდი გამკობილო,
ხეს მიყინებუ თინა,
შურს თისი მეუწმობუა,
სასიამოვნო მათუ ჯინა.
ირი ღდასუ ვეშეშელებუ,
ვეშებლუ დო ვაბიარენი,
ვართი ელბრუ, ვართი ხუშუ,
მუდგა კოჩიმ ნარტიორენი.
მა ვამიჩქუ ათუ ვარდი,
მუ ბალიში ნარტიორენი,
ვართ თიშენი ვოცქავამ თისი

„ბართი პარდი“

ერთი ვარდი მოწყვიტე დო ხელთ მიჭირავს მოკარალებით,
მას ყოველ დღე დაგებდე დო მისი სურნელებით ეტატებო,
პორი ფოღლი ნინია, შენ გენაცვალეო,
ნინიანო, შენი სულს კირიბეო დო
მას მიტომო როლი ვაქებ,
ჩემთვის ვახლ სანატრელი,
არც ვამბობა, არც დამეკნარა,
დაბრუნელა ვისი ხელიო.
მე ის ვარდი მშენიერი მომავალეს ღამებ თვალეს,
შენი გულის მოტრფილუო,
შენს სიტუტფეს ვენაცვალეო.

„სი სოულუ, ბაბა“

სი სოულუ ბატა მა დომობაღუნეო,
პოლიტი ვორექ, თოცილი ვორექ, ვაგომობაღუნეო
გურს გენია მონტებულესუ, ვაშემბარაღუნეო,
ღურას ვორექ მერინელი ვაშემობაღუნეო.

„შენ მიხვალ, ბაბა“

შენ მიხვალ ბატა, მე მარტო მტოვებ,
მომკლავს ლოდინი და სიმატოვე,
ვარ შებოკილო, დატყვევებულა, მისხენი, ბატა,
გულს გენია მოკლებულს, არ შემიბარალებ?
სიკვდილის პირს მისული ვარ, არ გადაპარჩენ?

„ხელხვაპი“ (ოჩეშხვეი).

ოჩეშხვეი დო ხვაბარელი,
კალო გაგვიხვაბარელი,
ხეშხუა ხვაბარელი,
ხელუ მოუხვაბარელი.

„ხელხვაპი“ (ქართული ვარიანტი)

ოჩეშხვეი დო ხვაბარელი,
ხელხვაპი გვაქვს ხვაბარელი,
კალოც მე გვაქვს ხვაბარელი
ვთქვით სიმღერა გემრიელი
გეწყალობს მიქელ ვაბრიელი.

მე და ჩემი ამხანაგები ხშირად ვმღეროდით მგერულ ხალხურ სიმღერებს ახლომელთა წრეში. დამსწრენი სურვილს გამოთქვამდნენ ავეყსნა მათი შინაარსი. ჩვენ ხშირად ვერ ვახერხებდით მათი სურვილის დაკმაყოფილებას და უხერხულდებაში ვვარდებოდით.

ეს წერილი სრულებითაც არ გულისხმობს, რომ აღნიშნული სიმღერები მომავალში არ შესრულდეს ისე, როგორც ეს დედანშია. შეიძლება დედანს გარკვეული უპირატესობაც ჰქონდეს. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ქართული სასიმღერო ფოლკლორის ამ შედევრების შინაარსი გასაგები გახდეს მთელი საქართველოსათვის.

ჩვენი მუსიკის მოღვაწენი საქართველოში

კრიგოლ ზარდალიშვილი

„ჩვეების ცხოვრება მუსიკაშია“
ბედრესის სიტყვანა

საქართველოსა და ჩუხოსლოვაკიის ხალხების კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობას საკმაოდ ღრმა ფუძეები აქვს. ჩვენი სტატიის¹ მიზანია მოკლედ შევეხეთ გამოჩენილ ჩუხ მუსიკოსს ცხოვრებასა და მოღვაწეობას საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დსაწყისში.

ჩუხოსლოვაკიის ხალხების მთავარი წარგზავნილებია საქართველოში ქართული ხელოვნების ამაგდარი იხსებ რატილი, ადოლფ პოლიცკა და იან კუბელიცი.

მუსიკისადმი უსასწერო სიყვარული, — აი, თვისება, რომელიც განსაკუთრებით ახასიათებს ორივე ერს და უფრო ახლობელსა და გასაგებს ხდის მათ მეგობრობას. ხალხური მუსიკალური კულტურის სიმდიდრე არაჩვეულებრივად დიდია ქართველი და ჩუხოსლოვაკი ხალხების ხელოვნების საგანგებოში.

„ჩვეების ცხოვრება მუსიკაშია“, — ამ იატორულ ფრაზაში, რომელიც ჩვეების მუსიკის ბურჯს ბ. მტეტანას ეკუთვნის, გამოხატულია ყველაფერი, რაც კი ამ ერს მუსიკასთან აკავშირებს. მუსიკის სიყვარული და მათი არაჩვეულებრივი მუსიკალობა, რამაც ქვეყანას „ევროპის კონსერვატორიის“² სახელი მოუპოვა, მუსიკის როლი მთელი ხალხის ცხოვრებაში, — აი ის აზრი, რაც მკაფიოდ გამოსჭვივს გამოქეილი ჩუხი კომპოზიტორის შესანიშნავ სიტყვებში.

ამ მხრეც სინტერესოა ჩარლზ ბერნის დაკვირვება ჩვეების მუსიკალურ ცხოვრებაზე. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ინგლისელი მუსიკოსმცოდნე ჩარლზ ბერნი, დანტერესებული იყო ევროპული ქვეყნების ისტორიით და მუსიკალური კულტურით. კვლევის დროს იგი წააწყდა მეტად საინტერესო ფაქტს. სადაც კი არ იმოზაურა, ბერნი ყუელვან შეხება შესანიშნავ ჩუხ მუსიკოსებს და ბერვან ექმოდა ანდაზა „ვინც ჩუხია, — ყველა მუსიკოსია“. ცნობილოვარე ჩნგლისელი დანტერესდა ჩუხი მუსიკოსების მადლი პროფესიული სოკატობით და შემოიარა მთელი ჩუხეთი, რთა კავეო და შეესწავლა ის ნიადაგი, რომელიც წარმოშობდა და ზრდიდა ამ ვირტუოს ადამიანებს.

ბერნი იმდენად მუსიკას, ჩუხურ ხალხურ სიმღერებს და მათი საშუალებით სურდა გავეო ამ ხალხის სულიერი სიმდიდრე. მისთვის გასაგები გახდა, თუ როგორ უმკლავდებოდნენ ჰუხის მეომრები ჩუხეთის დამპყრობლებს XV საუკუნეში. მისთვის გასაგები გახდა ჰაბსბურგთა დინასტიის უღელქვეშ მყოფი თავისუფლებისმოყვარე ხალხის მისწრაფებანა. მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან ასეთი მხიარული, სიცოცხლეთი სასუხე და ლამაზი მელოდები, რომლებსაც ძალუთ ყველაზე ხანგრძლივი პრიოლის წარმოება.

მუსიკა ყოველთვის ჩვეების საყვარელი ხელოვნება იყო. მაგრამ იმ დროს, როცა ჩუხეთი კვლავ აღმოჩნდა დაპყრობილი, ხალხი უფრო მეტი მონდომებით დაეწეფა მუსიკას,

რომელიც მის მეორე ენად იქცა. ყველაზე პატარა სოფლებშიც კი მასწავლებლები დედენის სწავლებასთან ერთად, უღეს ვებნავთ აავიყვას მუსიკის და სიმღერის სიყვარულს. სოფლის მასწავლებლები, ტაძრების ორღანისტები და ვენდების რეგენტები ასწავლიდნენ ბავშვებს სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრას, სიმღერას და აცნობდნენ კომპოზიციის თეორიას. ჩუხ კანტორებს³ მრავალმხრივი მუსიკალური განათლება ჰქონდათ და ისინი ცდილობდნენ მთელი თავისი სიყვარული და მოშობილი ხელოვნების ცოდნა გადაეცათ ახალგაზრდა თაობებისათვის.

ამიტომაც იყო, რომ ბერნის უკვე აღარ უკვირდა რომელიმე ნიჭიერი ჩუხი პიანისტის ან მევიოლინის გამოჩენა. იგი ბუნებრივად სოფლად, რომ ქვეყანას, რომელიც იქცა მუსიკალურ სკოლად, კონსერვატორიად, ძალუქს მრავალი შესანიშნავი მუსიკოსი მისცეს მოსოფლიოს.

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც 1836 წ. ჩუხიას ეწვია, იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი თეიმურაზ პატონიშვილი. ის თავის შესანიშნავ ნშრომში „მოზაიკობა ჩუხი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“ აღწერს ჩუხების მადლ მუსიკალურ კულტურას:

„მშვენიერი მუსიკა იკვრის ესრეთ, რომელ კარლისბადში რომ მუსიკა გავიგინე, იმისთანა ჩინებული მუსიკა სრული დ გერმანიისა ძვირად სადმე ვნახეთ. ბოლომელები (ე. ი. ჩუხები — გ. ზ.) ფიად ნაქებნი არიან ყოველ საკარესა და მათ შორის ძვირად იძიებება კაცი, რომ მუსიკა არ იცოდეს“ (გვ. 64).

სწორედ ამ „ევროპული კონსერვატორიდან“ გამოვიდნენ მუსიკოსები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ამაგი დასდეს სხვადასხვა ერის მუსიკალურ კულტურას. ასეთ მოღვაწეებს მიეკუთვნებიან ცნობილი პიანისტი იან ლდისლაე დუსიკი, ანუ ჟან დუსიკი, როგორც მას ფრანგები ეძახდნენ, იან ანტონი მარეში, რომელიც შემდეგ რუსეთში ცხოვრობდა, შექმნა რუსული რქოვანი მუსიკა და ჩამოაყალიბა პირველი ინსტრუმენტბიანი ორკესტრი ნარიშკინის ყმა-გლეხებისაგან. ჩუხები იყენენ აგრეთვე გენიალური შოპენის მასწავლებელი ვოიტეხ ჟუნი და სხვა ათობით სახელგანთქმული მუსიკოსი, რომელთა რიცხვში ჩვენთვის საინტერესო ფიგურას წარმოადგენს ქართული მუსიკალური კულტურის ნიამაგე იოსებ რატილი.

იოსებ ივანეს-ექე რატილი (ზამდელი ვაგარი ნავრუთისილი, ხოლო „რატილი“ სასცენო ფსევდონიმი) დაიბადა 1840 წლის ჩუხეთის პროვინციულ ქალაქ პარდუბიციში. დაამთავრა პრადის კონსერვატორია და წარმატებით გამოდიოდა ჩუხეთის ქალაქების სცენაზე, ხოლო 1880 წლის მარტში რუსულ დასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა. საოპერო დასში რომ ი. რატილმა წამყვანი მომღერალი სახელი მიიხეჭვა, ამაზე მეტყველებს იმ პარტიების სია, რომელთაც იგი ასრულებდა თბილისის სცენაზე; გამოჩენილ მომღერალ პავლოუსკაი-

¹ ნაწევრები წიგნიდან „საქართველო-ჩუხოსლოვაკიის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის ისტორიიდან“.

² კანტორი — სასულიერო სიმღერის და მუსიკის მასწავლებელი სკოლაში.



ასთან ერთად, აღფრედ ვერმონი (ჯ. ვერდი — „ტრავიატა“), ფუსტი (შ. გუო — „ფუსტა“), რადამესი (ჯ. ვერი — „აიდა“), მანრიკო (ჯ. ვერი — „ტრუბადური“), გრაფი ალმაივეა (ჯ. როსინი — „სევილილი დალაპი“) და სხვ. აღსანიშნავია, რომ თბილისში 1880 წლის 20 მარტს რატიმუა პირველმა შეასრულა ალფრედის როლი რუსულ ენაზე დადგმულ ვერდის „ტრავიატაში“.

ი. რატიოს ისე მოეწონა საქართველოს ბუნება, ქართველი ხალხი, მისი მუსიკალური კულტურა, რომ საბოლოოდ აქ დაიჩინა გადამწყვეტი და მალე ცოლ-შვილიც პრიადელი თბილისში გაემგზავნა. თბილისის საოპერო დასში ხუთი წლის სოლისტად ყოფნის შემდეგ, მან თავი დაანება თეატრს და ისევ პედაგოგიურ მუშაობას დაუბრუნდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე რატიოს ყურადღება ქართული ხალხური სიმღერის თავისებურებამ და მრავალმხიანობის ნაირსახეობამ მიიპყრო. მალე იგი შეუდგა ქართული სიმღერის შესწავლას და ქართული ხალხური მუსიკით დინტიკურესებულ რამდენიმე სიმღერაც ჩაწერა. ი. რატიომ დაუახლოვდა საქართველოს გამოჩინებულ ადამიანებს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ცნობილ მუზეიკისტის სერგი მესხს, ქართული მუსიკის მოამაგებს ხარლამპი სავანელს, ლაო ალინაშვილს, მელიტონ ზალანჩივაძეს, ფილიმონ ჭორიძეს, ია კარგარეთელს, ზაქარია ჩხაკავაძეს და სხვ., რომლებმაც დიდად შეუწვეს ხელი რატიოს სამუსიკო მოღვაწეობას საქართველოში.

რატიოს ნამდვილი მუშაობა ქართული მუსიკალური კულტურის დარგში 1885 წლიდან იწყება, როცა მან თავი დაანება თბილისის საოპერო დასს და ქართული მუსიკით გატაცებულმა მუშაობა დაიწყო ლობჯინაძე ღ. აღნიშავილას მიერ იმავე წელს დაარსებულ ქართულ ეთნოგრაფიულ გუნდში, რომელმაც პირველი კონცერტი ჩაატარა 1886 წლის 15 ნოემბერს.

ქართული ეთნოგრაფიული გუნდის პირველმა კონცერტმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და ქართულ მოწინავე საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია, ვინაიდან ეს კონცერტი იყო დიდი ეროვნული კულტურული საქმის მოწოდება იმ პერიოდში, როდესაც ყოველივე ეროვნული და მოწინავე განიცდიდა რუსეთის ცარიზმისაგან ყოველგვარ დევნას და შევიწროვებას. ამიტომ დასაყრდენი ის სისარული, რასაც განიცდიდა ქართველი ინტელიგენცია ამ კონცერტის გამო. ილიამ თავის „ივერიაში“ ამ მოვლენას უძღვნა ორი მოწინავე სტატია, სადაც უდიდეს აღფრთოვანებას და იმედს გამოთქვამდა გუნდის დაარსების გამო და ქებით იხსენიებდა მის შემქმნელებს.

— „დიდი მადლობა გემართებს ბ. აღნიშავილას, რომელმაც ეს მართლა სახელგანთქანი საქმე იკისრა, შეპყარა ხორი, გაგვიმართა ქართული კონცერტი და დაგვატკბო იმ მიწვიწყებულის ხმებით, რომლითაც მღერობდნენ ჩვენი წინაპრნი და რომელთაც ისეთი ალტაცებით ისმენდა იმ დამეს თეატრში შეყრილი საზოგადოება... არა ნაღვეს მადლობის ღრისია ბატონი რატილი, ეს უცხო კაცი, რომელმაც მოამზადა და გასწავრთა იგი ხორი. მადლობა მადლობა ჩვენს თეატრში მოაგროვა ფული და გასაქრდა მთავრად ბატონ რატილს. ძახილს და ტამის ცემას ბოლო არა ჰქონდა. სასურველია, რომ ამ დიდად სასიამოვნო საქმეში სწორად გვასამაგონოს ხოლმე ისე, როგორც შაბათს საღამოს გვასამაგონა“.

1889 წლის მეორე ნახევრიდან ი. რატიმაც უკვე საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელიც ასევე დიდი მოწინავე და პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ადრინდელი გუნდი, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო დაინდო.

რატიოს გუნდის დამსახურებამ უნდა ჩაითვალოს მისი ცალკეული გამოსვლები ქართულ სპექტაკლებში, რაც პრესის ცნობით, ხელს უწყობდა პიესების წარმატებას.

გუნდი სწორად გამოიღობდა აგრეთვე საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამო-კონცერტებზე, ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეთა დასახმარებლად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ, ქართველ მსახიობთა საგემგინოდ მოწყობილ საღამოებზე, გამოჩინებულ მოღვაწეთა იუბილეებზე და სხვ., მაგალითად, გუნდმა დიდი წვლილი შეიტანა გამოჩინებულ ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი მიძღვნილ საიუბილეო საღამოში (1895 წ.). გუნდი მუდამ თან ახლდა იუბილარს და ასრულებდა სხვადასხვა ეროვნულ სიმღერას.

ი. რატიომ ქართველებისათვის ძვირფასია აგრეთვე როგორც ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების შემკრები და ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი. ქართველი ხალხის მარგალიტების დაგროვებში, დამუშავებაში და ხალხში გავრცელებაში რატიმაც მუდამოვებით ორმოცამდე სიმღერა შეუნარჩუნა თავის მეორე სამშობლოს, მათ შორის, „ღაიამგო“, „ალოლო“, „კახური სუფრული“, „ქვედრული“, „პატარა საყვარელი“, „ხელხვაივი“, „მალა მთას მოღვა“, და სხვ.. ქართული სიმღერების გარდა, რატიმაც გუნდს შეასწავლა ჩეხური, სლავური და ევროპის სხვა ქვეყნების სიმღერები, რომლებიც შესან. შხავად შეეთვისნენ ქართულს და მათ ახლაც წარბაქებით ასრულებენ გუნდები და ანსამბლები. („ლაჟვარდ ცაზე“ — ჩეხური მუსიკა, „აღსდებ გმირთ-გმირი“ — ფინური მუსიკა, „ჩუხ-ჩუხით ჩამობრდი“ — შვედური მუსიკა და სხვ.). ქართულ ხალხურ მუსიკასთან ამ სიმღერების შერწყმა რატიოს შეაანიშნავ მუსიკალურ აღლმს და მის მიერ ქართული ფოლკლორული სიმღერების კარგ ცოდნას უნდა მიეწეროს; მან ადვილად შესძლო უცხო მელოდისათვის ქართული იგრის მიცემა.

1889 წლიდან გუნდის გამოსვლებში სწორად მონაწილეობდა რატიოს ქალიშვილი, რომელიც ქართულ სიმღერებს ასრულებდა. გუნდმა იარსება 1897 წლამდე და საკვებით მიაღწია იმ მიზანს, რომელიც მის დაამარსებულს ჰქონდათ დასახლები: მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ეროვნული მუსიკალური კულტურის აღორძინებას. ხალხური სიმღერის შესწავლა და ჩაწერა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დადგა. გუნდმა გამოზარდა ქართული მუსიკალური კულტურის ისეთი ინტელეგანტი მოღვაწეები, როგორც იყვნენ ია კარგარეთელი, ივანე და ზაქარია ფილაშვილები, საყრდენი და მიხეილ კავსაძეები და სხვ., რომლებმაც არაჩვეულებრივ სიზაღღვეზ აიყვანეს ქართული ხალხური მუსიკის საუნჯის შეგროვების, შესწავლის და განეთიარების საქმე. აღსანიშნავია კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის სტრქიონები, რომელიც მან დაწერა არმავერში რატიოს გუნდისაგან მიღებული შთაბეჭდილების ზეგავლენით: „ამ კეთილშობილი ჩეხის წყალობითაა, რომ ჩვენში აღძირა სურველი სასუსიკო მოღვაწეობისა“.

ქართული ხალხური მუსიკის დარგში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, თბილისის ქართული საფოლკლორ-

3 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 151.



ნიო საზოგადოების გადაწყვეტილებით, 1908 წლიდან რატილი არჩეული იქნა ამ საზოგადოების საპატიო წევრად, ხოლო 1910 წელს დაინიშნა ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებული თბილისის მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ და მოაგარ ჩრეისირად.

იოსებ რატილი გარდაიცვალა 1912 წელს 72 წლის ასაკში. ქართველმა საზოგადოებამ ღირსეული პატივი სცა განსვენებას სხვადასხვა. ქართული თეატრის წინ გადამდგომი იქნა ნანაშვილი, განსვენებულის დეკლამაციის შესახებ მგრ.ნობაძე სიტყვა წარმოთქვა დიდმა ქართველმა მსახიობმა ლადო მესხიშვილმა. რატილი დასვენდებოდა კუკის კათოლიკეთა სასაფლაოზე. რატილის სხივის უკვდავსაყფად ე. წ. „ყველასათვის ხელმისაწვდომი მუსიკალური სკოლის“ ვიკატორ განყოფილებაზე დაარსებული იქნა განსვენებულის სახელობის სტიპენდია.

ქართველი ხალხი სათუთად ინახავს ქართველი მუსიკის დიდი მოღვაწის იოსებ რატილის სხივს.

რატილის შემდეგ მეორე სახელოვანი ჩრეი მუსიკოსი და პედაგოგია ადოლფ პოლიკაა.

ადოლფ იანეს ძე პოლიკაა დაიბადა 1880 წლის 15 მაისს (ძვ. სტ.) სოფელ ოლბრეიტეში, მეწიქვილის ოჯახში. დაწყებითი მუსიკალური განათლება ადოლფმა თავი სივე სოფელში მიიღო. მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ იოსებ მარშიჩკა და პეტრტილი. 11 წლის ადოლფი რიალზე იწყებს სწავლას ქ. ლიტომოჩიეცის მეორე საფეხურის სკოლაში. სამი წლის შემდეგ კი სწავლას განაგრძობს პრადის რეალურ სასწავლებელში. პრადში პოლიკაა კარგი მუსიკალური მომზადება მიიღო საექლესიო გუნდის დირექტორთან და 1894 წელს შეიღდა პრადის კონსერვატორიაში პროფესორ განუშ ვიგანის კლასით. გამოჩენილმა მევიოლინემ და პედაგოგმა ვიგანმა პოლიკააში შეამჩნია განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი და ის პირდაპირ მეორე კურსზე დასვა.

უკვე მე-5 კურსზე თავის თანაკლასელ იან კუბელიკთან ერთად პოლიკაა მონაწილეობს კვარტეტში. მასთან ერთად კვარტეტში უკრავენ მეორე ვიოლინის ი. ჰუმი, ალტს — ირეკი კრეისი. ადოლფ პოლიკაას ვიოლინი იყო ცნობილი იტალიელი ოსტატის გასპარო დი-სალოს ნახელავი.

1899 წელს პოლიკაა პროფესორ იან ბურანიანთან მიიღო სიმწიფის აბსტრაქტ წარწერით. ა. პოლიკაას მსატგრული ტალანტი განსაკუთრებულია. ეს ის ცნობილი ბურანიანი (დაიბადა 1877 წ.) რომელიც წარმატებით გამოიღოდა კონცერტები მთელს ევროპაში და ერთ ხანს კიდევ მოღვაწეობდა თბილისის კონსერვატორიაში.

დიდი წარმატებებით გამოდის კონცერტებზე პოლიკაა რეჟორც თავის სამშობლოში, ისე ავსტრიასა და გერმანიაში. მამინე მხოლოდ 19 წლის იყო. პოლიკაას სურს მოგზაურობა, უკეთ ვეყენების ნახვა, ასობი კადრების აღზრდა, და აი, ერთხელ მან მიიღო მიწვევა თბილისის კონსერვატორიად.

თბილისში პოლიკაა ჩამოვიდა 1902 წლის 14 ოქტომბერს და ამის შემდეგ იწყება მისი ფართო პედაგოგიური და ნაყოფიერი მუსიკალური მოღვაწეობა თბილისში. თბილისის მან აირჩია, ცნობილი ჩრეი მწერლის და მისი ოჯახის ახლო მეგობრის სეკატოპოლც ჩრეის რჩევით.

* პოლიკაას შესახებ „საბჭოთა ხელოვნებაში“ უკვე დაიბეჭდა წერილი, 1, 1961.

სეკატოპოლც ჩრემა მე-19 საუკუნის დამლევს იმოგზაურა კავკასიაში, კარგა ხანს იყო თბილისში, სადაც გაიცნა მყოფი თანამემამულეები. დაუახლოვდა ქართველ ინტელიგენციას და სამშობლოში დაბრუნებისას ადოლფ პოლიკაას მისცა თბილისში მუსიკებში ჩრეი მეგობრებს — ლუკეშისა და დრბოგაჯის მისამართები. დრბოგაჯი იყო თბილისის პირველი გიმნაზიის, ხოლო ლუკეში კი ვაგთა II გიმნაზიის ტანავარჯიშის მასწავლებელი.

თბილისში პოლიკაა ლუკეშთან დაბინავდა. კონსერვატორიაში გულთბილად მიიღეს, მან შესცვალა თავ-სი თანამემამულე პროფესორ იან ბურანი. პოლიკაამ მალე დიდი სიყვარული დაიმსახურა კონსერვატორიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. მისი ყველაზე ახლო მეგობარი გახდა კონსერვატორიის პროფესორი ვილჰელმ. იინი ორივენი მონაწილეობას დებულობდნენ თბილისის გამგურულ კვარტეტში სემიოპოლცსა (ალტს) და ვასილევთან (პირველი ვიოლინი) ერთად.

პირველივე კონცერტებით პოლიკაა დიდი წარმატებები მოპოვა საზოგადოებაში, და მალე კვარტეტთან ერთად იწყებს მოგზაურობას საქართველოს ქალაქებში. პირველი ქალაქი, რომელსაც პოლიკაა ეწვია, იყო ბათუმი, რომლის სილამაზით ის აღფრთოვანებული დარჩა.

ახალგაზრდა მევიოლინე ოცნებობს დამოუკიდებელ გამოსვლებზე, და აი 1902 წლის 23 ნოემბერს თავისი ვირტუოზობით გამგურული მუსიკის კონცერტით თბილისის მაგურებელთა დიდი სიმპათია დაიმსახურა. ყველა გაზრეო ერთხმად აღიარებდა, რომ თბილისის დიდი ხანია არ მოუსმენია ასეთი გამოჩენილი მევიოლინე მუსიკაა.

„მე უდღეობი წარმატება მხვდა, — უერდა პოლიკაა თავის მშობლებს, — უმარკვი ვარდის თაიფული მომიძღვნეს და ესტრადაზე ვარდებისა და დაფნის ფოთლებისაგან დამზადებული ღირა მომარდვის“.

ცნობილი ქართველმა სტორიკოსმა ვეტეიმე თაყაიშვილმა პოლიკაა მიიწვია თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ვიოლინჯლოს მასწავლებლად. პირველად ამ სკოლაში ხუთი მოსწავლე ჰყავდა, შემდეგ მოსწავლეთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა.

პოლიკაას ისე შეუყვარდა თბილისი, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა სამუდამოდ დარჩენილიყო ამ ქალაქში საცხოვრებლად, მაგრამ დაიბეჭით მიძიმედ დაავადებული მიემგზავრება ჩრეისის საუკეთესო კურორტზე — კარლიეთ-გარში საკურნალოდ. ერთგვარი გამოჯანმრთლების შემდეგ, პოლიკაა კვლავ თბილისში ჩამოიდა და ამჯერად ბინავდება თავისი თანამემამულის — ტანავარჯიშის მასწავლებლის იან ლუკეშის სახლში.

კვლავ კონცერტები. კვლავ დიდი წარმატებები, მაგრამ 1905 წლის ცნობილი რევოლუციური გამოსვლების შემდეგ, თბილისში სავანებო წესები იქნა შემოღებული. კონსერვატორია დროებით დაიხურა; თავისუფალ დროს პოლიკაა ქართული და რუსული ენების შესწავლას ანდომებდა. მალე ის პირველ დამოუკიდებელ კონცერტს მართავს მოსკოვში, მაგრამ მძიმე ავადმყოფობა აიძულებს შეებულება აიღოს და სამშობლოდ დაბრუნდეს. თბილისიდან გამგზავრების წინ გამოსთხოვარი კონცერტი გამართა. ამჯერადაც თბილისის საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა მევიოლინეს ვირტუოზული დავკრით.

„ქვემარტივად მსატგრული სიტკბობა შევძლო გერმნი

ყველას, ვინც ესწრებოდა პოლიეკას კონცერტს—“წერდა თბილისის იმდროინდელი ერთი გაზეთი პოლიეკას უკანასკნელი გამოსათხოვარი კონცერტის შესახებ, რომელიც ჩატარდა 1906 წლის 14 მარტს.

1906 წლის 26 მაისს დაიბეჭდა მიმედ დაავადებული პოლიეკა ძეგლებული გახდა დაეტოვებინა მის მეორე სანშობლილ ძეგლებული თბილისი და სამუდამოდ ჩეხიაში გამგზავრებულიყო

მისი მეგობარი მაცეტრო ვაცლავ ტალიხი წერს, რომ მას სურდა პოლიეკასთან ერთად სანშობლიოში გამგზავრება, მაგრამ კონსერვატორიის ხელმძღვანელობამ შეეზღუდას უარი უთხრა, ამიტომ აცრემლებული აცილებდა თავის საყვარელ სანშობლიოში ძვირფას მეგობარს, ვაცლავ ტალიხი კი, როგორც ცნობილია, პოლიეკას ახლო მეგობარი იყო და მასთან ერთად მუშაობდა მუსიკის მასწავლებლად თბილისის კონსერვატორიაში.

პოლიეკა ერთხანს პრადში ცხოვრობდა, მკურნალობდა. ექიმებმა მას აუკრძალეს დაკვრა, ამიტომ თავის მშობლიურ სოფელში გაემგზავრა, ხალაფ გარდაიცვალა 1906 წლის 3 ნოემბერს (ძვ. სტ.).

მისი გარდაცვალება აღნიშნა რიგმა გაზეთებმა. თბილისის ტაძარში გადახდილი იქნა პანაშვილი. გაზეთმა „Кавказская жизнь“ გამოაქვეყნა ნეკროლოგი. სხვათაშორის, პოლიეკას დაკრძალვის სოფელ ოლბრიეიტეში დაესწრო საქართველოდან სპეციალურად გაგზავნილი მისი მოწაფე ილია აბაშიძე. თბილისის კონსერვატორიისა და მთელი ქართველი ხალხის სახელით მან გულთბილი სიტყვა წარმოთქვა პოლიეკას შესახებ და ცოცხალი ყვაივლებით შეამკო საყვარელი მასწავლებლის საფლავი.

ადილუ პოლიეკას მეგობრის იან კუბელიკის (1880-1940 წ. წ.) ურთიერთობა საქართველოსთან მხოლოდ თბილისში 1927 წლის მისი საგასტროლო მოგზაურობით შემოიფარგლება, მაგრამ ეს გასტროლი ვერ ამოსწურავს იმ დიდ როლს, რომელიც თანამედროვეობის ამ შესანიშნავმა მეიო-

ლინემ შეასრულა თავისი კონცერტებით თბილისში. იან კუბელიკის ყოველი გამოსვლა ყველა ქვეყანაში შესანიშნავი მუსიკალური მოვლენა იყო. და რასაკვირველია, იგი თავის კვლს სტოვებს თბილისის მუსიკალური ცხოვრების ისტორიაშიც. ნ. პაგანიის შემკვიდრეს მეტად გულთბილი შეფერვა მოუწყო თბილისის კონსერვატორიამ, რომელმაც მის პატივსაცემად გამართა დიდი ბანკეტი და ჩეს ხელოვანს მიუძღვნა ქართული ერის სიამაყე — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაისიანი“ ჩეხური წარწერით, რასაც განსაკუთრებით აუღელვებია დიდი მუსიკოსი.

იან კუბელიკის სახელთან არის დაკავშირებული ქართული მუსიკალური ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფაქტიც. 1949 წელს პრადში იან კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია ქართველმა მევიოლინემ მარინე იაშვილმა.

ცხრასიანი წლების თბილისსა და ქუთაისში დიდი წარმატებით გაუმართავს კონცერტები აგრეთვე ადილუ პოლიეკას მეგობარს — მევიოლინე იაროსლავ კოცინანს. იგი დიდად დაინტერესებული ყოფილა ძველი ქართული ძეგლებით. მას თბილისელ მეგობრებთან ერთად დაუთვალეობებია ბევრი მათგანი, ყოფილა გელათში და იქ სურათიც გადაუღია.

ადილუ პოლიეკას ცხოვრება და მოღვაწეობა თბილისში ხელოვნების ჩეს და ქართველ მოღვაწეთა თანამშრომლობის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია. იმ დროს ეს ორი ხალხი ერთნაირად განიცდიდა ეროვნულ ჩავრას, ამიტომ ერთმანეთის მიმართ ყოველთვის სიმამითის გრძნობით იყო გამსჭვალული.

ჩამოთვლილ ჩეს მუსიკოსთა გარდა, თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი მუსიკოსები იან ბურანი, იან ვოტრუბა, იან შებელიკი და სხვ.

ასეთია მოკლე ის კვალი, რომელიც ჩეხმა მუსიკოსებმა დასტოვეს საქართველოს მუსიკალური კულტურის ისტორიაში მეცხრამეტე საუკუნის დამლევსა და მეოცე საუკუნის, დასაწყისში.



ვასილ გოლოვნი-ოქონელი

დ. ბაბუნაშვილი



ხალი ქართული მხატვრობის განვითარების საქმეში უღვაწოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არსულ პროგრესულ ხელოვნებას.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან მეტად თვალსაჩინო ხდება რუსული ხელოვნების კავშირი ქართულ მხატვრობასთან, რომელიც სწრაფად იკავებდა გზას ყოველივე პროგრესულისაკენ. ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ბედი უშუალოდ დაუკავშირდა რუსეთის კულტურას, მის მოწინავე იღებებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რუსი მხატვრების მოგზაურობა საქართველოში. ერთ-ერთი პირველი რუსი მხატვარი, რომელმაც ჩვენში იმოგზაურა, იყო გავარინი, რომელიც ინტენსიურ შემოქმედებით მოღვაწეობდა ეწეოდა საქართველოში. გავარინის უშუალო მოწინააღმდეგე საქართველოში იქნა პირველი ქართული დავაძმა თბილისში — გ. ერისთავის „გაყრა“ (1850 წლის 2 იანვარს).

1864-65 წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მუშაობდა მხატვარი ვ. ვ. ვერეშჩაგინი; 80-იან წლებში ჩვენში იმოგზაურეს მოქანდაკე ე. ა. ლანსერემ, მხატვრებმა კ. ვ. მაკოვსკიმ, ი. რუბინმა, კ. ნ. ფილიპოვმა და სხვებმა.

ეს იყო პერიოდი, როცა სამხატვრო განათლებას ფართო ვასაქანი მიეცა. რუსეთის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდნენ ქართველები. მათ შორის პირველთაგანი იყო გრიგოლ მასურაძე (1814—1885), რომელმაც სპეციალური განათლება პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო.

ასალი ქართული ხელოვნება, მისი განვითარების ეტაპები ჯერ კიდევ სათანადო სიღრმით არ არის შესწავლილი. არიან მხატვრები, რომლებმაც თავისი შემოქმედებით გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართულ ხელოვნების განვითარებაში. მათ სურათებს, რომლებიც ერთეულების სახითა შემორჩა ჩვენს მუზეუმებს, უძნობი მხატვრის ნამუშევრებად სთვლიან.

უცნობ მხატვართა რიცხვს ეკუთვნის ვასილ იაკობის ძე გოლოვნი. რომელიც ვასილ საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ვასო ოქონელის ფსევდონიმით. ვ. ი. გოლოვნი-ოქონელი ქართველი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობ მხატვრად რჩება მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოში დაიბადა და აქვე დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა. ვ. გოლოვნი კარგად იცნობდა ქართულ კულტურას, მის წარსულს, ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას. იგი მეტად საინტერესო პიროვნება იყო არა მარტო როგორც მხატვარი, არამედ როგორც რევოლუციონერიც.

ამ წერილის მიზანია მოკლედ გააცნოს მკითხველებს ვ. ი. გოლოვნიას შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

წარმოშობით ურანენელი, ვასილ იაკობის ძე გოლოვნი დაიბადა 1861 წელს ქალაქ ვორში. მხატვრის მამა ჩამოსულა ჩერნიგოვის გუბერნიიდან, ხოლო დედა, ცხინვალელი ქართველი ქალი ყოფილა. ვასილს მამა ადრე გარდაცვლია და ოჯახი მატერიალურ სიღირსოვეში

ჩაყარნილა. დედის ანაბარა დარჩენილ სამ ბავშვს აღზრდა ესაპირობებოდა, ოჯახის შემოსავალი კი თვეში 15 მანეთს არ აღემატებოდა. მიმე გაჭირვების მიუხედავად, ვ. გოლოვნიამ მაინც შეძლო ვორის საოლქო სახელოსნო სასწავლებელში შესვლა, სადაც სხვა საგნებს გარდა დაეუფლა საღებავო ხელობას და წიგნის დაკავშირებას, რაც შემდეგ საშუალებას აძლევდა დახმარებოდა ოჯახს.

სასწავლებლის დამაივრების შემდეგ გოლოვნი მოეწყო ხრუსშირის პანსიონში, სადაც იგი მასწავლებლობდა და თან ფრანგულ ენას სწავლობდა. ამ ენის სწავლება მისთვის აუცილებელი იყო, რათა შეემდეგ სწავლა განეგრძო რეალურ სასწავლებელში. ამ სასწავლებელში სწავლის პირველ წელს მას მატერიალურ დახმარებას უწევდა უფროსი ძმა, მაგრამ მალე ისეულებოდა გახდა თვითონ ექვმა იაფი გაცვეთილები და იხე ვერჩინა თავი.

რეალურ სასწავლებელში ვ. გოლოვნი ვატიტაც ხატავამ. მისი პირველი მასწავლებელი ამ საგანში იყო ნიჭიერი მხატვარი კ. კოლჩინი. ვ. გოლოვნიას მხატვრის უტყუარი ნიჭი აღმოაჩნდა, მან მტკიცედ გადაწყვიტა დაუფლებოდა ამ ხელოვნებას, სწავლა განეგრძო სამხატვრო აკადემიაში. წინასწარ თავისი ნამუშევრების ფსიანი გამოიყენა მოაწყო და შეგრიგული ფულით პეტერბურგს გაემგზავრა. როდესაც პეტერბურგში ჩავიდა, მისადგმი გამოცდები სამხატვრო აკადემიაში დამთავრებული იყო. მაგრამ ცნობილმა უნჯერლმა მხატვარმა მ. ზინიმ, რომელთანაც მისი საარკომენდაციო პარისი ჰქონდა, იგი ჩაარა-ცხენა პრფ. ვილფელდდეს კლასში. ჩართოდ, მ. ზინი დიდი ყურადღებით მოევიდა ვ. გოლოვნიას. მისმა კონსულტაციებმა გარკვეული როლი ითამაშა ჭაბუკის მხატვრულ აღზრდაში. ვ. გოლოვნი ვატკამებით დაეწევა ცოდნას, მაგრამ მალე მეამოხე ახალგაზრდებს შეუერთდა და მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. „ნაროდნია ვოლისა“ აქტიური წევრის, ერთობლების რჩევით, ვ. გოლოვნი დაუკავშირდა ხალხისურ წიგნებს და მონაწილეობას იღებდა მათ მუშაობაში. აქ გამოიყენა მან მხატვრის ცოდნა — წერის წევრებისათვის აკეთებდა (ხატავდა) პასპორტებს და ბუქტებს. გარდა ამისა, მიწოდობილი ჰყავდა პატარა ჯგუფი, რომლის საშუალებითაც პრობაციანისტულ ლიტერატურას აფრცხვლავდა. ვ. ი. გოლოვნი 1883 წ. დააბატონირა რევოლუციური მოღვაწეობისათვის. მიმე ტანჯვაში ვატარა ერთი წელი პეტერბურგის ციხეში. ჟანდარმა სამმართველოს მასთან პირველად როლი ჰქონდა საქმე. ჯერ კიდევ თბილისში XI კლასის მოსწავლე ვ. გოლოვნიას ერთ-ერთი ამხანაგის დამსმენი ბარდი დასდეს არაუვალური ლიტერატურის კითხვას და გავრცელებაში, მაგრამ მაშინ იგი ასცდა დაბატონირებას, რადგან საქმეში ჩაერია სკოლის დირექტორი, რომელიც დიდად უფრთხილდებოდა სასწავლებლის სახელს. პეტერბურგში კი მისი საქმის მსვლელობამ სერიოზული სახისათი მიიღო. ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ, პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გოლოვნი გორში დაბარუნეს, ამასთან სამხალურში შესვლა აუკრძალეს. მიმე ციწონიურმა პირებებმა ვ. გოლოვნი აიძულა მუშაობა დაეწყო ზენიკადა ზონერის საყვარელ მანქანათა მალაზიაში. მან დაარსა კავკასიაში მეფე ალექსანდრე III ჩამოსვლისათვის მკაკეშირებით, როგორც არასამიღეო პირი, ვასალბებულ იქნა კრასნოვოდსკში. შემდეგ 1889—1916 წლებში გოლოვ-

ნია ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობდა მისრედ, ამ-
წონად, მოლარედ, სადგურის უფროსად და ა. შ.

წ. ი. გოლოვნი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905—
1917 წლების რევოლუციურ მოძრაობაში. ქუთაისში არ-
ჩეულ იქნა საგაფიცო ბიუროს თავმჯდომარედ. შემდეგ
კვლავ ციხე, უმუშევრობა. მიმე ცხოვრებამ გასტეხა გ. გო-
ლოვნიას ჯანმრთელობა, დამბლისაგან მას მარჯვენა თვა-
ლი დაუზიანდა, რაც ძლიერ უშლიდა ხელს შემოქმედებით
მუშაობაში, საქართველოში გ. გოლოვნია დაუკავშირდა
ქართველ ხალხონებს და რევოლუციონერებს. მას ახლო
მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ანტ. ფურცელაძესთან,
სოფრომ მგალობლიშვილთან, შიო ჩიტაძესთან, ნიკო ლო-
მოსურთან.

გ. გოლოვნია ძალიან კარგად იცნობდა ჩვენს სახელო-
ვან პოეტს აკაკის. სწორედ თავისი ხალხოსანი მეგობრე-
ბის რჩევით და კონსულტაციით დახატა მან შოთა რუსთა-
ველის პორტრეტი, ნატურისათვის გამოიყენა ლითოგრა-
ფიის მუშაი მესხი. მხატვარმა შექმნა „ვეფხისტყაოსნის“
ავტორის პორტრეტის ოცამდე ვარიანტი.

ეს პორტრეტი მოთავსებულია ვეფხისტყაოსნის კ. თა-
ვართლიანისეულ „გამოცემაში“ (ოზურგეთი, 1892 წ.)
თვით ავტორის ყველაზე სრულყოფილად სწორედ ეს ვარი-
ანტი მიაჩნდა. არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გამო-
ცემა, სადაც შოთა რუსთაველის პორტრეტი ავტორის
მიერ შესრულებულია ქვაზე ლითოგრაფიულად¹.

ჩვენამდე ვერ მოაღწია გ. ოქონელის (ფსევდონიმი
„ოქონელი“ წარმომადგარია სოფ. ოქონიდან, რომლის ხში-
რი სტუმარი იყო მხატვარი) მიერ შესრულებულმა ანტ.
ფურცელაძის პორტრეტმა, რომელიც მწერლის ოჯახში
ინახებოდა. ამჟამად იგი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

მხატვრის დიდ ნიჭს უდავოდ ადასტურებს ლაკონუ-
რად შესრულებული კარიკატურები, რომლებიც უუნაღ
„თეატრში“ იბეჭდებოდა. ამ კარიკატურებიდან ჩვენამდე
ძალიან ცოტამ მოაღწია. 1888-89 წლებში შესრულებული
კარიკატურების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხატვ-
რის ხელწერაზე. კომპოზიციურ ოსტატობაზე, განწყობი-
ლებაზე.

ეს ნამუშევრები მე-19 საუკ. მეორე ნახევრის ქართული
მხატვრობის საყურადღებო ნიმუშებია.

კერძოდ საინტერესოა 1888 წლის კარიკატურები:

„შეხვედრა“, „სიკეთე გადაუხადა“. კარიკატურების მიზა-
ნია, გააკრიტიკოს ცუდი თვისებები იმ ადამიანებისა, რომლებიც
სიკეთეს სიაგით უხასხებენ:

თვალს გავახელო, — გულს მიხარებს
ეპოლეტის ბრჭყვიალი,
ყურს დაეგუდებ, — გულს მიღონებს,
ვექსილების შრიალი...

ეს კარიკატურა „სიმღერა“ დასცინის გადაგვარებულ
თავადს, რომელსაც მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალეობა
შერჩენია, მხოლოდ ბრჭყვიალა ეპოლეტებია მისი მშვენება,
ჯიბეში კი ერთი გროშიც არ გააჩნია. კარიკატურა „ფლა-
ვი ვის უღვას და იშტა ვისა აქვს“ ამათრახებს გონება-
ჩლუნვ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ მოგება, ბირადი
გამორჩენა აინტერესებთ, ნამდვილი ხელოვნებისა კი არა-
ფერი გაეგებათ.

ყურადღებას იმსახურებს 1889 წლის კარიკატურებიც.
„აბა, ჩემო ბატონო და ჩემო ბატონო“, „აკი დანოსი არ
იყო, შე, შე, შე... მახინჯო!“ და სხვ.

მხატვრის ბირად არქივში ინახება რამდენიმე ნამუშე-
ვარი. კერძოდ, მხატვრის დედის — ეკატერინე გაბრიელის
ასულის, მხატვრის უფროსი ვაჟის პორტრეტი და საკბაო
რაოდენობით ჩანახატები.

ვასო ოქონელი შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას.
საქართველო მისთვის მეორე სამშობლო იყო. 90-იან
წლებში ქუთაისის თეატრისთვის დახატა მხატვრული ფარ-
და, რომელიც ხანძრის დროს დაიწვა. იგი ამ თეატრში მუ-
შაობდა როგორც მსახიობი და როგორც მხატვარი — დე-
კორატორი.


ასეთია მოკლედ ვასო ოქონელის ბიოგრაფია. ნაწარ-
მოებები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, შესაძლებლო-
ბას გვაძლევენ რამდენადმე მაინც გავეცნოთ მის შემოქმე-
დებებს, რომელიც დღემდე მივიწყებულია. ეს ნამუშევრები
გარკვევით მეტყველებენ ხელოვანის ტალანტსა და ინდი-
ვიდუალობაზე, შემოქმედზე, რომელიც ძირითადად რეა-
ლიზმის პრინციპებზე იდგა. საქ. ხელოვნების მუზეუმში
ინახება მხატვრის ერთ-ერთი სურათი, რომელსაც აწერია
„უცნობი მხატვრის ნამუშევარი“. ვფიქრობთ, „უცნობი
მხატვრის“ ბევრი ნამუშევარი ელის მათი ავტორის ვინაო-
ბის გაკრევისა და მისი შემოქმედების სითანად შესწავ-
ლას, რაც ჩვენი მხატვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების
სადღესო ამოცანას შეადგენს.

¹ შოთა რუსთაველის პორტრეტის ერთ-ერთი ვარიანტი ინახება
ელისაბედ ერსთაისის ოჯახში.

ლ. კაიდარაშვილი

სანაპირო ქუჩა





ბ. გორდელაძე

მა სუმეი. ალკაცია

ვლადიმერ ჯაფარიძე

სოსნა კი ჩემის ქვეყნისა
აქვე, ჩემთანა მარხიან...

ვაჟა-ფშაველას

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის შესრულების გამო 1935 წლის სექტემბერში ქართველ მწერალთა მთავრობის მუხურმა, — როგორც იმხანად ეწოდებოდა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუხურს, — ფშავეში მიავლინა ექსპედიცია ვაჟა-ფშაველას შესახებ ზოგიერთი მასალის შესაკრებად ადგილზე და პოეტის სახელთან დაკავშირებული მემორიალური ნივთების შესაძენად.

ექსპედიციაში შედიოდნენ ივანე ენიკოლოფოვი და ჩემი ძმები — ლიტერატორი გრიგოლ ჯაფარიძე და მსატყარი ურა ჯაფარიძე.

ექსპედიციის მეც გაყვევი.

მწერალთა მუხურს იმხანად პოეტი გიორგი ლეონიძე ხელმძღვანელობდა.

შემოდგომა იყო და კარგი ამინდი იდგა.

სწრაფად გავიარეთ ანანური თავიანი ლამაზი ციხე-კოშკით და გადავუხვიეთ ახალ გზაზე, რომელიც ამ ადგილებს ბარისხოს უერთებს; გავიარეთ ჟინვალი და ფშავის არაკვის ნაპირები, მადაროსკარის გავლით შევიჩრდილ ჩარგლისკარზე, საიდანაც უკვე ფეხით მოგვხვდა მგზავრობა, რადგან იმ დღის ჩარგლულას ხეობაში მხოლოდ ურმის გზა იყო და მანქანა ვერ გადოდდა.

უკვე დაღამდა, და ჩვენ კი ჯერაც ვერ გაგვერკვია, თუ რამდენად სწორად ვადგეით გზას ჩარგლისაკენ.

გაკვასხენდა დიდი პოეტის „ღამე მთაში“:

ღღამდა...

წერილი ვარსკვლავნი

აქვადნენ, ღახსდნენ ცაზედა,

მთვრალ კი ადვირ

არასდა სიანს,

არ დავენათოს თავზედა.

როგორც იქნა, მივალწიეთ რაღაც სადგომს. სიბნელეში შევაგმინეთ მწოლარე საქონელი, ძალღმაც დაიყვავა და ადამიანის ხმაც შემოგვესხა.

ჩვენს შეხახილზე მოხუცი ქალის ხმამ გვიპასუხა:

— ვაჟაის სახლი?... რა გქნა, რომელი ვაჟაის?

მაგრამ როცა მივახვედრეთ თუ ვისზე ვკითხავდით, ხალი-სიანად შემოგვასხა:

— რაზიკანან სახლი გაღმა, შვილო, წყალგაღმა. აქეთ, ამ ყანებში რას მოისინარო, ქვემოთ ჩადით, რიყე-რიყე აუყევი თ წყალს და ბოგირით გახსოვთ რაზიკანაცა.

აქ ერთმა ახალგაზრდამ, როგორც შემდეგ ვავიკვით, ვაჟას მეგობრის ბეკურა ბაჩიაშვილის სახლიდან, იკისრა ჩვენი გაყოლა ვაჟას სახლამდე. ისევ თავქვე დავეშვიეთ ბილიკებით, ჩარგლულას მარცხენა ნაპირს აუყევივით და ბოგირით გადავედით გაღმა.

— ამ ერთგაზნა ვაჟაის სახლი, — გვითხრა გამყოლმა და პატარა ბილიკით აგვიძღვა ზემოთ, ბებოქზე.

ეს უკვე ვაჟას კარმიდამოა და ყველაფერს მომეტებული ინტერესით ვაკვირდებით. დამის სიბნელეში ვარჩევთ სილუეტებს: აგერ კალი ორიოდ ზევით, აქაც გომური, და შემდეგ

პატარა ეწო, რომელშიაც ქეიტკირის პატარა სახლის, უფრო ქობის სილუეტი მოჩანს. სრული სიჩუქეა, მხოლოდ ჩარგლულას ნელი ქვრტული მოისმის ქვევიდან. საკვირველია, რომ ძაღლის ხმაც არ იმისი, რომელიც ასე აუცილებელია სოფლის პირობებში, ნამეტურ იქ, სადაც სახლი ასე განმარტებით დგას. ჩანს, დიდი პოეტის ეს სამყოფელი ღარიბი ფშაველი გლეხის ტიპიური კარმიდამოს დინეუა. ეს წმიდა აგაილი, სადაც საქართველოს საამაყო შვილს, ჩვენს დიდ მეგობარს გაეტყობია თავისი სიყრმე და შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი, კიდევ უფრო წმიდადა და საყვარელი ჩვეუების ახლა, ამ წუთებში, როდესაც მას უკვე უშუალოდ აღვიქვამთ და ამიტომ მოწონებთ მივაბიჯებთ საყვარელი ქობის სილუეტისაკენ, ფეხქვეშ სქელი მოლით დაფარულ რბილ მიწას ვგრძობთ. სილუეტიდან ოდნავი სინაილე მობუტუტა. ჩანს, მასპინძელს ჯერ კიდევ არ სინანავს.

ეს იყო ვაჟას საყვარელი სადგარი, „ჩემს ადგილს მიმბარათა“, რომ ისევწებოდა პოეტად:

„სიციცხლით გამწარებულ
მკვლარ მაინც გამაზარეთა“.

ქეიტკირის სადგომის პატარა კარმა გაიჭრიალდა და გართე გამოგვეგება შავ ტანსაცმელში გამოწვობილი მარალი ტანის ქალი, რომელმაც სალმის შემდეგ, შინ შეგვიპატივა. ეს იყო ვაჟას მეუღლე თამარი.

თამარს აუგხსნიეთ ჩვენი მოსვლის მიზანი და ვთხოვეთ არაფერზე შეუჭრებულოყო, რადგან შევინმნეთ, რომ დაფაცუნდა ვახშმის მოსამზადებლად „ნამგზავნი სტუმრებისათვის“.

თამარს უკვე ნაწიში შესული ქალის შეხედულება ჰქონდა; მაგრამ წლებს ნაკლებად დაეკარვა სადგომიანობა. არაა გასაკვირი, რომ ვაჟა პირველ დანახვისთანავე მოიხიბლა, მისი თვალტანადობით. ის ნამდვილი მთიელი ქალი იყო თავისი გარეგნობით, მაღალი ტანისა, თხელი, როგორც მთიელი ქალების უმრავლესობა, ოდნავ შემადლებული ცხვირით, შავი თვალწარბით.

თამარი ვაჟას მეორე ცალი იყო. პოეტმა ის სოფელ ხორხიდან „მაიტაცა“, „სტენის გაგაზე მოვიგდო“, რომ ნატრობდა თავის „ფშაველის სიყვარულში“

„ცხენის ვაგაზე მოვიგდო,
სლიოდეს ცრემლი მწარია,
შუალამისას ჩარგალსა
გადვილწერი ჯვარია,
მერე მოიღეს სადოდო
თუნდაც ოსმალის ჯარია“...

თამარს კარვად ახსოვდა ეს ამავე, რომლის გამო „კინა-ღამ სისხლიც ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შუა“.

